# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 2 ნოემბერი. № 44 (2772) გამოცემის 58-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ლიტერატურული საქართველო" 1991 წელს

გაისად „ლიტერატურულ საქართველოს" 60 წელი უსრულდება. თავისი არსებობის ამ ღირსშესანიშნავ თარიღს გაზეთი ერთგვარი შიშნარევი მღელვარებით ხვდება. დღევანდელმა დუხჭირმა ცხოვრებამ ჩვენც რთული პრობლემების წინაშე დაგვაყენა. მკითხველს უკვე ვაუწყეთ საფინანსო გასაჭირის შესახებ; გასაჭირი კი, მოგეხსენებათ, ყველას თავისი ჰყოფნის... არ გვინდა თავი მოგაბეზროთ, მაგრამ უნდა გვერწმუნოთ, როდესაც გაზეთის ფასის გაზრდაზე იყო მსჯელობა, უპირველეს ყოვლისა, მკითხველზე ვფიქრობდით, მის გასაჭირზეც ვმსჯელობდით, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავზემოთ ძალა არ იყო, ფასი უნდა გაგვეზარდა, რათა გვეარსება, რათა გაზეთი არ დახურულიყო. დღეს ყველა გაზეთის ტირაჟი საგრძნობლად დაეცა. ეს შეიძლება მარტო ფასების გაზრდის შედეგი არ იყოს, საერთოდ, მკითხველის პრესისადმი ინტერესის დაკარგვიდანაც მომდინარეობს, ალბათ. ამის მიზეზების ძიებაა საჭირო. მზად ვართ თქვენთან ერთად ვეძებოთ ეს მიზეზები და ახალი გზები. ჩვენ ყოველთვის ვითვალისწინებდით და კვლავაც გავითვალისწინებთ მკითხველის აზრს. თქვენი არც ერთი მოსაზრება, რომელიც ჩვენთვის მოგიწოდებიათ, უკვალოდ არ გამქრალა. ასე იქნება მომავალშიც.

საგაისოდ რას სთავაზობს, რას ჰპირდება მკითხველს იუბილარი გაზეთი? უპირველეს ყოვლისა, ქვეყნისა და თქვენს სამსახურს.

იგი კვლავაც მართლად ასახავს ყველა პრობლემას, რაც საქართველოს აწუხებს: სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ლიტერატურულ-კულტურულ პრობლემებს.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თქვენ კვლავაც შეხვდებით ცნობილ თუ ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ქართველ მწერალთა მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწერებს; გაეცნობით სოციოლოგების, ეკონომისტებისა და იურისტების მოსაზრებებს ცხოვრების გაუმჯობესების რეალურ გზებზე. შემოგთავაზებთ ახალ თვალსაზრისებს ჩვენი უახლოესი წარსულის ლიტერატურასა და კულტურაზე, საერთოდ ისტორიაზე; ხშირად დავუთმობთ ფურცლებს ქართულ ემიგრაციას, შემოგთავაზებთ საზღვარგარეთული ლიტერატურისა და კულტურის, ისტორიის ისეთ ნიმუშებსაც, რომელთა ხსენება დღესაც ჭირს. ერთი სიტყვით, საიუბილეო წელიწადს გაზეთი ბევრ საინტერესოს გპირდებათ.

გაუწყებთ, რომ ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა 15 ნოემბრამდე გრძელდება.

ხელმოწერასთან დაკავშირებული რაიმე შეფერხების ან გაუგებრობის შემთხვევაში გთხოვთ დაგვირეკოთ შემდეგ ნომრებზე: 99-67-10, 99-03-65.



მხატვარი ზურაბ ფორაქიშვილი

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საგანგებო ბრძანება

ძველი რომაელები ამბობდნენ — დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთადო. სულ რამდენიმე წლის წინ შეუძლებელიც კი იყო იმის წარმოდგენა, რაც დღეს ხდება.

1990 წლის 28 ოქტომბერი ისტორიული დღეა — ამ დღეს საქართველოში პირველად გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები. წინ გველოდება მრავალი სიახლე, მაგრამ, ამავე დროს, — მრავალი საშიშროებაც. ადამიანი ხდება ულმობელი, უნდო, შენდობის უნარს მოკლებული. გახშირდა მძიმე დანაშაულობანი, მათ შორის კაცის კვლა. ქართველი ქართველს ემუქრება სიკვდილით და ხშირად ასრულებს კიდეც ამ მუქარას.

ამიტომ ამ ისტორიულ დღეს მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება, რომელიც 28 ოქტომბერს წირვის შემდეგ წაკითხულ იქნა სიონის საპატრიარქო ტაძარში.

### საგანგებო ბრძანება

1990 წლის 28 ოქტომბერი.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ვბრძანებ:

დღეიდან ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად.

მკვლელის სახელი და გვარი შეტანილ იქნეს საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში და გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც სამარცხვინო და დასაგმობი.

საგანგებო ბრძანება ესე მიღებულია, რათა საქართველოში სამუდამოდ თავიდან აცილებულ იქნეს უმძიმესი ცოდვა და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე — ძმათა კვლა.

**ილია II,**
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

---

საქართველოს საპატრიარქომ თხოვნით მიმართა უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების პედაგოგებს, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გააცნონ მოსახლეობას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას ეს საგანგებო გადაწყვეტილება.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო".

## 28 ოქტომბერს საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები

საქართველოს მწერალთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი, მწერალთა კავშირის უხუცესი წევრი

**კოლაუ ნადირაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა თვალსაჩინო ქართველი მწერლის კოლაუ ნადირაძის დამკრძალავი კომისია საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მუხრან მაჭავარიანის თავმჯდომარეობით.

# შვიდი ნოემბერი — ვიზეიმოთ თუ ვიგლოვოთ?

„პერესტროიკის" დაწყებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა და კრემლს დღემდე „პერესტროიკის" ფონზე არა, არ შეუფასებია 1917 წლის 7 ნოემბრის, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ე. წ. „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" როლი და მნიშვნელობა რუსეთის, რუსეთის კოლონიების, საერთოდ კაცობრიობის ისტორიაში. 1986, 1987, 1988 და 1989 წლების 7 ნოემბერიც, ისევე, როგორც წინა 68 შვიდი ნოემბერი, ზეიმით აღინიშნა. ისევე, როგორც ადრე, „პერესტროიკის" წლებშიც ამ დღის აღსანიშნავად საზეიმო სხდომებზე „ცენტრის" მიერ საგანგებოდ გამოყოფილი მომხსენებლები ხმამაღლა, დიახ, ხმამაღლა, მსოფლიოს ხალხთა გასაგონად „დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას", მარტო რევოლუციას კი არა, ამ რევოლუციაში ლენინური კომუნისტური პარტიის გამარჯვებას — რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, სამწუხაროდ, კვლავ ქებითა და ქებით, დიდებითა და დიდებით იხსენიებდნენ.

საბჭოურ კალენდრებში არაფერი შეცვლილა. აიღეთ და გადაშალეთ რუსულენოვანი კალენდარი. თუმცა რად გვინდა ეს, რუსულენოვანი, აგერ, 1990 წლის ქართულენოვან კალენდარში ჩავიხედოთ. ისევე როგორც რუსულენოვანში, აქაც, კალენდრის 7 და 8 ნოემბრის ფურცლები კვლავ გაწითლებულია, კვლავ წითელი დროშით, კვლავ ლენინის სურათითაა „შემკული". იქვე წითლად, აბა როგორ, კვლავ წითლად, ისიც დიდი ასოებითა და გამორჩეული შრიფტით წერია: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 73-ე წელი". ე. ი. კალენდარი იუწყება 7 და 8 ნოემბერი საზეიმო დღეებია და იზეიმეთო. არა გჯერათ? მაშინ „პერესტროიკის" ამ გაგანია წლის ქართულენოვანი კალენდრის 7 და 8 ნოემბრის ფურცლების უკანა გვერდები წაიკითხეთ:

— ოქტომბრის დღესასწაული ზეიმი არისო... ოქტომბრის რევოლუციამ დაგვირგვინა თავისუფლებისათვის, თანასწორობისათვის და სამართლიანობისათვის მრავალი თაობის ძიებანიო; ოქტომბერმა მოსპო ადამიანის ექსპლუატაციაო, მიანიჭა მას ხვალინდელი დღის რწმენაო, ადამიანთა საერთო ცხოვრების ნორმად დაამკვიდრა თავისუფალი შრომა და ხალხთა ხელისუფლება, სოციალისტური სამართლიანობა და ეროვნული თანასწორობაო; სოციალისტურ საფუძველზე ვითარდება ყველაფერი, რაც ჩვენ შევქმენით და რითაც სამართლიანად ამაყობენ საბჭოთა ადამიანებიო: სოციალისტური მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი გახდაო; გარდაქმნაში, რომელიც განაგრძობს ოქტომბრის საქმეს, ჩვენ ვწვდებით მის სულ ახალ-ახალ სიღრმეებსო; კვლავ და კვლავ ვიზიარებთ წარსულის გამოცდილებას და გამოვაქვს უმნიშვნელოვანესი „დასკვნა სოციალიზმის უდიდესი აღმშენებლობითი ძალის შესახებო; 1917 წლის 8 ნოემბერს სრულიად რუსეთის II ყრილობამ გამოაცხადა მთელი ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელშიო, ყრილობამ მიიღო დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებო და შეიქმნა პირველი საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო — ვ. ი. ლენინის მეთაურობითო.

ახლაც არა გჯერათ? ცრუობთო თუ ეტყვით კალენდრის შემდგენლებს. როგორ ფიქრობთ, ისინი კალენდრის 7 და 8 ნოემბრის ფურცლებივით გაწითლდებიან? არა. გადაგიშლიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მიერ 1986 წლის 1 მარტს ერთხმად მიღებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციას და შენივე თვალით ჯერ მის ერთ გვერდზე წაგაკითხებენ: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით შობილმა საბჭოეთმა დიდი და სახელოვანი გზა განვლო. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულია მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი"-ო; შემდეგ მეორე გვერდზე — „ოქტომბრის რევოლუციით დაწყებული კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული შემობრუნება სოციალიზმისაკენ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი შედეგია"-ო.

მაინც არა გჯერათ? არა გვჯერაო თუ იტყვით, კალენდრის შემდგენლები „პერესტროიკის". ყველა წლის „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი" მიძღვნილ საზეიმო სხდომებში თვით სკკპ ცკ პოლიტბიუროს მიერ გამოყოფილ მომხსენებელთა მოხსენებებს წაგაკითხებენ, მერე საკავშირო ალკკ XXI ყრილობისა და სკკპ XXVIII ყრილობის მასალებში თავს ჩაგაყოფინებენ და, თუ კვლავ გაჯიუტდებით და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" როლისა და მნიშვნელობის კრემლისეულ შეფასებას არ გაიზიარებთ, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციას" დაგიდებენ და მის პირველსავე გვერდზე წაგაკითხებენ:

— დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს კომუნისტური პარტიისა და მისი მეთაურის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, დაამხო კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება, დაამსხვრია ჩაგვრის ბორკილები, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა და შექმნა საბჭოთა სახელმწიფო — ახალი ტიპის სახელმწიფო, რევოლუციის მონაპოვართა დაცვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ძირითადი იარაღი. დაიწყო კაცობრიობის მსოფლიო ისტორიული შემობრუნება კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ.

მერედა, კონსტიტუცია ხომ კალენდარი არაა, კონსტიტუცია ხომ რომელიმე პიროვნების სიტყვა ან მოხსენება არაა, კონსტიტუცია ძირითადი, დიახ, ძირითადი კანონია. ჰოდა, რუსულენოვან და ქართულენოვან კალენდართა შემდგენლებს თავი დავანებოთ. ისინი, მართლაცდა, საბჭოეთის კონსტიტუციის საწინააღმდეგოს ხომ არ დაწერდნენ. ხომ დაინახეთ, დარწმუნდით „პერესტროიკის" იდეებითაც სსრ კავშირში 7 ნოემბერი — ისევ და ისევ „დიდ 7 ნოემბრადაა" მიჩნეული და ამიტომაც საბჭოთა იმპერიის 1990 წლის მარტო ქართულენოვანი კი არა, ნებისმიერი სხვაენოვანი კალენდარიც დამშეულ ხალხს იზეიმეთ, იზეიმეთ, იზეიმეთო! — მოუწოდებს.

მოუწოდებს, მაგრამ კაცმა რომ თქვას, აქ „მაგრამ" მართლაც უნდა ითქვას. ჰოდა, ეს „მაგრამ" ისაა, რომ 7 ნოემბერს ჩვენ ხომ „პერესტროიკამდე" ვდღესასწაულობდით? ახლა თუ „გაპერესტროიკებულნი" ვართ, მაინც ვიდღესასწაულოთ?

მე და თქვენ ადრე თუ დაბრმავებულნი ვიყავით და ვერაფერს ვხედავდით, დაყრუებულნიც ვიყავით და არაფერი გვესმოდა, ან — კი, ვხედავდით და კი, გვესმოდა, მაგრამ კრემლის სუკის ლაგამი გვქონდა ამოდებული და ყოველი წლის 7 ნოემბერს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" გამარჯვებას — პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, ერთი იმპერიის მეორე იმპერიით შეცვლას, ერთი დიქტატორის მიერ მეორე დიქტატორის დამხობას ვდღესასწაულობდით, ახლა „პერესტროიკამ" დაბრმავებული თვალები მზერადქცეული თვალებითა და დაყრუებული ყურები სმენადქცეულ ყურებით რომ შეგვიცვალა, გვეკითხებით, გეკითხებით, ბატონებო, უკვე რომ ვხედავთ და უკვე რომ გვესმის, მაინც, მაინც არა ვთქვათ სათქმელი? ვთქვათ, ვთქვათო, რომ ამბობთ, მარტო ერთმა, ორმა, სამმა... თქვას? ვთქვათ, ვთქვათ ყველამ ის, რომ:

— ე. წ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის თეორიული საფუძველი იყო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", რომელიც თავიდან ბოლომდე უტოპიაა, ვ. ი. ლენინის მოქმედება-მოღვაწეობას როგორც 1917 წლამდე, ასევე 1917 წლის შემდგომაც ედო საფუძვლად და ამიტომაც ვ. ი. ლენინის მეთაურობით წარმართული ე. წ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იყო ქუჩის ბრბოთა და მაწანწალათა, არაფრისმქონეთა და არაფრისმცოდნეთა, ხატისა და სახატეს არმქონეთა, ღვთისმსახურთა და ინტელიგენციის მოძულეთა, სილატაკის მესოტბეთა და სიმდიდრის ამაოხრებელთა რევოლუცია, დიახ, რევოლუცია, რომელმაც დიქტატორთა ერთი ნაკადი შეცვალა დიქტატორთა მეორე ნაკადით.

— ე. წ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის, 1922 და 1924 წლების ტრაგედიები.

საბჭოთა რუსეთი ისეთივე ცბიერი და ბოროტი დარჩა საქართველოს მიმართ, როგორიც იყო მეფის რუსეთი. 1783 წლის 14 ივლისს ქ. გეორგიევსკში საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება რუსეთს ავალებდა დაეცვა საქართველო გარეშე მტრისაგან, მაგრამ რუსეთმა ეს ხელშეკრულება დაარღვია — 1795 წელს კრწანისის ბრძოლაში სპარსეთის შაჰს აღა-მაჰმად-ხანს ჯერ ქართლ-კახეთი ააოხრებინა, შემდეგ კი დასუსტებულ საქართველოს თვითონვე დაეპატრონა, — ხელში ჩაიგდო ქართლ-კახეთის მმართველობა, უფრო მოგვიანებით, 1801 წლის 12 ენკენისთვეს, საქართველო გამოცხადდა რუსეთის იმპერიის ნაწილად. უსამართლობისათვის, სისტემატური ყვლეფისათვის რუსეთს 1802 წელს აუჯანყდა კახეთი, 1804 წელს — კახეთთან ერთად მთიულეთი, 1812 წელს — ქართლი, 1819-1820 წლებში — იმერეთი და, ასე და ამგვარად, ამ წლებში, მარტო ამ წლებში კი არა, 1918 წლის 26 მაისამდე საქართველოს მიწა-წყალი რუსეთსა და საქართველოს შორის შეუწყვეტელი ომების ასპარეზი იყო. წყობა შეიცვალა, მაგრამ ისტორია განმეორდა. რუსეთის ცბიერება და ბოროტება საქართველოს მიმართ 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგაც გაგრძელდა. როგორც ზემოთ ითქვა, 1920 წლის 7 მაისს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთმა 9 თვეში დაარღვია — განდევნა, მოსპო, გაანადგურა საქართველოს კანონიერი მთავრობა და მის ადგილზე ქართველი ხალხის დაუკითხავად წამოასკუპა ჯალათთაგან შემდგარი მთავრობა. ეს იყო „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" შედეგი საქართველოში. ეს იყო 1917 წლის 7 ნოემბრის მიერ ნაშობი საბჭოთა რუსეთის მიერ მოწყობილი ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებით გასაბჭოებაც, რასაც შემდეგ ანექსია მოჰყვა.

მოჰყვა და საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრიობა, გაუქმდა ქართული ფული, დაიშალა ქართული არმია, საქართველო კვლავ რუსეთის, მაგრამ ამჯერად არა მეფის რუსეთის, არამედ საბჭოთა რუსეთის კოლონია გახდა. ამას მოჰყვა საქართველოს საზღვრების დარღვევაც, ქართული მიწის გასხვისებაც. ლენინმა და ლენინელებმა საქართველო ყველა მხრიდან გაკრიჭეს. ქართველი ხალხის დაუკითხავად ბატონმა რუსეთმა ანგორას დაუთმო ბათუმის ოლქის ნაწილები და ართვინი, სომხებს მისცა ბორჩალოს მაზრის, აზერბაიჯანს — ზაქათალის, სიღნაღისა და თბილისის მაზრების ნაწილი. ესეც არ იკმარა და ქართულ მიწაზე ხელოვნურად შექმნა ავტონომიური დანაყოფებიც. 1917 წლის 7 ნოემბრის მიერ ნაშობი ლენინური პოლიტიკა — ქართული მიწა-წყლის გასხვისების პრაქტიკა 1924 წლის კონსტიტუციის შექმნის შემდეგაც გაგრძელდა. სტავროპოლის მხარისათვის ყლუხორის რაიონის გადაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კუთვნილი მიწიდან რსფსრ-ს გამგებლობაში გადავიდა 268,5 ათასი ჰა, 1956 წელს ყაზბეგის რაიონიდან რსფსრ-ს გადაეცა 82,4 ათასი ჰა, დუშეთის რაიონიდან — 147,6 ათასი ჰა. სულ 1951 წლიდან 1958 წლამდე უკანონოდ, კონსტიტუციური უფლებების დარღვევით რსფსრ-ს გადაეცა 499,4 ჰა, ბალანსის მიხედვით, საქართველოს ტერიტორია 1958 წელს შეადგენდა 7016,6 ათას ჰას, დღეისათვის კი შეადგენს 6970 ათას ჰას, ე. ი., ამ პერიოდშიც საქართველოს ტერიტორიას ჩამოაჭრეს 46,6 ათასი ჰა, და განა მარტო ეს? ქართველი ხალხის დაუკითხავად რუსეთმა საბჭოთა წლებში საქართველოს მიწაზე უამრავი საკავშირო დაქვემდებარების სანატორიუმი, პანსიონატი, დასასვენებელი სახლი, ქარხანა, სამხედრო ბაზა შექმნა და ამ გზითაც ათეულ ათასობით ჰექტარი მიწა ამოიღო საქართველოს გამგებლობიდან. ახლაც, „პერესტროიკის" პერიოდშიც, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, 480 ჰა ფართობის ტერიტორიაზე მიმდინარეობს თურმე ბატონი რუსეთისათვის აგარაკის მშენებლობა.

ე. წ. „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია საქართველოში 25 თებერვლის ტრაგედია, ამ სისხლიანი 25 თებერვლისა კი — საბჭოთა რუსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ 1922 და 1924 წლის ქართველთა აჯანყების ჩახშობა, საქართველოში გლეხური მეურნეობის გაჩანაგება, შეძლებული გლეხების აწიოკება, ინტელიგენციის რეპრესირება, უდანაშაულო ადამიანთა დაუსრულებელი დაპატიმრებები, გადასახლებები, დახვრეტები, 1956 წლის ახალგაზრდების დარბევა თბილისში, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია თბილისში და სხვა. როგორც ზემოთ ვთქვით 1917 წლის 7 ნოემბრისა და 1921 წლის 25 თებერვლის მონაპოვარია, აგრეთვე, საქართველოს მიწა-წყლის დაყოფა ავტონომიურ რესპუბლიკებად და ავტონომიურ ოლქად, რომელსაც შედეგად მოჰყვა დღევანდელი „ეთნოკონფლიქტები"..

— ე. წ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია დროდადრო „ცენტრის" ფარისევლობა თავისი კოლონიებისადმი. კრემლმა საქართველო ლენინის ორდენით სამჯერ დააჯილდოვა: პირველად — 1935 წლის 15 მარტს, მეორედ — 1965 წლის 29 დეკემბერს, ხოლო მესამედ — 1983 წლის 28 ოქტომბერს. ე. ი. საქართველო სამგზის ლენინის ორდენოსანია, დიახ, იმ კაცის სახელობის სამგზის ორდენოსანია, რომელსაც, როგორც ალექსანდრე სოლჟენიცინი ამბობს, არასოდეს გააჩნდა არავითარი შეწყნარებლობა და არც არავითარი ჰუმანიზმი ადამიანებთან ან მასებთან და, საერთოდ არავისთან დამოკიდებულებაში, ვინც ბრმად არ მისდევდა მას, ვინც ოდნავ მაინც გადაიხრებოდა მისგან.

დიახ, მე კი არა, ალექსანდრე სოლჟენიცინი ამბობს: სიტყვა „ბოროტი" ფართო მეტაფიზიკური გაგების გარეშე, თავისი ყოფითი მნიშვნელობითაც შეგიძლიათ იხმაროთ ლენინის მიმართ. ჰოდა, ასეთი, ისტორიაში ჯერ არნახული ბოროტი კაცის სახელობის პირველი ორდენი ფაქტიურად საქართველოს მთავრობამ იმ დროს მიიღო, როცა კრემლის დიქტატით საქართველოში მძვინვარებდა მასობრივი რეპრესიები, გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა შეძლებული გლეხების, მუშების, პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის მასობრივი დაპატიმრებები, გადასახლებები, დახვრეტები; მეორე ორდენი საქართველოს მთავრობამ იმ დროს მიიღო, როცა ქართული მიწა უმოწყალოდ იყიდებოდა. ქართულ მიწაზე ყველა ჯურის გადამთიელი სახლდებოდა, სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშგებაში სიცრუეს ზღვარი არ ედო, მექრთამეობა სულ უფრო მეტად ვითარდებოდა; მესამე ორდენი საქართველოს მთავრობამ იმ დროს მიიღო, როცა მარტო ქართული მიწა კი არა, საქართველოში ყველაფერი იყიდებოდა, იყიდებოდა მინისტრის, მინისტრის მოადგილის, კომუნისტური პარტიის, რაიკომის მდივნის, აღმასკომის თავმჯდომარის და, საერთოდ, ნებისმიერი თანამდებობებიც...

ჰოდა, ახლა მაინც ყველაფერი ეს რომ ვიცით, ისიც რომ ვიცით, მარტო საქართველოს კი არა, საბჭოთა იმპერიის ყველა კოლონიას, აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას კი არა, მთელ მსოფლიოს ლენინმა და ლენინის მიერ ორგანიზებულმა „დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ" აურაცხელი ზიანი მოუტანა, დღემდე განუკურნებელი სენი დამართა, მარტო საქართველოში კი არა, მთელ საბჭოთა იმპერიაში მექრთამეობა, კორუფცია, ყაჩაღობა დაამკვიდრა; ეკონომიკური და პოლიტიკური, ეროვნული და ეკოლოგიური კრიზისი უკიდურესობამდე გაამწვავა, მეურნეობრიობა მოშალა, ხალხი დაამშია და კაპიტალისტური ქვეყნებისაკენ ხელი გააშვერინა, გეკითხებით ბატონებო, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" სამოცდაცამეტი, შემდეგ სამოცდათოთხმეტი და ასე შემდეგ... წლისთავი — 7 ნოემბერი კვლავ და კვლავ ვიზეიმოთ? საქართველო სამგზის ლენინის ორდენოსანია დღესაც, ხვალაც და შემდგომაც ვიძახოთ? ხომ არ აჯობებს კრემლის მიერ ნაბოძები ლენინის ორდენები ე. წ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენობიდან უახლოეს 7 ნოემბერს რომ გამოვასვენოთ? 7 ნოემბერი, და არა მარტო 7 ნოემბერი, არამედ 25 თებერვალიც საქართველოში ზეიმის დღედ კი არა, გლოვის დღედ რომ გამოვაცხადოთ?

აჯობებსო რომ ამბობთ, ეს მარტო ერთმა, ორმა, სამმა... თქვას? ვთქვათ, ვთქვათ ყველამ ერთად:

— აჯობებს, როგორ არ აჯობებს, აჯობებს და ასედაც უნდა გაკეთდეს, 7 ნოემბერი და 25 თებერვალი, მართლაც, მართლაც გლოვის დღეებად, ხოლო 26 მაისი და ის ახალი, მოახლოებული, მაგრამ ჯერ ჩვენთვის უცნობი აპრილის, თუ მაისის მეორე დღეც, რომელიც საქართველოს მოუტანს სახელმწიფოებრიობის აღდგენას — პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ზეიმის, დიახ, საყოველთაო ზეიმის დღეებად უნდა გამოვაცხადოთ.

**ალექსანდრე კუჭუხიძე,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

გთხოვთ, ჰონორარი საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ფონდში გადარიცხოთ.

# ჩემი უზენაესი მსაჯული საქართველოა

**ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა რესპუბლიკის პროკურორს ბატონ ვახტანგ რაზმაძეს და ინტერვიუ ჩამოართვა მას, რომელსაც დღეს გთავაზობთ**

— ბატონო ვახტანგ! აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ, ხშირად გაისმის საყვედური რესპუბლიკის პროკურატურისა და, კერძოდ, პირადად თქვენს მიმართ, ცნობილია ამ საყვედურის მიზეზებიც. დაუსჯელად დადიან როგორც აფხაზეთის, ასევე ოსეთის არეულობის მეთაურები, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო „დაბალი რანგის დამნაშავეებზე", ხალხს მიაჩნია, რომ ეს ყველაფერი პროკურატურის ბრალია.

ბევრმა არ იცის, რომ პროკურატურაში უკვე დევს ოზგანისა და მის მსგავსთა საქმეები, არ იციან, რომ სასამართლო პროცესები რომ ჭიანურდება, ეს პროკურატურის ბრალი არ არის.

ჩვენ ვიცით, პირადად თქვენ რამდენი იბრძოლეთ, აფხაზეთის საქმე საკავშირო პროკურატურას რომ არ წაეღო. ისიც ვიცით, როგორ გაძალებდნენ საკავშირო ორგანოები 9 აპრილის შემდეგ სამართალში მიგეცათ ეროვნული მოძრაობის ლიდერები, რაზეც თქვენ უპასუხეთ, ჯერ როდიონოვი და სხვა დამნაშავენი მიეცით პასუხისგებაში, დანარჩენზე შემდეგ ვილაპარაკოთო. მაგრამ ეს ყველამ როდი იცის.

გვინდა გკითხოთ, ბოლოს და ბოლოს, როდის წარსდგებიან დამნაშავენი სამართლის წინაშე? ხალხი მათ დასჯას მხოლოდ სამართლიანობისათვის კი არ მოითხოვს, არამედ იმისთვისაც, რომ სასამართლო პროცესი გამოაჩენს საქმის ნამდვილ არსს, ამხელს ნამდვილ დამნაშავეებს, რომელთა ბოროტმოქმედებასაც მსოფლიოს თვალში სასურველ საბურველში ახვევენ აფხაზი და ოსი ექსტრემისტები.

და თუ თქვენ მათ სამართალში მიცემას ვინმე არ განებებთ, ხომ არ არის ეს, სულ რბილად რომ ვთქვათ, უხეში ანტიკონსტიტუციური ქმედება?

— მე ღრმად ვარ დარწმუნებული, დადგება დრო განსჯისა და ისტორია თავის ადგილს მიაკუთვნებს ყველას, ვინც აფხაზ ხალხში გააღვივა შუღლი და სიძულვილი ქართველების მიმართ, ვინც საქართველოდან ხელს უწყობდა ამ შუღლის გაღვივებას, ვინც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ვალდებული იყო დასაწყისშივე აღეკვეთა ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლის დათესვის ცდა, მაგრამ მიუტევებელი დათმობებით ხელი შეუწყო აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისა და სხვა ეროვნების ხალხთა კონსტიტუციური უფლებების შელახვას, ვინც საკუთარ კეთილდღეობას ანაცვალა საქართველოს ძირძველ მიწაზე — აფხაზეთში მცხოვრები ქართველი ხალხის ბედი, ფეხქვეშ გათელა მათი სასიცოცხლო ინტერესები და იქ მცხოვრები ხალხის ბედის გადაწყვეტა მოსახლეობის უმცირესობას მიანდო. აი, ეს საკითხები უნდა აღელვებდეს პირველ რიგში იმ დემაგოგებს და ვაიპატრიოტებს, ვისაც მიაჩნია, რომ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა ცუდად იმუშავეს 1989 წლის 15 ივლისს ქ. სოხუმში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებისა და დამნაშავეთა მხილებისათვის.

ჩვენ არაერთხელ მოვახსენეთ რესპუბლიკის მოსახლეობას პროკურატურის ორგანოების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებზე და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ სპეციალური საგამომძიებლო ჯგუფის მიერ, რომელიც ჩვენ შევქმენით 15 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით, აღძრულია 164 სისხლის სამართლის საქმე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 121 პირი, მათ შორის 85 აფხაზი, 32 ქართველი, 3 რუსი, ერთი ბერძენი. წინასწარ პატიმრობაში იყო აყვანილი 76 პირი. პასუხისგებაში მიცემულ პირთა შორის მილიციის მუშაკია 16 და ერთი პროკურორი. სასამართლოებშია 69 საქმე 99 პირის მიმართ.

იმისათვის, რომ მკითხველმა სწორად გაიგოს, რატომ არის პასუხისგებაში მიცემული თითქმის 3-ჯერ მეტი აფხაზი, ვიდრე ქართველი, აქვე მოგახსენებთ, რომ 15 ივლისის ტრაგედიის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიღუპა 16 კაცი. აქედან 9 ქართველი, 5 აფხაზი, ერთი რუსი და ერთი ხომეხი, სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო 495 კაცმა, აქედან ქართველი იყო 342, აფხაზი — 125, ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობა მიიღო 115 ქართველმა და 40 აფხაზმა. ვფიქრობ მკითხველისათვის ნათელი გახდა ვის უფრო მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ერთმანეთის პირისპირ იყვნენ ქართველები და აფხაზები და მათ შორის მოხდა შეტაკება.

განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ქართველებსა და ოსებს შორის წარმოშობილი კონფლიქტის შედეგად მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიებისას.

ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დაჟინებითი მოთხოვნით, იქ მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე გამოძიებას აწარმოებს ადგილობრივი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოები. ზოგიერთი საქმე, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა, რესპუბლიკის პროკურატურამ მიიღო წარმოებაში, დავადგინეთ, დავაპატიმრეთ და მივეცით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოქ. ა-ს გაუპატიურებისათვის 8 პირი, თუთარაშვილის მკვლელი და თანამონაწილენი, დადგენილია 9 თვის ბავშვის მკვლელი, რომლის დაპატიმრება სანქცირებულია და გამოცხადებულია ძებნა.

აქვე მინდა აღვნიშნო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ოსეთში მომხდარი დანაშაულების ფაქტებზე გამოძიებულ საქმეთა სასამართლოში განხილვისადმი. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ვაფრთხილებთ იმ გარემოების შესახებ, რაც შეიძლება ამ საქმეთა განხილვისას წარმოიშვას, ისინი ყურად არ ღებულობენ ჩვენს შეგონებას და საქმეები არ ღებულობს თავის ლოგიკურ დაბოლოებას.

დანაშაულებრივი დაუდევრობა გამოიჩინეს მათ ვ. თუთარაშვილის მკვლელობის საქმის განხილვისადმი. ორნახევარი თვის განმავლობაში საქმე უმოძრაოდ იდო უმაღლესი სასამართლოს კანცელარიაში ისე, რომ არცერთი მოსამართლისათვის არ გადაუციათ განსახილველად, ეს მაშინ, როცა თუთარაშვილის მკვლელის მშობლები შიმშილობენ ქ. ცხინვალში და მოითხოვენ საქმის განხილვის დაჩქარებას, ხოლო ხალხი — მკვლელის დასჯას.

სულ სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებთან დაკავშირებით აღძრულია 89 საქმე, 30 კაცი მიცემულია პასუხისგებაში, დანარჩენ საქმეზე გამოძიება გრძელდება.

აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა და იქ მცხოვრები ქართველი ცხოვრობს თავის მშობლიურ მიწაზე. ვისაც ამის გაგება არ სურს, მას საერთოდ არ შესწევს უნარი სიმართლეს თვალი გაუსწოროს. ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებაში, პირველ რიგში, უნდა დარწმუნდნენ იქ მცხოვრები ქართველები. ამას იმიტომ ვაცხადებ, რომ ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრები ქართველი გაურბის სიმართლის თქმას მათი კანონიერი უფლებების შელახვის და სხვა დანაშაულის ფაქტებზე, იმის შიშით, რომ შემდეგ მას ამისათვის სამაგიეროს გადაუხდიან. რატომ შეიქმნა ასეთი რწმენა, აი, ამაზე პასუხი კი არ უნდა მოეთხოვოს, არამედ პასუხი უნდა აგოს რესპუბლიკის იმ ხელმძღვანელებმა, ვინც თავიანთი დაუდევრობით ეროვნული პრობლემების გადაწყვეტისადმი, კადრების შერჩევის საქმეში დაშვებული დანაშაულებრივი მოქმედებებით უმცირესობა გააბატონეს უმრავლესობაზე. აი, საიდან დაიწყო ის გაუმართლებელი მორჩილება, რომელსაც ზოგჯერ ქართველები იჩენენ იქ ანტიქართული პოლიტიკისადმი, უფრო მეტიც, ეროვნებასაც იცვლიან და აფხაზებად ეწერებიან.

ახლა იმის შესახებ, ჩვენ რომ გვსაყვედურობენ, რატომ არ ვაძლევთ პასუხისგებაში იმ ხელმძღვანელ მუშაკებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივებისათვის, პირველ რიგში, მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ მიმდინარე წელს, საბჭოთა კავშირში ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივებისათვის არცერთი პირი არ არის მსჯავრდებული. ჩვენთან, საქართველოში კი, დღეს მსჯავრდებულია 18 პირი. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ყველამ იცოდეს, ჩვენ ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებაც შეგვიძლია და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემაც, მაშ რატომ არ ვაძლევთ პასუხისგებაში აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის თავკაცებს? იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს კანონი დეპუტატის სტატუსის შესახებ, რომლის მიხედვითაც თუ შესაბამისი საბჭო არ მოგვცემს თანხმობას, დეპუტატის პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლება, როგორი მძიმე დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი მას. ის პირნი, ვინც თქვენ გყავთ მხედველობაში, რომ პასუხისგებაში უნდა მიეცენ და ვიზედაც ჩვენთან საკმაო მამხილებელი მასალები არსებობს, ყველანი არიან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. ე. ი. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უნდა მოგვცეს თანხმობა მათი პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ახლა ვნახოთ, როგორ არის დაკომპლექტებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. მის შემადგენლობაში არჩეულია ექვსი აფხაზი, 4 ქართველი. მაშინ, როცა აფხაზეთის მოსახლეობის 47 პროცენტი ქართველია, 17 პროცენტი აფხაზი. ხომ ხართ დარწმუნებული, რომ ისინი თანხმობას არ მოგვცემენ, აი ამიტომ, ჯერჯერობით, ვერ ვაძლევთ მათ პასუხისგებაში.

ჩვენი ერისათვის ისეთი ტრაგედიები, როგორიც აფხაზეთსა და ოსეთში დატრიალდა, ასე არ უნდა მიიჩქმალოს; ვისაც მიაჩნია, რომ ამ მოვლენათა მხოლოდ სამართლებრივი შეფასება გამორიცხავს მსგავსი ფაქტების გამეორებას, ის მწარედ ცდება. საქმე იმაშია, რომ ქართველ ერს არასოდეს არ განუცდია მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერის წარმომადგენელთა ასეთი უმსგავსო უმადურება. ჩვენ დამნაშავეებს ვამხელთ, საზოგადოების ერთი ნაწილი მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მეტი დავიჭიროთ და დავსაჯოთ, თავად არაფერს არ აკეთებს იმისათვის, რომ მოვლენებს ნათელი მოეფინოს, ჩვენი მოწინააღმდეგენი კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მთელ მსოფლიოს ამცნობენ, რომ ქართველები ავიწროებენ აფხაზებს და ოსებს, ხოლო ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე და ჩამოხრჩობით ემუქრება საქართველოს მცხოვრებთ საკუთარი ნების გამოხატვისათვის. აი, ასეთი ვაიპატრიოტების დამსახურებაა, რომ საქართველოს მცირე იმპერიას უწოდებენ და ჩვენი სიმართლე არ სჯერათ.

აფხაზეთსა და ოსეთში დატრიალებული ტრაგედიის მთელი სიმძიმის გადატანა პროკურატურაზე, იმ პირთა შემოქმედებაა, ვისაც არ სურს ჭეშმარიტების დადგენა, განა რესპუბლიკის პროკურორის ბრალია, რომ ამ რეგიონების მოვლენებს დღემდე ღრმა პოლიტიკური შეფასება არა აქვს მიცემული? უკეთესი და უფრო შთამბეჭდავი არ იქნებოდა, რომ პარტიულ ან საბჭოთა ორგანოებს თავისი სიტყვა ეთქვა ამ მოვლენათა გამო, ყველაფრისათვის თავისი სახელი დაერქმია, პოლიტიკური შეფასება მიეცათ იმ თანამდებობის პირთა საქმიანობისათვის, ვინც განზრახ თუ გაუფრთხილებლობით ამ მდგომარეობამდე მიიყვანა ერთა შორის ურთიერთობა, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ დაეხმარებოდა გამოძიების ორგანოებს ასეთი პოლიტიკური დოკუმენტი ჭეშმარიტების დადგენაში. ასეთი რამ არ გაკეთებულა. მიუხედავად ამისა, მე ოპტიმისტი ვარ და, ვფიქრობ, შეიქმნება ალბათ სიტუაცია, როცა ჩვენ საშუალება მოგვეცემა ყველა დამნაშავე მივცეთ პასუხისგებაში.

— დაგვეთანხმებით ბატონო ვახტანგ, დღეს განუკითხაობაა ყველგან, ჩვენშიც და მთელ საბჭოთა კავშირშიც. მთავრობის უმოქმედობით გათამამებული სხვადასხვა ჯურის დამნაშავეებმა თავისუფლად გაშალეს ფრთები. კატასტროფულად იმატა მკვლელობამ, ძარცვა-გლეჯამ, ბანდიტიზმმა, ძალმომრეობამ, გამოძალვამ, დაშინებამ. ნება მიბოძეთ გკითხოთ, რა ხდება, რა ამბავია ჩვენს თავს, აღარ შეგვიძლია დამნაშავეობასთან ბრძოლა? თუ საკავშირო მთავრობას ხელს აძლევს არასტაბილური მდგომარეობა? ეს რომ მარტო ჩვენში ხდებოდეს, მაშინ საკითხი სულ სხვანაირად დადგებოდა, მაგრამ გამეფებული ქაოსი ხომ საერთო სურათია მთელს საბჭოთა კავშირში.

იქნებ იმის შიში გვაქვს, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლას რეპრესიებში ჩაგვითვლის უცხოეთი და ამით ჩრდილი მიადგება ჩვენს პერესტროიკას?!

— ამას წინათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეს ვეცნობოდი. საქმეს ერთვის ამ შემზარავი დანაშაულის შესახებ იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული მასალები. აი, რა წერია ერთ-ერთი გაზეთის სარედაქციო წერილში: „ხალხი ძალაუნებურად ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას და ქვეწარმავლებიც ამოძვრნენ თავიანთი სოროებიდან. დადგა ანარქიის ბატონობის დრო, ქურდთა და ავაზაკთა თარეშის ხანა, გახშირდა ძარცვა-გლეჯა, ავაზაკობა, ყაჩაღობა, სრულიად უმიზეზო მკვლელობები. პოლიტიკური ცხოვრების ზღვაზე ქარიშხალი შეწყდა, სანაცვლოდ შეიძრა მყრალი ჭაობი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აიშალნენ ატმოსფეროს მომწამლავი ბაქტერიები". ჩემი აზრით, ეს სიტყვები საოცრად მიესადაგება დღევანდელ ცხოვრებას და ვითარებას. მთელი უბედურება იმაშია, რომ ხალხი ჩამოშორდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, გახდა გულგრილი და ინდიფერენტული, განელდა ცხრა აპრილის სევდა და ეროვნული მოძრაობის ცეცხლი, კორუფციამ და ანგარებამ გაიდგა ფესვები, პოლიტიკურმა სულიგნებმა, ცრუ პატრიოტებმა და პატივმოყვარე დემაგოგებმა წამოყვეს თავი, მოინდომეს საქართველოს ფაქტობრივი მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება და იმის გამო, რომ მათ რეალურ წინააღმდეგობას არავინ უწევს, დიდ წარმატებებსაც აღწევენ, უკანონო და უზნეო მეთოდებით მონაწილეობენ საკადრო პოლიტიკის განხორციელებასა და მატერიალურ ფასეულობათა განაწილებაში, ძარცვავენ ხალხსა და ქვეყანას, უდიდეს ზიანს აყენებენ რესპუბლიკის ისედაც გაპარტახებულ ეკონომიკას. რა უნდა გააკეთოს პროკურატურამ, როცა მთლიანად ქვეყანაში (მხედველობაში მაქვს საბჭოთა კავშირი) მოშლილია სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ოფიციალური ხელისუფლება ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს, მორჩილად მიჰყვება მოვლენებს, თავისი მდგომარეობის შესანარჩუნებლად და გასახანგრძლივებლად მიდის ყველა დათმობასა და გარიგებაზე. წაყრუების, განზე გადგომის, ცრუ [illegible] პოლიტიკა [illegible] ვითარებას, იწვევს ახალ კონფლიქტებსა და ტრაგედიებს. ასეთ [illegible] პროკურატურისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა არ იძლევა დიდ შედეგს. გგონიათ, არ ვსჯით მკვლელებს, ბანდიტებსა და გამომძალველებს? ვსჯით და საკმაოდ მკაცრადაც, მაგრამ საყოველთაო გულგრილობისა და განუკითხაობის, გაჭირვებისა და სილატაკის პირობებში ამას აღარა აქვს დიდი გამაფრთხილებელი ძალა და მნიშვნელობა.

რესპუბლიკაში რომ დამნაშავეობა იზრდება კატასტროფულად, ეს ყველამ იცის, ან რატომ არ უნდა იზრდებოდეს, ხომ უდავოა, რომ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, ჩვენ ისეთი ყოფიერება გვაქვს, რომ უნდა ველოდოთ დანაშაულის შემდგომ კანონზომიერ ზრდას. მთავარი მაინც, მე ვფიქრობ, რესპუბლიკის მოსახლეობის დამოკიდებულებაა ამ მოვლენებისადმი. არავითარი დაინტერესება მდგომარეობის გამოსწორებისათვის, არავითარი სურვილი, ზეგავლენა მოახდინონ გარშემომყოფ პირთა ქცევაზე, რომლებიც არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და ჩადიან სხვა მძიმე დანაშაულს, არავითარი სურვილი სამართალდამცავი ორგანოების თანადგომისა, მოსახლეობის ერთი ნაწილი უაღრესად გამომწვევად იქცევა, დემონსტრაციულად არ ემორჩილება ქუჩაში და საცხოვრებელ ადგილებში დაწესებულ ქცევის ნორმებს. ხალხი საშინლად გაღიზიანებულია, დაიკარგა ერთმანეთის მიმართ კეთილმეზობლური, ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა, საშინელი ტემპით იზრდება მკვლელობები, მკვლელობის მცდელობა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების შემთხვევები. ზოგიერთ შემთხვევაში ბზარი შეეპარა ქართულ ცოლქმრულ ერთგულებას, რის გამო გახშირდა მკვლელობები ამ ნიადაგზე. საერთოდ შესუსტდა ყურადღება ოჯახური სიმტკიცისადმი, რითაც ჩვენ ყოველთვის ვამაყობდით, ამან კი გამოიწვია ბევრი ოჯახის დანგრევა, შვილების უმეთვალყურეოდ დატოვება და ახალგაზრდობის დანაშაულში ჩათრევა, კატასტროფულად იზრდება არასრულწლოვანთა დანაშაული.

ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიმდინარეობს მოსახლეობის შეიარაღება, თუ ეროვნულ მოძრაობაში დროზე არ დამყარდა წესრიგი და ურთიერთგაგება, თუ ამ მოძრაობაში წინა პლანზე არ წამოიწევს სამშობლოს სიყვარული და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, თუ ამბიციურობასა და კარიერისტულ მისწრაფებებს არ შეცვლის ზრუნვა ეროვნული, დემოკრატიული პარლამენტის შექმნისა, ჩვენ გვემუქრება სამოქალაქო ომის საშიშროება, აკი გამოვლინდა ამის სიმპტომები: ურთიერთობის გარკვევა იარაღის გამოყენებით, დაპირისპირებულ მხარეთა გამალებული შეიარაღება, პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შტაბბინაზე შეიარაღებული თავდასხმები, მკვლელობები და სხვა მრავალი ფაქტი.

დღეს, როცა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა წინასაარჩევნო კამპანია, მასში მონაწილე ყველა პარტია და პირი ვალდებულია ამომრჩევლებთან შეხვედრა მაქსიმალურად გამოიყენოს იმისათვის, რომ მოსახლეობას მობილიზაცია გაუკეთოს დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩვენმა ამომრჩევლებმა პირდაპირი დავალება უნდა მისცენ დეპუტატობის კანდიდატებს, რომ მათი პოლიტიკური მო-

(დასასრული მე-4 გვ.)

(დასასრული)

ღვაწლობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი იქნება თუ რა მუშაობას ჩაატარებს ის სამართალდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესებისა და სამართლიანობის დანერგვისათვის.

— ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ დავადექით დემოკრატიზაციის სწორ გზას. ვფიქრობთ, თუ ასე გაგრძელდა, მთელს ქვეყანაში სრული ქაოსია მოსალოდნელი. ჩვენის აზრით, დემოკრატიზაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც პატივს სცემენ კანონს და სადაც კანონი მოქმედებს მთელი ძალით. დიახ, დემოკრატიას კანონი უნდა იცავდეს. და თუ კანონები არ იცავენ დემოკრატიას, მაშინ მხოლოდ ანარქიაა ცრუ დემოკრატიის გარდაუვალი მომავალი. როგორ გესახებათ ჩვენი ცხოვრების ხვალინდელი და ზეგინდელი დღე?

— სავსებით ვიზიარებ თქვენს აზრს. ნამდვილი დემოკრატია, სახალხო ხელისუფლება და მმართველობა, სოციალური სამართლიანობა და მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა შესაძლებელია მხოლოდ კანონიერების რეჟიმის პირობებში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ნამდვილად ხორციელდება კანონით დადგენილი დემოკრატიული ნორმები. რა დემოკრატიულ უფლებებსა და ინსტიტუტებსაც არ უნდა ადგენდეს კანონი, დემოკრატიაზე ლაპარაკიც ზედმეტია თუ ამ კანონის მოთხოვნები ზუსტად და განუხრელად არ სრულდება, თუ სახელმწიფოში ბატონობს ტოტალიტარიზმი, განუკითხაობა და თვითნებობა. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული კანონმდებლობის გარეშე შეუძლებელია კანონიერების უზრუნველყოფა, კანონის მოთხოვნათა დაცვა და შესრულება, მოქალაქეთა აღზრდა კანონიერებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. ამაშიც გეთანხმებით, რომ ჩვენ ვთამაშობთ დემოკრატიას და ვთამაშობთ ძალიან ცუდად და უხეშად. საქართველოში ერთი წლის მანძილზე ასზე მეტი პოლიტიკური პარტია შეიქმნა და მათი რიცხვი დღითიდღე მატულობს. საეჭვოა, ეს გარემოება ცხოვრების დემოკრატიზაციისა და საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ზრუნვით იყოს გამოწვეული. აბა რა დემოკრატიაა, როცა ვისაც სად და როდის მოეპრიანება, იქ და მაშინ გამოის კარვებსა და ლეიბებს; წამოწვება მხართეძოზე და აცხადებს ნამდვილ თუ ცრუ შიმშილობას. რა დემოკრატიაა, როცა უზენაესი საბჭოს დეპუტატებზე და პროფესორ-მასწავლებლებზე საცემრად იწევენ, როცა პოლიტიკური პარტიები და გაერთიანებები იარაღის დახმარებით არკვევენ თავიანთ ურთიერთობებს და ხალხი ამას გულდამშვიდებული უყურებს. ჭეშმარიტი დემოკრატია მარტო კანონებით, სამართალდამრღვევთა პასუხისგებაში მიცემითა და დასჯით ვერ დამკვიდრდება, აუცილებელია საზოგადოების მაღალი პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურა, აუცილებელია ხალხსა და ხელისუფლებას შორის არსებობდეს სრული ნდობა და თანადგომა.

იმის გამო, რომ 73 წლის განმავლობაში მთელი ჩვენი ცხოვრება, მათ შორის აზროვნება გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული და ადამიანს საკუთარი შეხედულების თავისუფლად გამოთქმის საშუალება არ ჰქონდა, სრულიად მოულოდნელად, ჩვენი შეგნების წინასწარ შემზადების გარეშე, უდიდესმა საჩუქარმა რასაც სიტყვის თავისუფლება ჰქვია, გამოიწვია აზრთა ისეთი პლურალიზმი, როცა ზოგიერთები აღარც ფიქრობენ მასზე, რასაც ლაპარაკობენ, ანგარიშს არ უწევენ ობიექტურ ჭეშმარიტებას, არ ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებებს, კონკრეტული ფაქტების შესწავლის გარეშე აკეთებენ რაღაც გაუგებარ დასკვნებს, რითაც შეცდომაში შეყავთ საზოგადოებრიობა, ამით ზიანს აყენებენ საერთო საქმეს. ასეთი არასწორი, არაკომპეტენტური ნააზრევი ხშირად ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით, რის გამოც იქმნება გარკვეული ქაოსი, გაუგებრობა, დაბნეულობა. ეს კი ხელს უშლის საზოგადოებაში ჭეშმარიტი აზრის დამკვიდრებას.

ჩვენ, იურისტები, კონკრეტული ფაქტის შესწავლის ან საქმეზე გამოძიების ჩატარების დროს, იქ სადაც აუცილებელია სპეციალური ცოდნა იმისათვის, რომ ჭეშმარიტება დადგინდეს, ყოველთვის მივმართავთ სპეციალისტებს, ამისათვის ინიშნება და ტარდება, საჭიროების მიხედვით, ტექნიკური, სამედიცინო, საბუღალტრო, ფსიქიატრიული, ფსიქოლოგიური, ქიმიური, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური, გრაფიკული და სხვა მრავალი სახის ექსპერტიზა, რომელთა დასკვნის მიღების შემდეგ, თუ ისინი საქმის სხვა მასალებითაც არის გამაგრებული, ვაკეთებთ დასკვნას ამა თუ იმ პირის ბრალეულობის შესახებ. თუმცა გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება აქვთ არ დაეთანხმონ სპეციალისტის დასკვნას და დაასაბუთონ თავიანთი აზრი.

ახლა გადავხედოთ რა ხდება საკითხების განხილვისას, როცა სწორი შეფასებისათვის აუცილებელია იურიდიული განათლება. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ პარტიული თუ საბჭოთა მუშაკი, მუშა თუ კოლმეურნე გლეხი, ინჟინერი თუ აგრონომი, ექიმი თუ ეკონომისტი, საქმიანი თუ უსაქმური და ნებისმიერი პირი უფლებას აძლევს თავის თავს ყოველ კონკრეტულ მოქმედებას თუ უმოქმედობას მისცეს იურიდიული კვალიფიკაცია და როცა ის აშკარად უსწოროა, ედავოს ამის შესახებ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში, ისინი სამართალდამცავი ორგანოების გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ პარტიულ ორგანოებში, სადაც საჩივრებს ღებულობენ, არ აძლევენ სწორ განმარტებას საჩივრის ავტორს, თავად რაიმე გადაწყვეტილების მიღების უფლება არა აქვთ და იქმნება მდგომარეობა, როცა იწყება უხეში ჩარევა მართლმსაჯულების განხორციელებაში, უკანონო ზემოქმედება სამართალდამცავი მუშაკების მიმართ და ბიძგის მიცემა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მისაღებად.

ჩვენი სამართალდამცავი ორგანოს მუშაკებისათვის ტრაგედიაა, როცა ისინი ილლიაში ამოჩრილი სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებით მიდიან იქ, სადაც მათ არავინ არ ეტყვის, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება სწორი ან არასწორია, რადგან ამის უფლება არა აქვთ, ერთადერთი, რაც მათ იქ შეიძლება მიიღონ, ეს არის შეურაცხყოფა, რითაც არაკომპეტენტურობის კომპენსაციას ახდენს ხოლმე ზოგიერთი თანამდებობის პირი.

როცა კითხულობ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციას და ადარებ შექმნილ მდგომარეობას, ერთხელ კიდევ რწმუნდები იმაში, რომ კანონი ჩვენს ქვეყანაში არ სარგებლობს პატივისცემით და პირველ რიგში, მის მოთხოვნებს არღვევენ ის ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც თავს აცხადებდნენ და აცხადებენ ამ კანონთა მიღების ინიციატორად.

ახლა, რატომღაც დიდ მიღწევად მიაჩნიათ, რომ კონსტიტუციიდან ამოიღეს დებულება იმის შესახებ, რომ კომუნისტური პარტია არის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა ჩვენს ქვეყანაში, როგორ 1978 წლამდე, სანამ ახალ კონსტიტუციას მიიღებდნენ, ასეთი არ იყო ეს პარტია და ასეთად არ გრძნობდა თავს? განა მისი ჩარევით არ დატრიალდა უდიდესი ტრაგედიები ადამიანთა ხოცვა-ჟლეტისა სამართლებრივი და არასამართლებრივი გზით ოცდაათიან და ორმოცდაათიან წლებში? საქმე იმაში გახლავთ, რომ სახელმწიფოს მართვის საქმეში კომუნისტური პარტიის აბსოლუტურმა მონოპოლიზმმა, განაპირობა ჩვენს ქვეყანაში სამართალდამცავი ორგანოების მონური მორჩილება პარტიული ორგანოებისადმი (და არამარტო სამართალდამცავი ორგანოებისა), შეიქმნა პირობები, როცა ცალკეული ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების სიტყვას გაცილებით მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე კანონის მოთხოვნას. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ როცა ხელმძღვანელებს ამა თუ იმ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას უმტკიცებდნენ და მიუთითებდნენ კანონზე პასუხი მზად ჰქონდათ: „თქვენი კანონი არ ვიციმე!“

დღეს, როცა კომუნისტურმა პარტიამ თავად აღიარა ის შეცდომები რაც დაშვებული აქვს 73 წლის მანძილზე ქვეყნის მართვისა საერთოდ და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში ჩარევით კერძოდ, ბუნებრივია, შეასუსტა მისი ავტორიტეტი და გავლენა მასებზე, იმ დიდი უკანონობებისა და შეცდომების გამო, რაც დაშვებული აქვს სამართალდამცავ ორგანოებს, საბოლოოდ შეურყია რწმენა კანონიერებისადმი მოსახლეობას.

აი, ასეთ სიტუაციაში, როცა მმართველი პარტია ავტორიტეტდაკარგულია, ხოლო სამართალდამცავი ორგანოები ბრძოლის უნარდაქვეითებული, გამოვაცხადეთ, რომ დავიწყეთ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება. შესანიშნავი იდეაა — ყველა უნდა ემორჩილებოდეს კანონის მოთხოვნას და ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს კანონიერად.

დავიწყეთ ახალი კანონების მიღება, ამ მხრივ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა უზენაესი საბჭოს სესია შეუფერხებლად მუშაობს (თუმცა ყოველთვის ანგარიშს არ უწევს იმას, რომ მის მიერ მიღებული კანონი იმუშავებს თუ არა), მაგრამ კანონის მიღება კიდევ არ ნიშნავს, რომ დავიწყეთ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ბევრი არაფერი კეთდება იმისათვის, რომ მიღებული კანონები შეუფერხებლად მოქმედებდნენ.

არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობს ადამიანებთან, რომ მათ გამოვუმუშაოთ კანონისადმი პატივისცემა, დავუბრუნოთ შერყეული რწმენა, ან შევთავაზოთ ახალი რამ, მიზანსწრაფული იდეოლოგიური მუშაობის გარეშე, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია, რაიმე წარმატებაზე, რომ ადამიანებს დავუბრუნებთ რწმენას კანონისა და კანონიერებისადმი, ოცნებაც არ შეიძლება.

ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას თავდადება სჭირდება, რაღაც სიკეთეებზე უარი უნდა თქვა, თავისუფლებისათვის მსხვერპლი უნდა გაიღო, მაგრამ ამ იდეისათვის ყველასაგან და ყველა მსხვერპლი არ მიიღება. ჩვენ გვყავს ადამიანები, ვისაც აქვს მორალური უფლება თქვას, რომ ერის თავისუფლების სამსხვერპლოზე საკუთარი თავისუფლებაც მიმიტანიაო, მაგრამ როცა ეროვნულ ბრძოლას ეტმასნებიან ადამიანები, რომელთაც მთელი თავისი ცხოვრება ერბოკვერცხის ჭამის მეტი არაფერი უკეთებიათ, ერის სასარგებლო რაიმე ღირებულება არ შეუქმნიათ და ახლა პენსიაში გასვლის დრო რომ დაუდგათ, არსებული წყობილების ლანძღვა-გინებით უნდათ ხალხის სიმპათია დაიმსახურონ და პრეზიდენტის სავარძელსაც ეპოტინებიან, ეს, თუ მეტი არა, მათ არასერიოზულობაზე მიუთითებს. ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის ვინ რას წარმოადგენს, ვის შეუძლია იბრძოლოს მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ტელევიზორით გამოსვლა და ხალხისათვის რაღაც დაპირებების მიცემა და ამავე დროს სრული არაკომპეტენტურობა ეკონომიკის საკითხებში, იქამდე, რომ ერთმანეთისაგან ვერ გაარჩიო საკუთრების ფორმები იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი ადამიანები მხოლოდ თანამდებობისათვის იბრძვიან და არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ ერის წინაშე, განა სხვისი საქმიანობის არაკომპეტენტური და არაკვალიფიციური კრიტიკა, როცა საკუთარი საქმიანობით სახელს უტეხ ეროვნულ მოძრაობას იმაზე არ მიუთითებს, რომ ასეთი კაცი სხვის თვალში ბეწვსა ხედავს და საკუთარში დირეს ვერა.

— ბატონო ვახტანგ!

გვაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება იმ აქციებისადმი, რომელსაც „შაოსანი ქალები“ და სხვა მრავალწლიანი მომჩივნები ატარებენ. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ამ მოქალაქეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და მომავალში ასეთი რამ არ განმეორდეს.

— კითხვაზე კითხვითვე მინდა გიპასუხოთ, თქვენ ხომ ხართ დარწმუნებული, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთი რამ არ მოხდება. ჩვენთან ყველაფერი შეიძლება მოხდეს, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე შემთხვევით მაღალ თანამდებობაზე მოხვედრილმა ფუნქციონერმა თქვას, რომ განაჩენი უკანონოა, რაკი პირს თანამდებობა უჭირავს, მას შეუძლია ჩაერიოს ნებისმიერი სამართალდამცავი ორგანოს საქმიანობაში და მოითხოვოს საქმის ისე წარმართვა, როგორც მას სურს. როცა კანონის უზენაესობა იცვლება თანამდებობის პირის უკანონო გადაწყვეტილებით და ამას მოქალაქე ხედავს, მას ეკარგება კანონისადმი პატივისცემის გრძნობა და იწყება ბრძოლა არა კანონიერების განხორციელებისათვის, არამედ სასურველი შედეგის მიღწევისათვის. სამწუხაროდ, ზოგიერთ მოქალაქეს დირექტიული ორგანოების ჩარევის შემდეგ ამისათვის მიუღწევია კიდეც. ვინ წარმოშვა ეს შაოსანთა და მომჩივანთა ლაშქარი? რა თქმა უნდა, საქმეთა გარკვეულ ნაწილზე დაბალ დონეზეა ჩატარებული გამოძიება, სწორია პრეტენზიები ზოგიერთი განაჩენის მიმართ, საფუძველი აქვთ მომჩივანებს პრეტენზიები წამოაყენონ გაუხსნელ საქმეებზე, მაგრამ არის ქვეყანა, სადაც ყველა დანაშაული იხსნება ან ყველა დამნაშავის მხილება პირველსავე დღეს ხდება? აბა კარგად დაუკვირდით, პროტესტის რა ფორმებს მიმართავს ზოგჯერ სრულიად უსაფუძვლოდ ზოგიერთი დაზარალებული — მიცვალებულის სასაფლაოდან ამოღება და რაიკომში მიტანა, ქალაქ ქუთაისიდან მიცვალებულის ქ. წყალტუბოში ჩატანა და იქ მილიციაში ღამის გათევა, პროტესტის ნიშნად, რატომ საქმე არ გაიხსნა — რკინიგზის ლიანდაგზე დაჯდომა და მატარებლების მოძრაობის შეწყვეტა, მიცვალებულის სურათების გადიდება და რუსთაველის პროსპექტზე გამოფენა. ყოველივე ეს ხომ არ უნდა ხდებოდეს ცივილიზებულ საზოგადოებაში, მაშ რატომ ხდება ჩვენთან, საქართველოში. საქართველოში ხდება იმიტომ, რომ ამ ბოლო წლებში ეროვნული მოძრაობის აღორძინებასთან ერთად მომრავლდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ღალატობენ თავიანთ პროფესიას და ამ ჭირში ჩავარდნილი ხალხის ხარჯზე ეძებენ იაფფასიან ავტორიტეტს.

ჯერ იყო და რესპუბლიკის დირექტიული ორგანოების ხელმძღვანელები, რომლებიც ძალზე კარგად იცნობდნენ თითოეული შაოსნის და მრავალწლიანი მომჩივნის პრეტენზიებს, გაურბოდნენ მათთვის სიმართლის თქმას და ყოველნაირად ცდილობდნენ როგორმე გაჭიანურებულიყო მათი საქმის განხილვა და ასეთ გაუგებარ მდგომარეობაში ამყოფებდნენ მათ, შემდეგ, როგორმე რომ შეეჩერებინათ ისინი, შექმნეს ე. წ. საპარლამენტო კომისია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კომისიის შექმნა აშკარად არაკონსტიტუციურია და მათ გადაწყვეტილებებს არავითარი სამართლებრივი შედეგი არ უნდა მოყოლოდა, მე როგორც პროკურორი, შეგნებულად ვუჭერდი მხარს ამ კომისიის შექმნას, ვფიქრობდი რა, რომ კომისია ობიექტურად გაერკვეოდა საქმეებში და სწორ დასკვნებს გააკეთებდა, რაც წერტილს დაუსვამდა გაუთავებელ საჩივრებს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილე აშკარად მოექცნენ მომჩივანთა გავლენის ქვეშ და დაწერეს დასკვნები, თითქოს მათი გამოძიების თუ სასამართლოში განხილვის დროს დაშვებული იყო შეცდომები და შაოსანთა საჩივრებში აღნიშნული პრეტენზიები გადაიტანეს თავიანთ დასკვნაში.

რაც შეეხება ნოდარ ნათაძის დასკვნას იმის შესახებ, რომ საქართველოს პროკურორი უნდა ინიშნებოდეს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ, მე ერთხელ კიდევ მარწმუნებს იმაში, რომ მას არ სჯერა, რასაც თავად ამბობს და ამის გამო მოვლენებს ერთმანეთთან ვერ აკავშირებს. იგი ამტკიცებს, რომ საქართველო იქნება დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო, რაშიც არც ჩვენ და არც მას ეჭვი არ ეპარება, განა ამის შემდეგ დიდი აღმოჩენაა, რომ საქართველოს პროკურორიც ვილაცამ ამ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოში უნდა დანიშნოს?

— თქვენ რესპუბლიკის პროკურორი ბრძანდებით, კონსტიტუციურად ხელშეუხებელი პიროვნება. გვინდა გკითხოთ, თქვენი დღევანდელი მდგომარეობა რამდენადაა შესაბამისი თქვენი კონსტიტუციური უფლებებისა. გარკვეული მოვლენების გამო ხომ არ ილახება თქვენი სახელმწიფოებრივი და, თუნდაც, პიროვნული თავმოყვარეობა?

— კონსტიტუციურად ყველა პიროვნება ხელშეუხებელია. პროკურორის ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად რაიმე განსაკუთრებული სამართლებრივი წესი და რეჟიმი არ არსებობს. პროკურორიც ისევე ემორჩილება კანონს და ისევეა დაცული, როგორც ყველა მოქალაქე. მეტიც, პროკურორი, რომელიც მოწოდებულია ზედამხედველობა განახორციელოს კანონიერების დაცვაზე, თვითონ უნდა იყოს კანონიერებისა და სამართლიანობის ეტალონი. ეს ანბანური ჭეშმარიტება, მგონი, ჩემზე ნაკლებად არ მოგეხსენებათ და თქვენი მოკრძალებული შეკითხვით ალბათ, უფრო სხვა რამის თქმა გსურთ. კერძოდ, ხომ არ ილახება ჩემი ეროვნული და პიროვნული თავმოყვარეობა იმის გამო, რომ დანიშნული ვარ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ? ეს კითხვა არ არის მოულოდნელი. ალბათ, საჭიროა, ვინც ამ საკითხით დაინტერესებულია, იმპერიული პოლიტიკისა და მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის დანიშვნის ურთიერთკავშირის საკითხებს უფრო ღრმად ჩაუფიქრდეს. ვინ არ იცის, რომ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი თავისი სურვილითა და შეხედულებით კი არ ნიშნავს მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს, არამედ ამ რესპუბლიკის ხელისუფალთა წარდგინებით.

რაც შეეხება ჩემს თავმოყვარეობას, თუ მართლა ვინმეს აწუხებს, შეუძლია დამშვიდებული იყოს. გენერალური პროკურორისაგან კი არა, მამაზეციერის მიერ რომ ვიყო დანიშნული, ჩემი უპირველესი და უზენაესი მსაჯული იქნება საქართველო და ქართველი ხალხი. ჭეშმარიტმა მამულიშვილმა კი, როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა, სამშობლოს საკეთილდღეოდ ყველა უხერხულობა უნდა აიტანოს.

1990 წ. 20 ოქტომბერი.

„ვეფხისა და მოყმის" ყველა ვარიანტში, რომელიც მე წამიკითხავს (ბეჭდურად გამოცემულს ვგულისხმობ), მონადირე, ხანამ ვეფხი შეეფეთება, თოფით ჰკლავს ჯიხვს. მოკლული ჯიხვი კლდის თავიდან ჭალაში ვარდება. „ჭალას ჯახნს იქნეს რქისანი"-ო, ამბობს მთქმელი და უნდა ვიფიქროთ, რომ მოყმემ არ კი დაინახა, არამედ გაიგონა, ჯიხვი რქებით როგორ მიეხეთქა თუ დაეხეთქა ხეს ან რაღაც მაგარ საგანს. სიტყვა „ჯახნ" სწორედ რქებით მაგარ საგანზე ხეთქების შთაბეჭდილებას გვიქმნის. თუ დავაკვირდებით, ხალხური ლექსი ყოველთვის გამოირჩევა მოძრაობის გამოხატვისა და ხმის მიბაძვის იშვიათი სიზუსტით.

„ვეფხისა და მოყმის" ლექსშიც ამ თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა, ერთი გარემოება რომ არ იწვევდეს ეჭვს.

როგორც ვთქვი, მონადირემ თოფი ესროლა, თოფით მოჰკლა ჯიხვი. თუკი მართლა ასე მოხდა, თოფის გრიალში მოყმეს რქების ჯახანი წესით ვერ უნდა გაეგონა. გავიხსენოთ ვაჟა: „ხმა ალუდაის თოფისა ჰეხასა ჰგვანდა ცისასა". ვაჟა-ფშაველა ამ შედარებით ალუდას თოფის განსაკუთრებულობას ან მის გამორჩეულ ღირსებას კი არ აღნიშნავს, მან იცის, როგორც მთაში ნაცხოვრებმა კაცმა, რომ მთებისა და ჰიუხების გარემოცვაში ნასროლი თოფის ხმა მეტად ძლიერი და თავზარდამცემია. მართალია, პოემაში ალუდას თოფის „ჰეხას" სხვა აზრობრივი და ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს, მაგრამ ამჯერად მთავარია ის, რომ პოეტმა თავისი მხატვრული ამოცანის შესასრულებლად ჩვენთვის საინტერესო გამოცდილება გამოიყენა.

გასროლილი თოფის გრიალი მთაში დიდხანს არ წყდება, რადგან მას ათასი ექო იმეორებს. თოფის გასროლა, მით უმეტეს იმ დროს, როცა ის ახალი იარაღია, თანაც ძალზე შთამბეჭდავი ხმა აქვს, მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა ყოფილიყო და მთქმელი უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა, გინდაც, ბოლოს და ბოლოს, რქების ჯახანი გაეგონა: დავუშვათ, მოკლული ჯიხვი მხოლოდ თოფის გრიალის შეწყვეტის შემდეგ ჩავარდა ჭალაში.

ძნელი დასაშვებია, რადგან თოფის ჭექა-ქუხილის შემდეგ რქების ყრუ, ალბათ ძლივს გასაგონი ჯახანისათვის ყურადღების ამგვარი გამახვილება ნიშნავს სინამდვილის უშუალო განცდის დათრგუნვას, რაც არ არის ხალხური ლექსისათვის დამახასიათებელი.

უფრო ნათელი და გასაგები რომ გახდეს, რა მაწუხებს, მთლიანად ამოვწერე ბალადის ეს მონაკვეთი:

მოყმემა პირშიშველამა
შიბნ გაიარნა კლდისანი,
მოინადირნა, დალახნა
ბილიკნი ჰიუხისანი.
შამახდეს კლდისა თავზედა
ხორონი ჯიხვებისანი,
ჯიხვსა თოფ დახკრა ბერხენსა,
ჭალას ჯახნ იქნეს რქისანი.

თოფის ხმა აშკარად უგულებელყოფილია, ანდა სულაც ყურადღების მიღმაა დატოვებული, თითქოს მოყმემ ტყვიით კი არ მოჰკლა ჯიხვი, არამედ თოფის კონდახი დასცხო.

სწორედ აქ იბადება პირველი ეჭვი.

ლექსი ისეა თქმული, რომ პოეტური დინამიკის ლოგიკა, მოვლენების სწრაფი განვითარება: ჯიხვის მოკვლა — ჭალაში ჩავარდნა — რქების ჯახანი თოფის გრიალის ფიქსირებისათვის ლექსში ადგილს აღარ ტოვებს. ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა: იქნებ მოყმეს თოფი სულაც არ უსვრია, იქნებ მოყმემ ჯიხვი მოჰკლა სხვა ისეთი იარაღით, რომელიც ხმას არ გამოსცემს?

ხელნაწერთა ფონდებში დაცულია ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც მოყმე ისრითა ჰკლავს ჯიხვს და არა თოფით. აქ პატარა ლირიკული წიაღსვლა უნდა გავაკეთო: უნივერსიტეტში, პირველი კურსის ერთ-ერთ ლექციაზე (მართალია, ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო) ჩემი ყურითა მაქვს მოსმენილი, ლექტორი სწორედ იმის გამო ვარაუდობდა, ლექსი „ისრის ეპოქაშია" შექმნილიო, რომ მონადირემ ისრით მოჰკლა ჯიხვი. შემდეგ ეს მოსაზრება რატომღაც აბუჩად აიგდეს და დღემდე ყველა გამოცემაში მხოლოდ თოფიანი ვარიანტი იბეჭდება. ალბათ უნივერსიტეტშიც ამის შესაბამისად ისწავლება „ვეფხი და მოყმე".

მაინც ვნახოთ ხელნაწერთა ფონდებში დაცული ერთ-ერთი ვარიანტი „ვეფხისა და მოყმისა":

მოყმემ თქვა პირშიშველამა,
შიბნ გავიარე კლდისანი,
ჰიუხის წვერზე შამამხვდეს
ფარანი ჯიხვებისანი.
ჯიხვს ისარ დავხკარ ბერხენსა
ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი.
(ფ. არქ. კ. 27 გვ. 86).

ესე იგი არსებობს ორი ვარიანტი — „ისრიანი" და „თოფიანი". თუ კი ბუნებაში არსებობს ორი ვარიანტი, უნდა გავარკვიოთ კიდეც, პირველმთქმელმა რომელი იარაღი იხმარა: ისარი თუ თოფი? თუ მოყმემ ნამდვილი ისარი ესროლა ჯიხვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლექსი „ისრის ეპოქაშია" შექმნილი.

# მოყმემა პირშიშველამა...

## არჩილ სულაკაური

სხვათაშორის, ჯიხვის თოფით მოკვლის მომხრეებსაც არ გააჩნიათ სხვა საბუთი გარდა იმისა, რასაც ლექსში ვკითხულობთ: „ჯიხვსა თოფ დავხკარ ბერხენსაო".

ამიტომ ბუნებრივია, თვით ლექსში და მის ვარიანტებში უნდა ვეძებოთ ის ნიშნები, რომელიც საბოლოოდ გაგვარკვევს და მიგვაახლოებს ჭეშმარიტებას. მე უკვე ვთქვი, რომ პირველმთქმელი თოფის გასროლას უყურადღებოდ არ დასტოვებდა, ხოლო მოყმე გამაყრუებელ გრიალში რქების ჯახანს ვერ გაიგონებდა-მეთქი. ეს შეიძლება ვისმე საეჭვოდ მოეჩვენოს, მაგრამ მკითხველის ყურადღება უნდა გავამახვილო და შევაჩერო ერთ უცნაურ გარემოებაზე: თოფი ლექსში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები, ისიც ექსპოზიციაში, ჩვენთვის ნაცნობ კონტექსტში. შემდეგ ეს იარაღი აღარ გვხვდება, დავიწყებულია, თითქოს მონადირეს თოფი ხელში სულაც არ სჭერია. არც სინანულია გამოთქმული იმის გამო, რომ ვეფხვთან შერკინებისას მოყმემ თოფის სროლა ვერ მოასწრო. ერთი სიტყვით, თოფი უკვალოდ არის გამქრალი.

სამაგიეროდ, ყველა ვარიანტში „თოფიანშიც" და „ისრიანშიც" მოყმის სიკვდილის შემდეგ ისარი ფიგურირებს, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს.

თავად კლდის თავზე შემოწვა
მოყმე სულამომდინარი,
ქვიშას მიჰლებავს წითლადა
სისხლი ზედ ჩამომდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა
კარს უსხედს ქადაგ-მკითხავნი,—
„უერთოდ კი არ იხარჯნეს
ჩვენ მონადირნის ისარნი".

მართლაც, სხვა რომ არა იყოს რა, ხომ უნდა იკითხო უბრალოდ ანდა, ადამიანურად დაეჭვდე, თუ მოყმე თოფით იყო შეიარაღებული, მისი სიკვდილის შემდეგ რატომ არის ნახსენები ისარი და არა — თოფი?

აი, კიდევ ერთი ამონაწერი ლექსის სხვა ვარიანტიდან:

უერთად არ დაიხარჯნეს
ჩვენ მონადირნის ისარნი.

რა არის ეს, ერთად არ დახარჯული ისრის გამო ბუნებრივად გამოთქმული სინანული და ტკივილი, თუ „თოფის ეპოქაში" გამოყონილი ისრის ნოსტალგია?!

ეტყობა, ჯიხვის მოკვლა ისრით არც ისე იოლი საქმე ყოფილა. დავაკვირდეთ: ლექსში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ჭაბუკმა მონადირემ მოჰკლა ბერხენი ანუ ბეხენი ჯიხვი, რაც ბებერს, დიდტანიანს, სისწრაფედაკარგულს ნიშნავს. მთქმელი, როგორც წესი, სიმართლეს არ ღალატობს, იგი არ ტრაბახობს, უბრალოდ ფაქტს აღნიშნავს, რომ მოკლა დიდი, ბებერი ჯიხვი. ისრით ასეთი ჯიხვის მოკვლა ალბათ სიმართლესთან უფრო ახლოსაა. თოფი გაცილებით მოსახერხებელი იარაღია, შეგიძლია შორიდან ჩაუსაფრდე ჯიხვს და უფრო ზუსტად ამოიღო მიზანში. აუცილებელი არ გახლავთ გამოკვეთილად აღნიშნო, ბებერი ჯიხვი მოჰკალი თუ ახალგაზრდა, ორივე ერთნაირად დამაჯერებელი იქნება, ლექსში კი პირდაპირ არის ნათქვამი, ჯიხვი მაინც და მაინც ბებერი და დიდი იყოო.

ასეთ დეტალებს ხალხური ლექსისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მთქმელი ყოველთვის კონკრეტულ სინამდვილეს გადმოსცემს. მისთვის მთავარია რეალურში კონკრეტულის დანახვა, დაფიქსირება და არა განზოგადება. ხალხური პოეზია ახალ სინამდვილეს არ ჰქმნის, ეს არის ძირითადი ნიშანი, რითაც ის განსხვავდება ლიტერატურისაგან. ფუნჩათ ჯამრული ხალხურ ლექსში კონკრეტული პიროვნებაა, ხოლო ვაჟასთან — განზოგადოებული. ასევე ითქმის ლუხუმზეც და ვაჟას სხვა გმირებზეც, რომლებსაც ხალხურ პოეზიაში პროტოტიპები მოეძებნებათ. იგივე ითქმის ცხოვრებისეულ მოვლენებზეც, ისტორიულ ფაქტებზეც. მაგრამ თუ რომელიმე ხალხურ ლექსში განზოგადებისაკენ სწრაფვა მაინც შეინიშნება, ეს უთუოდ ლიტერატურის გავლენას უნდა მიეწეროს. ჩემის აზრით, „ვეფხისა და მოყმის" მეორე ნაწილი სწორედ ლიტერატურისაკენ ამ სწრაფვით არის აღბეჭდილი. მეც მგონია, რომ ის უფრო გვიან არის შექმნილი, თუმცა არც ისე გვიან, როგორც ზოგი ფიქრობს.

აი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ამ ლექსში ისრის სასარგებლოდ მეტყველებს: პირველმთქმელმა თუ მონადირეს თოფით მოაკვლევინა ჯიხვი, მაშინ დაუჯერებელია, ანდა ძალზე საეჭვოა, რომ შემდეგ სხვა მთქმელს თოფის ნაცვლად მშვილდ-ისარი შეეჩეჩებინა მონადირისათვის ხელში. მაგრამ თუ პირველმთქმელმა ისარი ასროლინა მოყმეს, არათუ ადვილი შესაძლებელი, არამედ მოსალოდნელიც იყო, „თოფის ეპოქაში" ვინმე მთქმელს ისარი უფრო თანამედროვე იარაღით შეეცვალა.

თითქოს ბუნებრივიც არის: ცხოვრებაში თოფმა განდევნა ისარი, ლექსშიც თანდათან ისრის ადგილი თოფმა დაიჭირა, თანაც ვერსიფიკაციულად თოფი ისევე სრულყოფილად ჩაჯდა ტექსტში, როგორც ისარი. ეს ცვლილება ხალხის ფსიქიკასა და გემოვნებას კი მოერგო, მაგრამ რა დააშავა „ისრიანმა" ვარიანტმა, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ლექსის შექმნის დრო განვსაზღვროთ. იგი ხომ ნამდვილად შეიქმნა იმ დროს, როცა საქართველოში თოფი ჯერ კიდევ არ იყო გასროლილი.

**P.S.** არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, თითქოს ამ ლექსის პირველმთქმელი უნახავთ, თითქოს პირადად იცნობდნენ კიდეც. ამის გამო რა შემიძლია ვთქვა? ამ ადამიანებს, როგორც ჩანს, ცხოვრებამ გაუმართლა: მათ შეუძლიათ თავი ინუგეშონ, გენიალური ლექსის შემქმნელს ვიცნობდითო. მაგრამ მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ მთავარია, ბუნებაში ხალხური პოეზიის შედევრი არსებობდეს. თუ ის „ისრის ეპოქაშია" შექმნილი, „მთქმელი" „თოფის ეპოქაშიც" გამოუჩნდება, მით უმეტეს, დიდი პოეტური ძალისხმევა არ დასჭირდება, უბრალოდ სიტყვა „ისარს" შეცვლის მეორე სიტყვით — „თოფით". ეს არის და ეს!

THE GEORGIAN MESSENGER
საქართველოს მაცნე
October 1-10, 1990 #1 Price 1 rouble
AN INDEPENDENT NEWSPAPER OF THE PEOPLE'S FRONT OF GEORGIA * TBILISI

# ხიდი საქართველოსა და დასავლეთს შორის

ოქტომბერში თბილისში გამოიცა საქართველოს სახალხო ფრონტის დამოუკიდებელი ინგლისურენოვანი გაზეთი — „The Georgian Messenger" (საქართველოს მაცნე), რომლის საჭიროება და მნიშვნელობა საქართველოს ეროვნული მოძრაობისათვის სავსებით გასაგებია და ნათელი. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მივესალმებით დროულად წამოწყებულ ამ დიდ, მამულიშვილურ საქმეს და აღვნიშნავთ, რომ გაზეთის რთული და საპასუხისმგებლო მისიის წარმატებით აღსრულება საყოველთაო მხარდაჭერასა და თანადგომასაც საჭიროებს უთუოდ.

ჩვენი კორესპონდენტი ელისო სიხარულიძე შეხვდა და ესაუბრა გაზეთის რედაქტორს ირაკლი კენჭოშვილსა და რედაქტორის მოადგილეს, აშშ-ს მოქალაქეს, ლუის პერაგალოს.

●

**კორ.** — ბატონო ირაკლი, რას გვეტყვით გაზეთის მიზანდასახულობისა და მისი გავრცელების გზების შესახებ?

**ი. კენჭოშვილი** — მსოფლიოსთან საჭირო და აუცილებელი ინფორმაციული კავშირის დასამყარებლად ინგლისურ ენაზე გაზეთს გამოსცემენ იზოლაციონიზმის მომხრე ისეთი ქვეყნებიც კი, როგორიცაა: ირანი, ერაყი, ლიბია, რიგი აფრიკული სახელმწიფოებისა...

ამავე მიზნით, საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდშიც გამოდიოდა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულენოვანი გაზეთები, კერძოდ, 1918-1921 წწ. ინგლისურ ენაზე გამოდიოდა სამი გაზეთი, მათ შორის „The Georgian Messenger" (რედ. ელისაბედ ორბელიანი, გამოვიდა სულ 11 ნომერი), რომლისაგანაც იანდერძა სახელწოდება ჩვენმა გაზეთმა. „The Georgian Messenger" დაეგზავნება მოსკოვში აკრედიტებულ საელჩოებს, საკონსულოებს, კორესპონდენტებს, ევროპისა და ამერიკის უმნიშვნელოვანეს საინფორმაციო სააგენტოებს, ქართველოლოგიურ ცენტრებს, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს. გაზეთი გავრცელდება, აგრეთვე, „ფრენდშიპ ფორსის" ტურისტთა გზითაც...

**კორ.** — აქვს თუ არა თქვენს გაზეთს რაიმე გამოკვეთილი პოლიტიკური მიმართულება?

**ი. კენჭოშვილი** — გაზეთი დამოუკიდებელია ყოველგვარი პარტიული იდეოლოგიისა თუ პროგრამისაგან. მისი მიზანია ასახოს ქართული ეროვნული მოძრაობის სრული პოლიტიკური სპექტრი. შეავსოს დასავლეთში საქართველოს ირგვლივ არსებული ინფორმაციული დეფიციტი და ამით დაუპირისპირდეს იმ პოლიტიკურ მითებსა და დეზინფორმაციულ მასალებს, რომელთაც ასე უხვად ავრცელებენ ჩვენი სამშობლოს შესახებ იმპერიული ძალები. ამასთანავე, გაზეთმა ხელი უნდა შეუწყოს ქართული კულტურის, ჩვენი მეცნიერებისა და ეკონომიკური პოტენციალის პროპაგანდას საზღვარგარეთ, რადგან ჩვენთვის აუცილებელია, რომ დასავლეთს გაუჩნდეს კონკრეტული ეკონომიკური ინტერესები საქართველოს მიმართ, რაც ყოველთვის ხელს უწყობს ამა თუ იმ ქვეყნის საერთაშორისო ფაქტიურ და იურიდიულ აღიარებას.

**კორ:** — ითანამშრომლებენ თუ არა თქვენთან უცხოელი ავტორები?

**ი. კენჭოშვილი** — აუცილებლად მიგვაჩნია უცხოელ ავტორთა თანამშრომლობაც, ეს დასავლელ მკითხველთ დაარწმუნებს, რომ გაზეთი არაა ტენდენციური და პროპაგანდისტული. პირველ ნომერში უკვე დაიბეჭდა ინგლისელი ჟურნალისტის ალექს რენტონის სტატია „საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ორი კვირის მანძილზე", აქვე გამოქვეყნებულია ლუის პერაგალოს „საქართველო და ჯორჯია", შემდეგ ნომერში დაიბეჭდება კანადელი ჟურნალისტის ჩეფრი სელოტისეული ანალიზი საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდისა და ა. შ.

ბუნებრივია, გაზეთის არსებობა შეუძლებელია ქართველ ავტორთა გარეშე. იგი ყოველთვის ეცდება იყოს ყველა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის ტრიბუნა. ყველას ვთხოვთ აქტიურად ითანამშრომლოს ჩვენს რედაქციასთან.

წინდაწინ აღვნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული, ავტორთა მიერ ხელმოწერილი სტატიები, შესაძლებელია, ყოველთვის არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

**კორ.** — ბატონო ლუის, გთხოვთ გვიამბოთ თქვენს შესახებ, რამ გადაგაწყვეტინათ საქართველოში ხანგრძლივად დარჩენა და გაზეთთან თანამშრომლობა?

**ლ. პერაგალო** — მე ენათმეცნიერი ვარ. ვასწავლიდი ინდიანას უნივერსიტეტში კლასიკურ ენებს, აგრეთვე, ესპანურსა და პორტუგალიურს. როგორც მკვლევარს, მაინტერესებს ენათა შინაგანი სტრუქტურების თავისებურებანი, აქ საშუალება მაქვს შევისწავლო ერთ-ერთი უძველესი ენაც — ქართული. გარდა ამისა, დამაინტერესა საბჭოური სინამდვილის ევოლუციის პროცესმა. ახლა ყურადღებით ვადევნებ თვალს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას. წერილში, რომელიც უკვე გამოვაქვეყნე „The Georgian Messenger"-ში, მკვეთრად ვასხვავებ ერთმანეთისაგან „საქართველოს" და „საბჭოთა საქართველოს". პირველი მუდმივი და მარადიულია, ხოლო მეორე, აშკარად, ზედაპირული და წარმავალი.

გაზეთთან თანამშრომლობით საშუალება მეძლევა უკეთ შევიცნო საქართველო, ამასთანავე, ჩემი მცირედი წვლილიც შევიტანო მისი სანუკვარი მიზნის განხორციელებაში.

ზოგჯერ მგონია, ბედისწერამ მომიყვანა აქ სწორედ ამ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში...

საქართველოსადმი პირადი სიმპათიებისა და თანაგრძნობის მიუხედავად, ვეცდები შევინარჩუნო ობიექტურობა, რაც აუცილებელია გაზეთისათვის.

ეს გახლავთ ჭეშმარიტების ძიების ჩემი გზა...

# ღია წერილი ა. ი. სოლჟენიცინს

ღრმად პატივცემულო ალექსანდრ ისაის ძევ!

„კომსომოლსკაია პრავდასა" და „ლიტერატურნაია გაზეტაში" დაბეჭდილი თ ქ ვ ე ნ ი სტატია „როგორ მოვაწყოთ რუსეთი?" მრავალმა მილიონმა ადამიანმა წაიკითხა. სწორედ ამ გარემოებამ წაგვაქეზა მოგვემართა თქვენთვის ამ ღია წერილით, რადგან ამ თქვენს ნაშრომში საქართველოსთვის გვერდი არ აგივლიათ.

მართალია, ჩვენს მტკივნეულ პრობლემებს თ ქ ვ ე ნ გაზეთის სულ შვიდნახევარი სტრიქონი დაუთმეთ, მაგრამ მათი შინაარსი იმას მოწმობს, რომ თქვენ ამ საკითხს ცუდად იცნობთ, ან ვიღაცის მიერ ხართ დეზინფორმირებული. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ უკანასკნელი, ე. წ. „საჯაროობის" წლების მანძილზე ინფორმაციის საბჭოთა ორგანოებში, მცირე გამონაკლისის გარდა, ქართული პრობლემები არაობიექტურად შუქდება.

თქვენ წუხხართ „სტალინის მიერ გასახლებული მესხების თავიანთ ძირძველ ქვეყანაში შესვლის უფლების მიუცემლობის" გამო, ეს შეცდომაა. საქმე ეხება არა მესხებს, არამედ თურქებს, რომლებისთვისაც საქართველოს სამხრეთი რაიონები ძირძველ სამშობლოს არ წარმოადგენდა, ეს კი სულაც არაა ერთი და იგივე, რადგან, — დაგვეთანხმებით, — თურქების ძირძველი სამშობლო თურქეთია.

რასაკვირველია, ნებისმიერი ეროვნების პირთა გასახლება მათი საცხოვრებელი ადგილიდან სასტიკი აქტია, მაგრამ, აი, ხომ არ დგება, ვთქვათ, ჩეხეთისა და სლოვაკიის დასავლეთ რაიონებში სუდეტელ გერმანელთა დაბრუნების საკითხი, რაკი ითვალისწინებენ იმას, თუ რ ა რ ო ლ ი შეასრულეს მათ ამ ქვეყნის ტრაგედიაში 1938 წელს მიუნხენის შეთქმულების წინა თვეებში.

როცა თ ქ ვ ე ნ ხსენებულ სტრიქონებს წერდით საქართველოზე, შესაძლებელი ანალოგია აზრადაც არ მოგსვლიათ?

თ ქ ვ ე ნ ხომ ხმას არ იმაღლებთ გერმანელების დაბრუნებისათვის აღმოსავლეთ პრუსიაში, რომელიც იმავე სტალინმა შეუერთა რუსეთს და სტალინგრადის ოლქად მონათლა.

მაგრამ რომც გვერდზე გადავდოთ ეს ასპექტები თურქების პრობლემისა, თურქებისა, რომლებმაც ოდესღაც დაიპყრეს ძ ი რ ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი მ ი წ ა — მ ე ს ხ ე თ ი და იქ დამკვიდრდნენ (ჯერ კიდევ რუსთაველი წერდა თავის თავზე: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისო...")? ამას მაინც დაუფიქრდით:

1944 წელს შუა აზიაში გაასახლეს მესხეთში მცხოვრები 40-45 ათასი თურქი. ახლა ისინი 400 ათასი არიან. საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონია, რომელთაგან ქართველი 4 მილიონზე ნაკლებია. გვიბრძანეთ, ბატონო, პრაქტიკულად შესაძლებლად თუ მიგაჩნიათ ისეთი მცირე ტერიტორიის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ამდენი ადამიანის ჩასახლება? ისინი ხომ უნდა უზრუნველვყოთ ბინით, საკვებით, სამუშაოთი? ისევე როგორც მთელ სსრკ-ში, ჩვენს რესპუბლიკაშიც ხომ მოიშალა ეკონომიკა, თანაც, ამ ცოტა ხნის წინათ ხომ მძიმე სტიქიური უბედურება დაგვატყდა თავს, რის შედეგადაც ათასობით ოჯახი დარჩა უთავშესაფროდ, ჰოდა, საიდან მოვიტანოთ ყოველივე ის, რაც 400 ათას თურქს დასჭირდებოდა.

ამავე დროს, მხედველობიდან გრჩებათ კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი, მაგრამ თქვენს შორეთში და ჩვენი საქმეებიდან დაცილებულობის გამო ძნელად დასანახი გარემოება: სამხრეთ საქართველოს სწორედ იმ რეგიონებში, რომლებზეცაა საუბარი, ბევრი სომეხი ცხოვრობს და, თურქების იქ ჩასახლების შემთხვევაში, მათ შორის უმწვავესი კონფლიქტები გარდაუვალია. პრესა კი ახმაურდება „სისხლისღვრაზე საქართველოში", ისე ახმაურდება, რომ წვრილმანებში ჩაღრმავებას არ შეეცდება და ისევ ქართველები ჩაითვლებიან დამნაშავეებად. ჰოდა, რა ვქნათ ჩვენ?

ორი სტრიქონით მაღლა თ ქ ვ ე ნ წერდით „აფხაზებისა და ოსების შევიწროებაზე". სამწუხაროდ, თქვენ, ალექსანდრ ისაის ძევ, ამ საკითხზეც ცუდადა ხართ ინფორმირებული. აი, სულ რამდენიმე ოფიციალური ციფრი „აფხაზების შევიწროებაზე". აფხაზებს, რომლებიც აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მოსახლეობის სულ 17,8%-ს შეადგენენ, აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში 140 დეპუტატის ადგილიდან 57 ადგილი, ანუ 41% ეკუთვნით, ქართველებს კი, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის 45,7% შეადგენენ, დეპუტატის მანდატთა 38% აქვთ. საოლქო კომიტეტის 119 წევრიდან 52 ანუ 44% აფხაზია, 49 წევრი ანუ 41% — ქართველი. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში 12 მინისტრიდან 8 აფხაზია.

ახლა კულტურულ „შევიწროებაზე". აფხაზებს, — შეგახსენებთ, რომ ისინი შეადგენენ აფხაზეთის ასსრ-ის მოსახლეობის 17,8%-ს — აქვთ თავიანთი უნივერსიტეტი, ტელეცენტრი, ეროვნული თეატრი, წიგნის გამომცემლობა, დიდი მოცულობის ლიტერატურული ჟურნალები, პრესა, შემოქმედებითი კავშირები (მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა), ფოლკლორული ანსამბლები.

გვიბრძანეთ: სსრკ-ში (ან სადაც გნებავთ), რომელ ეროვნულ ჯგუფს, რომელიც 93 ათას კაცს შეადგენს, აქვს ეს ყველაფერი?

ასეთივე ვითარებაა სამხრეთ ოსეთშიც. აი, ჩრდილოეთ ოსეთში კი, რომელიც რსფსრ შემადგენლობაში შედის, ამ უკანასკნელ წლამდე ა რ ც ე რ თ ი ოსური სკოლა არ იყო. უეჭველია, რომ სსრკ-ის სხვადასხვა რეგიონებში უფრო მრავალ თუ მცირერიცხოვან ეროვნებებს შორის დაპირისპირება იღებს სხვადასხვაგვარ, მათ შორის მიუღებელ, დაუშვებელ ფორმებსაც. მაგრამ მათ დაუფიქრებლად მიაწერენ არა ანტიჰუმანურ რეჟიმს, რომლის ნაციონალური პოლიტიკაც იმთავითვე გამიზნული იყო უსახო, არასამართლებრივი, უფიქრელი და უნებისყოფო „საბჭოთა ხალხის" შექმნისკენ, არამედ, მართალია, უფრო მრავალრიცხოვან, მაგრამ ამდენადვე დაჩაგრულ, შევიწროებულ ხალხებს. მაგრამ განა ღ ვ თ ი ს გ ა ნ დავიწყებულ ამ იმპერიაში არის თუ არა თუნდაც ერთი სხვაზე მეტად ან ნაკლებად დაჩაგრული, შევიწროებული ხალხი?! ეროვნულ და ეროვნებათაშორის პრობლემათა გადაჭრის გზა ერთია — ესაა დემოკრატიული წყობა და ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა.

და უკანასკნელი. თ ქ ვ ე ნ გიწერიათ ფრაზა: „სიტყვამ მოიტანა და, ის (საქართველო) რუსეთმა კი არა, მხოლოდ ლენინმა დაიპყრო 1921 წ."

ამ სიტყვებში ისმის ექო ფართოდ გავრცელებული მცდარი შეხედულებისა საქართველოს რუსეთთან „ნებაყოფლობით შეერთების" არსის შესახებ მცდარი შეხედულებისა, რომელიც წარმოშვა მრავალი ისტორიკოსის მიერ ამ პრობლემის დამახინჯებულად გაშუქებამ.

მართლაც, გამოუვალ ვითარებაში ჩავარდნილმა მეფე ერეკლე მეორემ ერთმორწმუნე რუსეთს სთხოვა მფარველობა და დახმარება, რისთვისაც დათანხმდა, რომ თავისი თავი რუსეთის იმპერატორთა ვასალად ელიარებინა. მაგრამ მას რუსეთისთვის ა რ უ თ ხ ო ვ ი ა ბაგრატიონთა დინასტიის დამხობა და საქართველოს სამეფოს გაუქმება (რაც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევა იყო) და მის ნაცვლად ორი გუბერნიის — ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების — შექმნა, რაც მალე მოჰყვა საქართველოში რუსეთის ჯარების შესვლას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თ ქ ვ ე ნ, ალექსანდრ ისაის ძევ, ყველა ეს ფაქტი რომ გცოდნოდათ, საქართველოს მიმართ ასეთ უსამართლო და დაუმსახურებელ საყვედურს არ წარმოთქვამდით.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქართველები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ სხვა ხალხებისადმი შემწყნარებლობით. ამ მიმართებით ფაქიზ ბარომეტრს წარმოადგენს მკვიდრი მოსახლეობის დამოკიდებულება ებრაელებთან. ასე მაგალითად, 1918 წელს ებრაელთა მსოფლიო კონგრესზე, რომელიც მაინის ფრანკფურტში გაიმართა, პასუხად ერთი დეპუტატის მწარე სიტყვებისა, მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც ანტისემიტიზმი არ პარპაშობდესო, რაბინმა დავით ბააზოვმა განაცხადა: ასეთი ქვეყანა არსებობს, ის არის საქართველო, მცირერიცხოვანი ქრისტიანი ერი, რომლის წიაღაც ჩვენ ვცხოვრობთ უკვე 2500 წელი და არასოდეს გვიგრძვნია მტრობა, არ განგვიცდია ჩვენი უფლებების შელახვა. საქართველომ არ იცის გეტო, დარბევები, დისკრიმინაციებიო... მთელი დარბაზი ფეხზე წამოიჭრა და ოვაციები გამართა.

ებრაელებს გარდა საქართველოში ცხოვრობენ აფხაზები, სომხები, ბერძნები, პოლონელები, ოსები, აზერბაიჯანელები, რუსები, ასირიელები, უკრაინელები, ესტონელები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. როგორ ფიქრობთ, ქართველებს ისინი რომ შეევიწროვებინათ, თავიანთ საცხოვრებელ ადგილად საქართველოს აირჩევდნენ? ჩვენ აღარაფერს ვამბობთ რუს დუხობორებსა და მალაკნებზე, რომლებიც თავიანთი სამშობლოდან გამოდევნა მეფის ხელისუფლებამ და რომლებმაც თავშესაფარი და ღირსეული ცხოვრების პირობები საქართველოში ჰპოვეს. აი, რატომ ჩაიშალა საქართველოში ე. წ. „ინტერფრონტის" შექმნის ცდები.

ბევრი რამ სასიკეთოდაც იცვლება, თუ თ ქ ვ ე ნ, ალექსანდრ ისაის ძევ, როდესმე შესაძლებლობა მოგეცემათ, ჩამობრძანდით საქართველოში, მიგიღებთ, როგორც ძვირფას სტუმარს. გიჩვენებთ ყველაფერს, რის ნახვასაც ინებებთ, გაგაცნობთ ნებისმიერ მასალას, რაც კი გაინტერესებთ, შეგახვედრებთ ყველას, ვისთან შეხვედრასაც მოისურვებთ.

გთხოვთ, ეჭვს ნუ შეიტანთ თქვენდამი ჩვენს უღრმეს პატივისცემაში.

**ლევან ხაინდრავა**
მწერალი

**ელდარ შენგელაია**
კინორეჟისორი

# „შენი უკვდავი ხმა, საქართველოვ"



კიევის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ცნობილი უკრაინელი პოეტის, უკრაინულ ენაზე ქართული ლიტერატურის ღვაწლმოსილი მთარგმნელის ოლექსა ნოვიცკის დაბადების 75 წლისთავი. პოეტის საიუბილეო დღეებში გაზეთმა „პრავდა უკრაინი" გამოაქვეყნა სარედაქციო წერილი „თარგმანები ქართულიდან", რომელშიც ნათქვამია:

„უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც იგი შთაგონებით აშენებს მეგობრობის ხიდს უკრაინულ და ქართულ ლიტერატურებს შორის. ყოველივე ეს კი თბილისში ჩვეულებრივი ჟურნალისტური მივლინებით დაიწყო, სადაც გაზეთ „ვისტის" ახალგაზრდა კორესპონდენტი ოლექსა ნოვიცკი 1934 წელს ჩავიდა პირველად. დამწყები ლიტერატორის წარმოსახვა მოხიბლა და დაატყვევა საქართველოს ცამ, საქართველოს მთებმა, საქართველოს ადამიანებმა. იმ დღეებში დაიბადა მისი პირველი ლექსები მზიური მხარის სილამაზეზე, იქ მცხოვრები ადამიანების სულიერ სიუხვეზე. და იმ პირველი ნახვით სიყვარულის გაგრძელებად იქცნენ ქართველ ავტორთა ლექსების თარგმანები.

უკრაინულ ენაზე თარგმნილმა პოეტურმა ნაწარმოებებმა მოიცვეს ო. ნოვიცკის მიერ მიკოლა ბაჟანთან ერთად შედგენილი ორტომიანი ანთოლოგია „ქართველი ხალხის პოეზია", რომელშიც, სხვა თარგმანებთან ერთად, დაბეჭდილია ო. ნოვიცკის მიერ თარგმნილი ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი". ანთოლოგიას მოჰყვა წიგნები „მზიური მტევანი" და „ცისარტყელიანი ხიდებით", რომელთა ავტორ-შემდგენელიც ო. ნოვიცკია. პირველი მათგანი უკრაინელ მკითხველებს აცნობს ახალგაზრდა ქართველი პოეტების შემოქმედებას, ხოლო მეორე — უკრაინისა და საქართველოს ლიტერატურულ კავშირებს მეთორმეტე საუკუნიდან დღემდე. ო. ნოვიცკი ერთადერთი უკრაინელი პოეტია, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება".

„პრავდა, უკრაინის" რედაქცია იუბილარს ახალ შემოქმედებით წარმატებას უსურვებს, მკითხველს სთავაზობს ნიკოლოზ ტიხონოვის მიერ რუსულად თარგმნილ ო. ნოვიცკის ლექსს „უკრაინაში გამგზავრების წინა ღამეს თბილისში დაწერილი ლექსი" (რომლის ჩემეულ თარგმანსაც აქვე ვთავაზობ ქართველ მკითხველებს).

კიევიდან მივიღე ოლექსა ნოვიცკის ბარათი: „შეგიძლია მომილოცო ისტორიული დრამის „თამარ ცბიერის" თარგმნის დასრულება. ეს დრამატული პოემა შევა კრებულში, რომლის გამოცემასაც აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისათვის ამზადებს გამომცემლობა „დნიპრო". ამავე კრებულში დაიბეჭდება ჩემ მიერ თარგმნილი აკაკის ლირიკული ლექსები".

ჩვენი სტუმრის, ჩვენი მწერლობის ძველ ძმასა და მეგობარს აკაკის პოემის თარგმნის გასრულებაც მივულოცოთ და საუკუნის მეოთხე მეოთხედში გადადგომაც! მივულოცოთ და ხანგრძლივი, ჯანმრთელი სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი სიხარული ვუსურვოთ!

**მთარგმნელი**

## ოლექსა ნოვიცკი

### უკრაინაში გამგზავრების წინა ღამეს თბილისში დაწერილი ლექსი

მე ჯერ არ ვიცი, შორეულ მხრიდან
ჩემს ლექსში რატომ მოდიან ხშირად
მთები,
  ღრუბლები,
    მდინარეები,
მუხები, მდგარნი კლდეების პირად.
ან ამ შორეულ მხარეში რატომ
ვჭვრეტ სილამაზეს ასე ძლიერად...
მზის სხივი სულ სხვა სითბოთი მათოვს,
ულერს ჩანგის სიმი უფრო ხმიერად.
მე ჯერ არ ვიცი, დიახ, არ ვიცი,
აქ რატომ ვხვდები უფრო მეტ მოყვასს...
ვისმენ ქართველი ქალწულის სიცილს
და ვარდის ალი ამიწვავს ლოყას.
ჰო, მე არ ვიცი,
  არ ვიცი ჯერაც,
მზიანი გულით დასალოცავი
რატომ ულერს მისი ხმა ასე მწველად,
დაუდუმარი და საოცარი.
...ბალახგადავლილ მიწაში როცა
ვიწვები და მზე დახატავს მდელოს,
დაე, ჩამესმას სიცოცხლის ლოცვად
შენი უკვდავი ხმა,
  საქართველოვ!
ჩემს ფხიზელ თვალებს ავახელ მყისვე,
რომ ისევ ვნახო შენი შვილები,
ქართლის ცა,
  ფშავის წყარო და ნისლი
და მწვერვალები ცადაწვდილები.
ისევ ვიტანჯო, ისევ ვიზარო
ისე, ვით ბედმა ჩემთვის ინება,
და გულისგულთან კვლავ მივიტანო
შენი წუხილიც და დალხინებაც.

თარგმნა **თეიმურაზ ჯანგულაშვილმა**

# კოლაუ ნადირაძე



ქართულმა მწერლობამ, ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი, მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი, „ცისფერყანწელთა ორდენის" უკანასკნელი მოჰიკანი კოლაუ ნადირაძე.

მან — მაღალი მხატვრული ოსტატობის, ფართო და მრავალმხრივი ერუდიციის, იშვიათი შემოქმედებითი პოტენციის ხელოვანმა ღირსეულად განაგრძო და განავითარა ჩვენს დროში მრავალსაუკუნოვანი ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო პატრიოტული და ჰუმანისტური ტრადიციები და დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარებაში.

მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე კოლაუ ნადირაძე — გამოჩენილი ქართველი მწერალი და მოაზროვნე — დაუღალავად იდგა სამწერლო ცხოვრების შუაგულში და თავდაუზოგავად ემსახურებოდა ჩვენი მხატვრული კულტურის გამდიდრებასა და განვითარებას.

კოლაუ ნადირაძე დაიბადა 1895 წლის 26 თებერვალს ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, მოისმინა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ჟურნალ-გაზეთებში მუშაობდა სტილისტად...

კოლაუ ნადირაძე სამწერლო ასპარეზზე 1916 წელს გამოვიდა, როდესაც ქართველ სიმბოლისტთა ახლად დაარსებულ ჟურნალ „ცისფერ ყანწებში" დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „ავზნიანი ქალაქი". თავად კოლაუ ნადირაძე გახლდათ ამ ჯგუფის ერთ-ერთი უაქტიურესი წევრი, წევრი ცისფერყანწელთა ორდენისა, რომელმაც XX საუკუნის გარიჟრაჟზე დიდი ძალისხმევა გასწია თანამედროვე ქართული ლექსის განახლებისათვის.

კოლაუ ნადირაძის პირველი წიგნი „ბალდახინი" (1919) ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისებთან" (1916) და გალაკტიონის „არტისტულ ყვავილებთან" (1919) ერთად XX საუკუნის ქართული პოეზიის პირველი ნიშანსვეტია. ეს პატარა კრებული კარგად წარმოაჩენდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა შემოქმედის პოეტური კულტურისა და ინტერესების ზოგად მიმართულებას, რომლისთვისაც უცხო არ იყო ფილოსოფიურ-რელიგიური ხასიათის წიაღსვლები. მისი ადრინდელი პოეზიის შედევრია სანდრო ცირეკიძისადმი მიძღვნილი ლექსი „ოცნება საქართველოზე", რომელშიც სტატიკური სურათოვნებით და მელანქოლიური ინტონაციით არის გამჟღავნებული ძველი საქართველოს უკანასკნელი ხილვა: სასტიკი გარდაუვალობის წინაშე მთელი თავისი იდილიურობითა და შემკრთალი გარინდებით მდგარი ქვეყანა, რომელიც დროის ახალი ქროლვის გამო მივარდნილ სავანედ ქცეულა.

1940-50 წლებში კოლაუ ნადირაძე აქვეყნებდა ლექსებს, რომლებშიც დიდი დრამატიზმით არის გადმოცემული მისი დამოკიდებულება სამშობლოსადმი. გრძნობის ასეთი სიმძაფრით აღბეჭდილი ლექსები იშვიათია XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. ოცმარცვლოვანი ტერცინებით დაწერილი ეს ლირიკული ქორალები („სამი აჩრდილი", „შენ ჩემში ცოცხლობ", „მე მიყვარს დილა", „ჩემი ვარსკვლავი", „წიწამურიდან საგურამომდე") ქართული პოეზიის ბრწყინვალე შენაძენია. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ლექსი „წიწამურიდან საგურამომდე", რომელშიც მთელი ძალით გამჟღავნდა კოლაუ ნადირაძის პოეტური ენერგია, მისი მართალი და პრინციპული დამოკიდებულება ჩვენი ყოფისადმი.

როდესაც პოეტის შემოქმედებას ეცნობით, რჩება შთაბეჭდილება, რომ მან თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე შემოინახა დიდი პოეტური ძალა, რათა ხანდაზმულობაშიც არ განელებოდა შთაგონების ცეცხლი: საოცარია, რომ ბოლოდროინდელ დახვეწილ, ფერადოვან ლექსებში პირველი დაუვიწყარი სიყვარულის ურყოლვას ახალგაზრდული მგზნებარებით აცოცხლებდა, ხატავდა სიჭაბუკის მეგობართა წარუშლელ სახეებს, ხატავდა გულისტკივილითა და განუმეორებელი ხელოვნებით. კოლაუ ნადირაძეს არასოდეს გახუნებია ქართული სიტყვა, არასოდეს უღალატია საკუთარი პოეტური მრწამსისათვის, სიმართლისათვის, ჭეშმარიტებისათვის. მის ჩუმსა და ფიქრიან ლექსებში ლოცვასავით ისმოდა სამშობლოს უკვდავების საგალობელი. ეს ლექსები პათეთიკ, ნაზი და მომხიბვლელია, რაინდული შემართებით აღჭურვილი და დამშვენებული. კოლაუ ნადირაძე, უპირველეს ყოვლისა, ლირიკოსი გახლდათ, შესანიშნავი მცოდნე ადამიანის სულისა. მას არ იტაცებდა სიტყვის ბრჭყვიალება, გაურბოდა მაღალფარდოვანებას, ზეაწეულ ტონს, არასოდეს არ ღალატობდა ზომიერების გრძნობა. მთავარი ძარღვი მისი გამჭვირვალე და სინათლით სავსე პოეზიისა სიცოცხლისათვის ფეთქავდა, უბერებელი გულის ფიქრებს ამჟღავნებდა, ამქვეყნიურ სილამაზეს ეტრფოდა.

კოლაუ ნადირაძეს არასდროს უზრუნია საკუთარი პოეტური სახელის განდიდებისათვის, პოეტური კარიერისათვის. თითქოს და ჩუმად, როგორც მას სურდა და ეწადა, წერდა ჩვეული მოკრძალებითა და რუდუნებით, ძალდაუტანებლად და თავდადებით. ყველა მისი საუკეთესო ქმნილება იდგა და დგას ერისა და ქვეყნის სამსახურში.

კოლაუ ნადირაძის შემოქმედების გაცნობისას შეუძლებელია არ იგრძნოთ ჭეშმარიტი პოეტის ელვარე შთაგონება, ძლიერი, მჩქეფარე ტემპერამენტი, მდიდარი და დახვეწილი პოეტური კულტურა და, რაც მთავარია, უაღრესად თვითმყოფი ტალანტი, ის თანდაყოლილი მკაფიო ნიჭიერება, რომელიც იგრძნობა მის ლირიკულ ლექსებშიც, პატარა მოთხრობებშიც და თარგმანებშიც.

რთული წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა კოლაუ ნადირაძეს, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შეუბღალავი მოქალაქეობრივი ზნეობით იცხოვრა, მუდამ მართალი იყო საკუთარ თავთანაც და მშობელ ქვეყანასთანაც.

ამიტომაც დიდია ქართველ მწერალთა მწუხარება ამ ჭეშმარიტი შემოქმედის, დახვეწილი ინტელიგენტის, საქართველოს ერთგული შვილის გარდაცვალების გამო. სანუგეშოდ ისღა გვრჩება, რომ მის შესანიშნავ შემოქმედებას, სამშობლოს სადიდებლად თქმულ საგალობელს ვერას დააკლებს ჟამთა სიავე და შთამომავლობას განძად დარჩება, როგორც მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ერთი უბრწყინვალესი ნიმუშთაგანი.

**საქართველოს მწერალთა კავშირი.**

# ფოთლები ქარში

გარდაიცვალა კოლაუ ნადირაძე.

გარდაიცვალა უკანასკნელი წევრი „ცისფერყანწელთა" ბრწყინვალე ორდენისა, ორდენისა, რომლის წევრებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული კულტურის ისტორიაში. ტრაგიკული ბედი ხვდათ წილად ცისფერყანწელებს, მაგრამ მათ თავიანთი არსებობითა და დაუცხრომელი ლიტერატურული ძიებებით სრულიად ახალი სუნთქვა შთაბერეს მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიას.

პაოლო იაშვილი,
ტიციან ტაბიძე,
ვალერიან გაფრინდაშვილი,
კოლაუ ნადირაძე.

ეს ის სახელებია, რომელთაც ჩვენში დავიწყება არ უწერიათ. ეს ის ძმობაა, რომელსაც სინდისი არასოდეს გაუყიდია.

ტიციან ტაბიძე მოკლეს, პაოლო იაშვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. გრიგოლ რობაქიძე — ქართული სიმბოლიზმის მეტრი და ცისფერყანწელთა უფროსი მეგობარი — იძულებული გახადეს სამშობლოდან გადახვეწილიყო.

კოლაუ ნადირაძე ცოცხალი გადარჩა, მაგრამ მას შემდეგ დალხინებულად ერთი დღეც არ უცხოვრია. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი ლიტერატურული პრინციპებისა, თავისი მეგობრებისა და სამშობლოსი. თავსდატეხილი ტრაგედიები ძალზედ მძიმედ გადაიტანა, მაგრამ სულიერად არ გატეხილა. არ გატყდა ფიზიკურადაც. 95 წელი იცოცხლა და ამით თითქოს ნიშანი მოუგო მათ, ვინც მისი კოლეგები უდროოდ გაისტუმრა მოუსავლეთში.

იშვიათია ჩვენში ამ რანგის მწერალი, ასე დისკრიმინირებული და მიტოვებული რომ ყოფილიყოს. მარტოსული კაცი იყო, რამდენიმე მეგობარი ჰყავდა, მთელ დროს ან მათთან ატარებდა, ან კიდევ ოჯახში საწერ მაგიდასთან იჯდა და სიტყვასთან პაექრობდა.

ჯიუტიც იყო, ერთხელ ნათქვამს არ გადათქვამდა. ქვეყანაც რომ დაქცეულიყო, რომ იტყვიან, კოჭს არავის გაუგორებდა.

არა და როგორი მოუბარი იყო, როგორი მთხრობელი. რამდენჯერ დავუტყვევებივარ მის საოცარ მოგონებებსა და პოეტურ წიაღსვლებს.

კოლაუ ნადირაძე, უპირველეს ყოვლისა, იყო ბრწყინვალე პოეტი, ვინც არაერთი შედევრით გაამდიდრა ქართული პოეზია.

მისი ლექსი პირველად მაშინ შემიყვარდა, როცა პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი სასწაული სტრიქონები წავიკითხე:

პაოლო, ჩემო სისხლო და
ხორცო,
დაე, მე მომხვდეს მრისხანე
მეხი,
მინდა მაგ თვალზე ცრემლი
მოგხოცო
და მწარედ დაღლილს დაგბანო
ფეხი.

ასეთი სიყვარულითა და ერთგულებით გამთბარი სიტყვები, ერთი პოეტის მიერ მეორისადმი მიძღვნილი, მე არ წამიკითხავს. თუ ვინმე ჩემზე განსწავლული სხვა ლექსებს შემახსენებს, მადლიერი დავრჩები.

კოლაუ ნადირაძის ლექსისთვის უცხოა ყოველგვარი პათოსი. მის პოეზიაში, უპირველეს ყოვლისა, განცდათა სიმძაფრე და სულის უსათუთესი სიმების წრფელი ჟღერა გვატყვევებს.

აბა, ყური მივუგდოთ:

შენ ველარ გიმზერ, ჩემი სიმღერა
აღარ მოესმის შენს ცისფერ
ველებს!
მე მშობლიური დავკარგე კერაც
და მაინც გიწვდი ალერსით
ხელებს.
რად მაგონდება ასე ულმერთოდ
შენი თხემები ჩამოქცეული?
რად მინდა მოვკვდე და
შეგიერთო
შენ ჩემი სისხლი, ჩემი სხეული?

ასე იწყება მისი დიდებული ლექსი „იმერეთი", რომელსაც საოცარი შთაგონებით კითხულობდა სულგანათლებული სერგო ზაქარიაძე.

ახალგაზრდობაში ბოჰემური ცხოვრების ტრფიალი, დარდიმანდი მოქეიფე და მუშტმაგარი მოკრივე ყოფილა ბატონი კოლაუ. ას წელს მიტანებულ პოეტს რიონზე ცურვის ნატვრაში აღმოხდა, თურმე, სული.

რას არ უყვებიან კოლაუ ნადირაძეზე.

ერთხელ, მეგობრებში ნაქეიფარი, შუაღამით ქუთაისის სობოროს სამრეკლოზე ასულა და ზარის გრიალით მთელი ქალაქი გაუღვიძებია.

ერთხელ ქუთაისის ბაღში სამი გათავხედებული ავყია ისე გაულახავს, რომ მათი მოქნეული ხელი არ მოხვედრია.

ერთხელ აბობოქრებული რიონი გარდიგარდმო ოთხჯერ გადაუცურავს. სულში კი, სულში უმძაფრეს ტკივილს ატარებდა:

კრწანისის ახლოს ყიოდა გედი,
ქარი მიწამდე აწვენდა ლერწამს...
სხვა რა მოხდება ამაზე მეტი,
რაც დღემდე გულის ფიცარს
მილეწავს?!

ლექსის კითხვასა და კამათში არაერთხელ დახთენებიათ თავზე ცისფერყანწელებს. მაშინ რომ საქართველოში ლიტერატურული ატმოსფერო სუფევდა, ნეტავ ისეთი კიდევ ოდესმე გვაღირსა.

გალაკტიონ ტაბიძისადმი მის სუბიექტურ დამოკიდებულებას უხვამენ ხოლმე ხშირად ხაზს, მაგრამ მე აქ ვერავითარ კრიმინალს ვერ ვხედავ. ერთი თაობისანი იყვნენ და, აბა, რა ვიცით, რა გულისტკივილი ჰქონდათ.

ბატონმა დავით კვიცარიძემ მიამბო: გალაკტიონის დაკრძალვის წინა დღეებში ქუთაისიდან თბილისში ჩამოვედი. კოლაუს სახლში მივაკითხე. კარები მეუღლემ გამიღო და მითხრა, სამი დღეა თავის ოთახში ზის კარჩაკეტილი და გარეთ არ გამოდისო. დავუკაკუნე. ვუთხარი, ვინც ვიყავი და კარი გამიღო. საოცრება ვიხილე. სამი დღის წვერგაუპარსავს ფანჯარაზე შავი ნაჭერი ჩამოეფარებინა, სიბნელეში იჯდა და გალაკტიონს გლოვობდა.

აკი ვთქვი, ერთი თაობისანი იყვნენ-მეთქი. თავიანთი ურთიერთობისა თავად უკეთ უწყოდნენ, ჩვენ მათ საქმეში ნუ ჩავერევით.

ვერას ვიტყვი იმ ავადმოსაგონარ დროზე, როდესაც კოლაუ ნადირაძე შერისხული დაიარებოდა თავის სამშობლოში, მაგრამ აგერ, სულ ახლახან, ლექსისთვის „25 თებერვალი 1921 წელი", თვითონ პოეტიცა და ისინიც, ვინც ეს ლექსი „მერანში" გამოცემულ კრებულში „პოეტის ათასი სტრიქონი" გაპარა, კინაღამ ჯვარს აცვეს.

თოვდა და თბილისს ეხურა
თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა
ნელა.
ეფინებოდა გმირების გვამებს —
განგმირულ მკერდებს,
დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.

საბედნიეროდ, დღეს სიონის ზარებიც მძლავრად გუგუნებენ და ქართველმა ხალხმაც ძალუმად ამოიღო ხმა.

საქართველოს უმშვენიერესი გარიჟრაჟი ახლოვდება. თავისუფლება კარზეა მომდგარი. და ამ დროს მიდის ჩვენგან საუკუნეს მიტანებული პოეტი. დაცხრა მეამბოხე სული, დაცხრა, მაგრამ ტკივილიანი ოცნება რისთვისაც იგი ასე ეწამა, მალე ახდება.

ჩვენ კი მხარი უნდა შევუდგათ მის პატიოსან, უკანასკნელ სასახლეს და შემოდგომის მზიან დღეს დიდუბის პანთეონისკენ მიმავალ გზას გავუყენოთ.

და მიეახლება პოეტი საყვარელ მეგობრებს, რომელთაც სულიერად არც არასოდეს დაშორებია.

ამ დღეს, ალბათ, იქნება ქარი და იქნება ფოთოლცვენა, როგორც პოეტი დიდი ხნის წინ წერდა თავის ერთ-ერთ პირველ ლექსში:

ფოთლები ქარში, ფოთლები
ქარში!
— შენ რისთვის შეკრთი
საბრალო დაო?
— საშინელება ჩამოდგა კარში...
— ილოცე მაინც, ო, საცოდავო!
ფოთლები ქარში, ფოთლები
ქარში!..

**ენვერ ნიჟარაძე**

# გამოთხოვება ბატონ კოლაუ ნადირაძესთან

გარდაიცვალა 95 წლის „ცისფერყანწელი" კოლაუ ნადირაძე. მაგრამ მეოცე საუკუნის პოეზიის ცას შერჩა მისი კაშკაშა ვარსკვლავი. ქართველი ხალხის გულში დარჩა პოეტის ნათელი ხსოვნა, კეთილშობილი, შთაგონებული სახის უკვდავი ხატება. რომელსაც არასოდეს მოაკლებს მადლიერი შთამომავლობა სინათლესა და სიყვარულს...

კოლაუ ნადირაძე — ერთი შეხედვით ამაყი და მიუკარებელი, სინამდვილეში კი სათუთი და მოსიყვარულე, ულირსისადმი დაუნდობელი, მახვილივით შემართული, პრინციპული, მშობელი ერის დიდ შემოქმედებით პოტენციაში დაჯერებული, ფიცხი და მართალი. ჭეშმარიტად საქართველოზე და პოეზიაზე თავშეწირული რაინდი... მან თავის ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ათასნაირი მწარე, შემაძრწუნებელი კატაკლიზმებით სავსე წლეში გამოიარა, მაგრამ დაცემული და დამცირებული არავის უნახავს. იგი ყოველთვის დიდბუნებოვნებასა და შეუპოვრობას იჩენდა ძალადობისა და უსამართლობის წინაშე, რადგან იცოდა, მართალი იყო ღმერთთანაც და კაცთანაც.

კოლაუ ნადირაძემ განუწრელად, შეუბღალავად, რაინდულად ატარა სამშობლოსა და ქართველი ხალხის სიყვარული. მისმა ახლო მეგობრებმა იციან, როგორი სინანულითა და სიამაყით იტყოდა ხოლმე: „მე რა მიჭირს, სამი წელი მაინც ვიცხოვრე თავისუფალ საქართველოში". ამ სიტყვებში ჩანს, როგორი მწუხარებითა და სიმწარით განიცადა საქართველოს ანექსია.

მისი მგზნებარე, სპეტაკი გული სავსე იყო სათნოებითა და სიკეთით. იგი საქართველოზე ლოცულობდა მუდამ და საუკუნეს მილწეული კვლავ აღფრთოვანებული ელოდა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

დიდია კოლაუ ნადირაძის დამსახურება მშობელი ერისა და ლიტერატურის წინაშე. იგი უაღრესად ერუდირებული პოეტი გახლდათ და მისი ფილოსოფიური ლირიკა მუდამ გამოირჩეოდა დიდი ზომიერების უნარით, მომეტებულად დახვეწილი ფაქიზი გამოვნებითა და გრძნობიერებით. მისი შემოქმედება ქართული კლასიკური პოეზიის უშუალო გაგრძელებაა ჩვენს დროში — როგორც ფორმით, ისე ეროვნული მოტივებითა და სულისკვეთებით.

კოლაუ ნადირაძის პატრიოტული და ზოგადსაკაცობრიო მარადიულ ტკივილებზე დაწერილი ლექსები ჭეშმარიტად ქართული პოეზიის შენაძენია. ამის საუკეთესო დადასტურებაა მისი ლირიკული ლექსები: „ოცნება საქართველოზე", „მთვარის წყალობა", „ფიქრი კრწანისზე და მანანა ორბელიანზე", „წინამურიდან საგურამომდე", „ტრიოლეტები", „ჩემი ვარსკვლავი", „სამი აჩრდილი" და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა აქ შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ მთელმა მისმა ცხოვრებამ, ბედნიერმა შემოქმედებითმა დღეებმა იმ ავადმოსაგონარ ხანაში ჩაიარა, როცა ადამიანს არათუ შემოქმედების, თავისუფლად სუნთქვის უფლებაც კი არ გააჩნდა, მან ბოლომდე წმინდად შეინარჩუნა ჭეშმარიტი პოეზიის სიყვარული და ოფიციოზის სამებლად ნაძალადევი, ხელოვნური სტრიქონებით პოეზიის ხატი არასოდეს შეუბღალავს.

კოლაუ ნადირაძე შორსაა იმ პოეტებისაგან, რომელთა ძალად გახმაურებული, ხელოვნურად განათებული ლექსები მათი ავტორის მიცვალებისთანავე ქრებიან და სამუდამო დავიწყებას ეძლევიან. მე მწამს, რომ რაც უფრო დავშორდებით კოლაუ ნადირაძეს, მისი ლექსები უფრო აელვარდება მომავალი თაობების თვალში თავისი განუმეორებელი ლბილი ფერებითა და სიწმინდით, და ეს იქნება სწორედ პოეტის უკვდავება!..

კოლაუ ნ[illegible]აძე ხშირად რამდენიმე ლა[illegible] ნათქვამი სიტყვით აცოცხ[illegible]ა შორეულ წარსულს. ის [illegible]დამ მოწიწებით საუბრობდა, [illegible]ქოს ლოცულობდა რუსთაველზე, [illegible]შა-სულხანზე, გურამიშვილზე, [illegible]ლია ჭავჭავაძეზე, ხშირად იხს[illegible] და აკაკი წერეთელს, რომ[illegible] არაერთხელ ენახა თავის ო[illegible], მამასთან სტუმრად მოსუ[illegible].

მეცხრამე[illegible] საუკუნის პოეტური შედევრებ[illegible] ყველაზე უფრო უყვარდა ბ[illegible]შვილის „შემოღამება მთაწ[illegible]ზედ", ორბელიანის „გამო[illegible]ება", აკაკის „განთიადი", ვ[illegible] „ღამე მთაში" და „ია":

წინამურ[illegible]ა კრწანისის ტრაგედიის გ[illegible]ბა გულმოუსვლელად და [illegible]მლოდ არ შეეძლო...

ვისაც ბ[illegible] კოლაუს საუბარი მოუსმე[illegible] მეგობარ მწერლებზე: ნიკო [illegible]რთქიფანიძეზე, მიხეილ ჯავა[illegible]ვილზე, გრიგოლ რობაქიძეზ[illegible]ლერიან გაფრინდაშვილზე, პა[illegible] იაშვილზე, ტიციან ტაბიძეზე, [illegible]რონტი ქიქოძეზე, პავლე ინგორ[illegible]ვაზე, გიორგი ლეონიძეზე და [illegible]ვეზე, რომელთა ცხოვრებამ მ[illegible] თვალწინ ჩაიარა, მან იცის, როგორი მღელვარებით განიცდიდა იგი მათ ბედსა და უბედობას... მახსოვს, როგორი სათნოებით მოიდრიკა მუხლი გალაკტიონის ცხედართან, როგორი მოწიწებით ემბორა მის გაციებულ შუბლსა და გულზე დაკრეფილ ხელებს და თვალები ცრემლებით აევსო...

მაგონდება, როგორი მწუხარებით მყვებოდა პაოლო იაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის შემაძრწუნებელ ამბავს. მწერალთა სახლის მეორე სართულზე ორლულიანი თოფით თავისქალაგლე[illegible] [illegible] მან დაუკრიფა გულზე ხელები, მან დაუხუჭა თვალები და პირველი ცრემლებიც მანვე [illegible] ბოლო. როცა [illegible] ოფიციალურ პირთან ერთად შინაურებისა და ახლო ნათესავების მცირე ჯგუფი მიაცილებდა პაოლოს ცხედარს პეტრე-პავლეს სასაფლაოსაკენ, კოლაუ გულმოკლული, თავჩაღუნული, მძიმე ნაბიჯით მიჰყვებოდა მათ უკან. უეცრად ჩეკისტი ქობულოვი გადაუდგა წინ და მკვახედ ჰკითხა: ვინა ხართ თქვენ და რატომ ხართ აქ?— სიურმის მეგობარი დამეღუპა და უკანასკნელ გზაზე მივაცილებო, — იყო პასუხი... და ეს იყო იმ დროს გაუგონარი გმირობა!

დიახ, ასეთი იყო კოლაუ ნადირაძე, უაღრესად მტკიცე ნებისყოფის ადამიანი, უშიშარი, მუხასავით მკვრივი და ჯანმაგარი, გაუტეხელი, რომელსაც პატიოსნება და პრინციპულობა მუდამ თან ახლდა. როგორც აქილევსის ფარი ცხოვრების ულმობელ გზაზე.

და ახლა, როცა ვეთხოვებით ბატონ კოლაუს ცხედარს, ყველას ალბათ მისი ლექსი გვახსენდება:

განა არ ვიცი, რომ მოვა ჟამი
და ვერ ვიხილავ შენს მთებს
და ჭალებს?
ქვეყანავ ჩემო, ყველაზე
ტკბილად შენ მომასვენებ
და დამაძინებ!
თვით შენი მიწა იქნება თბილი
— მე ის არასდროს არ
დამამძიმებს!

**შალვა ფორჩხიძე**

---

# ნათელმხილველის წინათგრძნობა

ყოველთვის მსიამოვნებდა ბატონი კოლაუს დანახვა, თუმცა ახლო ურთიერთობა მასთან არასოდეს მქონია. სანამ ფეხზე სიარული შეეძლო, უმეტესად „მერანის" ვესტიბიულსა და მწერალთა სახლის ბაღში ვხედავდი ხოლმე; რამდენჯერმე კიდევაც დავლაპარაკებივარ. ძალზე საინტერესო ამბების მოყოლა იცოდა. სქელი, დაფანჩული წარბების ქვემოდან გამოგხედავდა. რაღაცნაირი დაბინდული მზერა ჰქონდა. ძალიან უხდებოდა ღიმილი, მაშინვე გაეხსნებოდა მოღუშული შუბლი. საუბრისას პირის ოდნავი წკლაპუნით მოილოკავდა ხოლმე ბაგეებს, თითქოს ნერწყვი უშრებაო.

იგი ბოლომდე ერთგული დარჩა რაინდული ფიცით შეკრული თავისი საამაყო საძმოსი, „ცისფერი ყანწების" ორდენისა. მთელი თავისი არსებითა და ფიქრით მათთან იყო. ამავე დროს, მომდევნო თაობების ლიტერატორებთან, გაცილებით უმცროს კოლეგებთანაც შეეძლო გულწრფელი მეგობრობა და მეინახეობის გაწევა.

ერთხელ ოთხმოცს გადაცილებულ იგორ სტრავინსკის სიბერეზე გადაუკრეს სიტყვა და ისიც გაიგეს, რომ იმ დროს იგი „ჯიბის რეკვიემს" წერდა. მაშინ სტრავინსკიმ ინტერვიუერს ნაღვლიანად უპასუხა — ჩემი სანდაზმულობა იმდენად არ მაწუხებს, რამდენადაც ის, რომ ჩემი თაობის ფსიქოლოგია მოკვდაო (თუ არ ვცდები, იმავე ინტერვიუში აღნიშნავდა მსოფლიოს ერთი უდიდესი კომპოზიტორთაგანი ქართული პოლიფონიური სიმღერებისა და, კერძოდ, „სახანბეგურას" გენიალურობას) ამ ქვეყნად ყველაფერი სიკვდილს მორჩილებს და, მათ შორის, თაობის ფსიქოლოგიაც. ეს საბოლოოდ ყველა გონიერი ადამიანის — შემოქმედისა თუ არაშემოქმედის ტრაგედიაა. ცხადია, ბატონ კოლაუსაც გულს ულრღნიდა სევდა, გამუდმებული წუხილი იმაზე, რომ ყრმობისდროინდელი მეგობრები ადრევე შემოეფანტა, ბოლო წლებში თანატოლთაგან თითქმის აღარავინ შემორჩა.

ჩემი თაობის დამოკიდებულება ბატონი კოლაუს პიროვნებისა და პოეზიისადმი მუდამ პატივისცემისა და სიყვარულის გამომხატველი იყო; მუდამ მიგვაჩნდა. რომ მან თავისი გამორჩეული წვლილი შეიტანა ათიან-ოციან წლებში ქართული ლექსის თვისობრივად განახლებასა და ფერისცვალებაში. სწორედ ამიტომაც, „ქართული პოეზიის ანთოლოგიის" ჩვიდმეტტომეულის გამომცემელმა არჩილ სულაკაურმა „ნაკადულში" მოცი საუკუნის ავტორთა შედგენა რომ მოგვანდო (გივი გეგეჭკორს, ტარიელ ჭანტურიასა და მე), არც შევყოყმანებულვართ, ერთ-ერთ ტომში ისე შევიტანეთ კოლაუ ნადირაძის საგულდაგულოდ შერჩეული ლექსები. ამ ფაქტს იგი დიდად გაუხარებია. სუფრაც გაუმართავს ახლობელთა ვიწრო წრეში, ღიმილით გაბადრულს უთქვამს — ამდენ მიცვალებულში ცოცხალი პოეტის ჰონორარი მარტო მე ავიღეო და ჩვენც — შემდგენლებიც ვუდღეგრძელებივართ (ველარ ვიხსენებ, ვინ მომიყვა ეს ამბავი).

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა „მერანის" დირექტორმა გურამ გვერდწითელმა ისევ ჩვენ შემოგვთავაზა „პოეტის ათასი სტრიქონის" შედგენა (მალე შევიტყვეთ, რომ ჩინოსანი მწერლებიდან ზოგიერთებს ჩვენოვის ეს საწყალობელი და ყოვლად უმადური საქმიანობაც დანანებოდათ და გალიზიანებულებს ეთქვათ — ამათ გარდა სხვები აღარ არისო. ჩვენ, რა თქმა უნდა, მაშინვე უარი განვაცხადეთ დანარჩენი ტომების შედგენაზე, ისედაც არ გვქონდა საამისო სურვილი) ბატონ კოლაუს. ცხადია, ამ წიგნშიაც დაეთმო თავისი ღირსეული ადგილი, მაგრამ მისდა და ჩვენდა უნებურად, გაუგებრობის გამო, დაიბეჭდა იმ გახმაურებული ლექსის ავტოგრაფი. ყველას ახსოვს, როგორ დააწიოკეს ამაზე გამომცემლობის მუშაკები. ბატონმა კოლაუმ, მართალია, კვლავ ცოცხალი პოეტის ჰონორარი მიიღო, მაგრამ კინაღამ ცოცხლად შეჭამეს — კარგა ხანს არაფერს უბეჭდავდნენ.

წლეულს, გაზაფხულზე, „მერანმა" გამოსცა ჩემს მიერ შედგენილი ქართული პატრიოტული ლირიკის კრებული უპირველესი დროიდან ჩვენს ეპოქამდე „სხვა საქართველო სად არის"..., რომლის ავტორთა შორის ერთადერთი ბატონი კოლაუ იყო, ვინც ჯერ კიდევ სუნთქავდა. სამწუხაროდ, ამ წიგნის ხელში აღება და წაკითხვა მას უკვე აღარ შეეძლო.

დღეს საამისო დრო და ადგილი არ არის, მაგრამ მაინც გვინდა ზოგი რამ ვთქვათ კოლაუ ნადირაძის ერთ უმთავრეს თვისებაზე; იგი მუდამ უპირატესობას ანიჭებს განცდის უშუალობას, პირველყოფილ, შეურყვნელ სიწმინდეს. ამიტომაცაა, საგანგებოდ არ ზრუნავს ტექნიკაზე. შესაძლოა მის ფრაზას ზოგჯერ ნატიფობა აკლდეს, მაგრამ ძნელად თუ აღმოვუჩენთ ყალბ, ნაძალადევ სტრიქონს. მისი მეტყველება, როგორც წესი, ლაღი და ბუნებრივია, მუდამ იგრძნობა ცოცხალი იმპულსი, ბიძგი, რამაც ესა თუ ის ლექსი დააწერინა.

კოლაუ ნადირაძის ლირიკის საუკეთესო ნიმუშები საოცრად გამჭვირვალე და ნატიფია. წმინდა ბროლივით მოწკრიალე. ასეთია, მაგალითად, მისი ადრინდელი (1918 წ.) მშვენიერი ლექსი „მთვარის წყალობა". ვგრძნობთ, პოეტს როგორ მსუბუქად ახვევს თავბრუს ხეთა ტოტებში გაბლართული მთვარის ქათქათა ლანდები; ჩვენც გვეუფლება არაამქვეყნიური გარინდება:

ისეთი ღრმაა და წმინდა ზეცა—
ალერსით სავსე,
თითქოს ღვთისმშობლის ცრემლი
დამეცა
ლოცვის დროს თავზე.

ეს ლექსი რაღაცით გოეთეს ცნობილ ლირიკულ შედევრს „მგზავრის ღამეულ სიმღერას" გვაგონებს.

კოლაუ ნადირაძის მთელს შემოქმედებაში არაჩვეულებრივი მოკრძალება და სიყვარული იგრძნობა სახელოვანი წინაპრებისადმი. ამ თემაზე დაწერილი მისი ლექსები ალსარებას გავს. ერთი მათგანი გრიგოლ ორბელიანს ეძღვნება და იქ ასეთი სტრიქონებია:

შენებრ დავტირი ჩემს
ჯვარცმულ მამულს,
მეც კაეშანი მკლავს და არ
ქრება.

„ჯვარცმული მამული" — ეს ტრაგიზმით აღსავსე ხატი ღრმად არის ჩაბეჭდილი პოეტის ცნობიერებაში და არაერთგან ჟღერს.

ძალზე შთამბეჭდავი და თავისებურია გაზაფხულისა და შემოდგომის ფერადოვანი სურათები, ასე უხვად რომ არის გაბნეული კოლაუ ნადირაძის ლექსებში. ჩვენ თითქოს ვხედავთ, როგორ უსმენს პოეტი საათობით ქვიშხეთის ცაცხვების იდუმალ შრიალს. ის ადგილები მას განსაკუთრებულად უყვარდა და ოცნებობდა, რომ ძირს გაშლილ ულამაზეს ტაფობზე მომავალი, თავისუფალი საქართველოს ახალი სატახტო ქალაქი აშენებულიყო.

თავისი წილი სიყვარული მან თბილისსაც გამოუცხადა: „ზიარებით სავსე ზარძმს" შეადარა. გავიხსენოთ მისი ბრწყინვალე ლექსის („გაზაფხული თბილისში") ფინალური სტროფი:

ისე, ვით დედამ. მომხვიე ხელი.
გადამაწვინე შენს სათუთ
მკლავზე.
რომ ვიმეორო შენი სახელი
და გასკდეს გული ზარების
ხმაზე.

ბევრის დამტევია შემოქმედი კაცის ცეცხლოვანი გული. მაგრამ იგი ყველაფერს ვერ გაუძლებს— დიდმა განცდამ ან ტკივილმა შეიძლება ნაფლეთებად აქციოს.

სხვა ლექსში („გასაუბრება"), ავადმოსაგონარ ოცდაჩვიდმეტ წელს რომ არის დაწერილი და გვიანი შემოდგომის უნუგეშო სურათს გვიხატავს („ნოემბრის ქარი ისევ ისე, ხეებში მოთქვამს"...), კვლავ პოეტის მღელვარე გული იპყრობს ჩვენს ყურადღებას, ჩაბნელებული ოთახის კუთხეში შეშინებული წრუწუნა გაიფაჩუნებს. პოეტი ამ უსუსური არსებისადმი თანაგრძნობითაა სავსე და ახლობელსავით უმართავს საუბარს:

მომიახლოვდი ახლა მაინც,
პატარა მხეცო!
ნუ გეშინია. მომენდევი,
ნუ გარბი სვრელში!
განა ვერ ხედავ, რა უღონოდ
მე მუხლებს ვკეცავ?
დღეს ჩემი ბედი განიავდა
ქარში და მტვერში-..
ნუ გეშინია, მომისმინე.
მაგ შენს ჯურღმულში.
მეც მინდა ახლა გადმოვიდე და
დავიკარგო!
მინდა ეს გული გაგიცვალო
მაგ ნამცეც გულში:
მან, შესაძლოა, ცხოვრებისთვის
უფრო ივარგოს!..

ცხოვრებისეული, ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანის ასე ამოზიდვა და სილრმისეული განზოგადება მხოლოდ ნამდვილ პოეტს შეუძლია.

ყველაზე მეტად ქარვისფერი შემოდგომის ჩუმი ფოთოლცვენა აფორიაქებს და უნაზეს მელანქოლიით ავსებს მეოცნებე ადამიანის სულს. ამაში ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, სიჭარმაგეში დაწერილი კოლაუ ნადირაძის გასაოცარი ლექსი „შემოდგომის ელეგია". ამ ლექსშიც გვიანი სთველია დახატული („ნოემბერია, აწი მოთოვს, მოვა ზამთარი"). აქ პოეტი მიმართავს და ესათუთება მარადიულ სიქალწულედ წარმოსახულ უმშვენიერეს ქალიშვილს, რომლის ღვთაებრივმა ღიმილმა გაყინული სხეული გაუთბო და გაუსხივოსნა. პოეტის ფიქრი უშორეს მომავალში გადადის და სილამაზისაგან გაოგნებული ჭვრეტს იმ უნეტარეს წამს, როცა ყველაფერი თავიდან დაიწყება. იმდენად ცხადი და ხელშესახებია სურათი, იმდენად ცოცხალი, რომ თითქმის ფიზიკურად შევიგრძნობთ ქალიშვილის მოხდენილ გარეგნობას, ვხედავთ მის ჩამოქნილ ნაკვთებს. განცდა რომ უფრო სრული იყოს, ამ ლექსის მეორე ნახევარი მაინც უნდა ამოვიწეროთ:

საუკუნენი გაივლიან და,
როგორც ახლა—
ჟამს შემოდგომის, როს ბუნება
ჭკნება, ფითრდება —
ჩემებრ სხვა ვინმე აქ გაივლის
და ჩაფიქრდება...
მაგრამ ელვებს მაგ ღიმილით
სიცოცხლე ახლად!
გაიფანტება მისი ჭმუნვა,
ფიქრი და დაღლა
და ისიც სიბრძნეს ცხოვრებისა
შეურიგდება.
შეურიგდება ყოველივეს და
ელვარება
მაგ ცისფერ თვალთა,
ეგ ღიმილი, ეგ ბრწყინვალება,
მაგ ნესტოების ნორჩი სუნთქვა,
ბაგეთა ლალი
მოხიბლავს ჩემებრ
მის ოცნებას უცნაურ ძალით.

მე არაფერი არ მაღონებს,
არ მენანება,
ოღონდ გიხილო სიკვდილის
ჟამს ციურ ზმანებად
და შემდეგ ჩუმად, სამუდამოდ
დავხუჭო თვალი.

ეს გრძნეული სტრიქონები ნათელმხილველის წინათგრძნობას გავს. ამის გახსენების მერე აღარც გამკვირვებია, ჩვენი უხუცესი პოეტის ცხოვრება შემოდგომის მიწურულს, რომ მიიწურა და რომ მის ნატანჯ, წუთისოფლის ბრუნვისაგან გამდნარ სხეულს მისგანვე გაღმერთებული მშობელი მიწა სწორედ ნოემბრის თვეში მიიბარებს.

„ნოემბერია, აწი მოთოვს, მოვა ზამთარი..."

**ემზარ კვიტაიშვილი**



რევაზ ინანიშვილი

# ქვიანი კეტი

...გამოქვაბულიდან გამოვედი. შიგნით ცხელოდა, ბავშვებს, ზოგს ხაით ჰქონდათ გაშვერილი ფეხები, ზოგს — ხაით. ქალმა ფეხი მკრა, ჯერ ეზარებოდა ადგომა. მე არაფრით მიპასუხნია, ხეები გადავახიდე შესასვლელში.

ღამით მოეწვიმა, ქვეყანა ღრუბლებითა და ნისლებით იყო სავსე. თეთრად, ცივად თენდებოდა. ჩემი ქვიანი კეტი ავიღე. ეს ქვა, გახვრეტილი, ჩემმა ქალმა მიპოვნა. რბილი ტყავებით დავაბით ხის ტარზე. მესამედ მივდიოდი ამ კეტით სანადიროდ. ნადირები სულ ახლოს სუნთქავდნენ ჩემი გამოქვაბულიდან. ამ დროს, ახალგათენებულზე, ისინი ჩამოდიოდნენ მდინარეზე. მე უნდა ჩავწოლილიყავი შამბში... მაგრამ სანამ შამბიანში მივიდოდი, ღორები შემომეფეთნენ მდინარიდან მთისკენ მიმავალნი. მე დავიხარე. ჰყივილი ავტეხე, ღორები გაოცდნენ, მე ჰყივილს განვაგრძობდი და ახე ვუახლოვდებოდი. ქვიანი კეტი ზურგს უკან მქონდა დამალული. ის კეტი უცებ გამოვიღე, გაშტერებულ ტალახიან ღორს ყურების შუაში დავცხე. იმ ღორმა ჩაიკეცა, სხვები გაიფანტნენ. მე წაქცეულ ღორს კიდევ და კიდევ დავკარი ჩემი ქვიანი კეტი თავში. სულ სხვანაირი გავხდი უცებ — ძლიერი, გალიმებული. მკვდარ ღორთან ჩავიჩოქე, ფეხებში ჩავეჭიდე. მხრებზე ავიტანე. ძალიან მძიმე იყო, სული ყელში მებჯინებოდა, მაინც ავიტანე გამოქვაბულამდის. ღორი რომ ტალახიანი იყო, მეც მთლად გავტალახიანებულიყავი. ჩემი ქალიც გამოსულიყო გარეთ. დიდად გაახარა მოკლულმა ღორმა. ღორი გამოქვაბულის შესასვლელთან დავაგდე და ჩემი ქვიანი ჯოხის ამოხატანად დავეშვი ქვემოთ. რომ ამოვბრუნდი, ჩემ ქალს ავაზა ფლეთდა. ვეძგერე ჩემი ქვიანი კეტით, მაგრამ ავაზა ძალიან სწრაფი იყო, პირველ მოქნევაზევე გახტა, გაიქცა. მე დავვარდი, ტირილი დავიწყე...

მეუღლემ გამაღვიძა. ღამის ნათურა აენთო. შეშინებული დამყურებდა მაღლიდან. — რა იყო, კაცო, რა დაგემართაო? მე ჯერ გავბრაზდი. მერე სიზმარი გამახსენდა. ჭმუნვაში შერეული სიცილი ამიტყდა. მოვუყევი, რა საშინელებაც ვნახე. მეუღლემ შეშინებულმა იყვირა, — ის ქალი მე ვიყავი, მე? მე ცოტა შევფიქრიანდი. — არა, არა! ის ქალიც სხვა იყო, მეც სხვა ვიყავი—დედიშობილა, კუნთებდამძიმებული.

ავდექი, ფლოსტებში წაყუავი ფეხები, საპირფარეშოში შევედი. ჩვენ დღემდე სახელმწიფოს გაკეთებული ტუალეტი გვაქვს, მაგრამ მე ლამაზად და უცნაურად მიმზიდველ ადგილად მეჩვენება ეს პაწაწინა ოთახი. თბილოდა, ბაკანი წყლით იყო სავსე, თავისთვის ჩურჩულებდა რაღაცას. მე რომ ბაკანიდან დაშვებულ წყალს გავატანე ჩემს მიერ მიცემული, ბაკანმა სწრაფად შეიკრა სუნთქვა, ეს ნიშანი იყო, მზადა ვარო ახალი გასატანებისათვისო. მე არ ვიყავი სხვა რამის მიმცემი, ალარც ტყუილად მინდოდა ხმაურის ატეხვა. მადლიერი გავედი საპირფარეშოდან საბაზანოში. იქ ხომ მთელი საოცრებებია. ერთ ონკანში ცივი წყალი მოდის, მეორეში ცხელი. დგას დიდი, თეთრი ნავი, გაავსებ იმ ნავს ნელთბილი წყლით, ჩაწვები და ინებივრებ რომაელი იმპერატორივით. ჩახჩახებს დიდი ნათურა. შხაპი ხომ, უხსენებელივით გრძელი, თუ გსურს მაღლიდან დაგიშვებს წყალს, თუ გინდა — ქვემოდან ზემოთ, ერთი გვერდიდან მეორისკენ, მოუმატებ და დააკლებ ნაკადის სისწრაფეს, ძალას... ოხ, ეს წყლები! ცხელ წყალზე გიჟდებიან ქალები, თუში ქალები, ხევსურები, ვინ აღარა! ცივი? რომელ თუშს არ ენატრება თავის ეზოში ეგეთი ცივი წყალი! შენ, ბედისგან რჩეულო, პირდაპირ ბინაში მოგითქაფთქაფებს ცივიც და ცხელიც. თითქოსდა საპნების შოვნა გაძნელდა ბოლო ხანებში, მაგრამ საბაზანოზე მაინც ეწყო ერთი — „Caprice“, მეორე — „Kek vözög“ ლოჯიაში გამოვედი, საათი ვნახე. რვის ათი წუთი იყო. ავიღე დიდი, რბილი პირსახოცი, სწორედ ისე გავავსე ნავი, როგორც რომ ვილაპარაკე ზევით. ჩავწექი, ვიბანავე, ვინებივრე, ვისულელე ფეხების ჰყაპაჰყუპით. რა ჰქონდა მაჩვენებს საშინელ სიზმრებს? ავდექი, ვიდექი გაძლებაზე შხაპის ქვეშ. მერე შევწყვიტე წყლები, გავუშვი საბაზანო ნავიდანაც, შევიწმინდე, გავმშრალდი დიდი სასიამოვნო პირსახოცით. ჩავიცვი სპორტული შარვალი და კურტკა. გამოვიდა ჩემი მეუღლეც. სამზარეულოში აანთო გაზი, გაავსო ჩაიდანი და დადგა ზედ. მოვიდა ჩემთან, ლოყით მომეფერა ყელთან. მე მოვეფერე ჩემი ჩვეული, — ას-ახ-ახ--მათ!.. რა სიზმარი იყო ის საზიზღრობა! ახმათმა ხახვიანი ერბოკვერცხი გამიკეთა, ცოტა ყველით. მე ჩაი დავაყენე, ვქეიფობდი ახმათის ქებით, საერთოდ, ამ ქვეყნის ქებით. ცხრისნახევარზე ჩავიცვი ჩემი ფრანგული კოსტიუმი, გავედი გარეთ. ღამით მოეწვიმა ცოტა, ახლა მზე ამოდიოდა, გრილოდა, მაგრამ სასიამოვნოდ. სალანძღავს მე ხომ ცოტას ვხედავ ცხოვრებაში. ჩემი პრინციპია, მამუშაონ კონკრეტულ საქმეზე. ჩემი კუნთ-სისტემა და გონების თვალი ადვილად უძლებენ იმ მოთხოვნილებებს, რასაც დირექტორი და განყოფილების გამგე მიყენებენ მე.

ვიყავი სამსახურში, თითქოს არც ვიყავი. ძლივას გავძელი ხუთამდე. ხუთზე წამოვედი, ჩემი კლასელი შემხვდა, ცაბაძე. ცაბაძეს სკოლაშიც მხოლოდ გვარით მივმართავდით. მოვჰიდე ხელი, ძალით ჩავიყვანე „იმერეთში“, ვაცინებდი ჩემს უცნაურ ყოფაზე, უცნაურზე უცნაურ სიზმრებზე. ცამდე ვეწეოდი თანამედროვე ქალაქურ ყოფას. სულ მე ვლაპარაკობდი. ხან იცინოდა ცაბაძე, ხან მკლავზე მიჭერდა ხელს. რომ ამოვედით, ცაბაძე ქანაობდა. თავი მოიკლა — გინდა თუ არა, ჩემს საცოლესთან უნდა მივიდეთ, ძალიან გაიხარებს, შენთან ერთად რომ მივალ. მეც მიბიძგებდა ღვინო. წავედით. იქვე, პლეხანოვზე ავედით მეორე სართულზე, ძველებურ ბინაში. მომეჩვენა, რომ ქალი ახაკოვანი იყო ცაბაძეზე. ცაბაძეს ავიწყდებოდა და, სიმთვრალისაგან, მეც რომ იქ ვიყავი, ქალს კოცნიდა. ქალი ებრძოდა. მე ხალიჩიან ტახტზე გავნაპირდი. ტუმბაზე ფოტოალბომი იდო. იმ ალბომს დავუწყე თვალიერება. დიდი დრო არ გავიდა, ქალი ჩემთან მოვიდა. — სვრინვით კვდებაო, უბედური. თქვენ რატომ არ გეტყობათ არაფერიო. თანაც ლამაზი ხართ. მომკიდა ხელი ხელზე. — ამოაბრუნეთო, უნდა გიმკითხაოო. გაოცებული დამყურებდა ჩემს ხელისგულს. იცოცხლებო, სულ ცოტას, ოთხმოცდახუთ წელიწადს. მაკოცა იმ ხელისგულზე, მერე ამოსწია თავი, ახე ლამაზიც ჩანდა. კარგად ხორციელი, თვითონ დამიწყო კოცნა, მე ვიშორებდი, ბოლოს დავმორჩილდი. გაწევ-გამოწევისას კედლიდან ჩამოვარდა მრგვალი მინიატურა, ეს იყო პეტრე დიდის პორტრეტი უკან წარწერა ჰქონდა ფრანგული. ორ ადგილას ოქროსფრად ეწერა 1723 წელი. მე უცებ გამოვფხიზლდი — პეტრე დიდი გარდაიცვალა 1725 წელს: ე. ი. ეს მინიატურა, შესაძლო იყო, გაკეთებული იყო ცოცხალი ნატურიდან. ესაც ვუთხარი ქალს. — თუ ეს ნამდვილად ასეა, ამ მინიატურის ფასი იქნება. — უუუ!.. ქალმა გამომგლიჯა მინიატურა. ცაბაძემ მორთო ყვირილი, ქალს ეძახდა თავისთან. ქალი წავიდა მასთან. ცოტა ხანში ძალით წამომიყვანა ცაბაძემ. შინამდე მივაცილე, მაღლა კი არ ავედი. მეუღლე მაინც კოპებშეკრული შემხვდა. ხმას არ მცემდა, ღვინო რომ მქონდა დალეული. ლოგინი გამიშალა, — მეც მალე მოვალო, — ჩამაწვინა ფერებ-ფერებით, გალიმებულმა მივეცი თავი ძილს. ისეთ აწეულ გუნებაზე ვიყავი. იმედი მქონდა, ცუდ სიზმარს მაინც აღარ ვნახავდი. მაგრამ მოვტყუვდი. მე და პეტრე დიდი ყინვაში, ქარიშხალში მოვდიოდით ერთად. მე ვუმტკიცებდი, რომ ის ქართველი იყო მამით. პეტრე იჯღანებოდა, — თქვენო, ქართველებო, სპეციალისტები ხართ მაგგვარი გამოგონებებისო. გამოვიდა საიდანღაც ცაბაძის საცოლე, მოკიდა პეტრეს ხელი, პეტრემ შეშინებულმა დაალო პირი. ცაბაძის საცოლე გაწყრა, ამოიღო რგოლი, თავზე გადაატარა პეტრეს. მე მივდიოდი ყინულებზე ფართხუნით, პეტრე მოგორავდა რგოლით, ეცინებოდა და უთახთახებდა ულვაშები, სად ჰქონდა თავისი ცნობილი ხმელი ფეხები!.. წინ ისევ ცაბაძის საცოლე იდგა, მაღლა აწეული ვედრო ეჭირა. ვედრო სავსე იყო უწმინდურებით, მე დავიყვირე, — ეს მე ვარ! მე ვარ! ისე გაიღიმა და გადმოსწია ვედრო, მაინც გვასხამდა იმ უწმინდურობას. გამეღვიძა. შეშინებული დამყურებდა ახმათი. — წადი, სვიო, კიდევ და კიდევ! მე როდის-როდის მოვასერხე პასუხი, — მე და პეტრე დიდი მივდიოდით ერთად. ვინ არის ასეთი ბედნიერი, ძილში მაინც რომ ერთად უვლია პეტრესთან. თანაც რომ უმტკიცებდა, ქართველი ხარო მამით. ჩემი მეუღლე მთლად ფერდაკარგული ხუჭავდა თვალებს. წამოვხტი, კორვალოლი მოვუტანე. ჩავუთვალე 30 წვეთი. დავალევინე, სხვათა შორის, მეც დავლიე, მესიამოვნა, მალე ჩამეძინა. მსიამოვნებდა ახმათის ფუსფუსი...

დილას მიხაროდა, შინ რომ ვიყავი, ჩემს ბინაში. ვცხოვრობდი სიმშრალეში, სითბოში. მე სულ არ მიშლის ხელს ბინის სიმაღლე — 2 მეტრი და 40 სანტიმეტრი. ბრიალი გააქვს პარკეტს. მძინავს მშვენიერ საწოლში, მატყლის უსათუთეს საბანში. საბაზანოზე უკვე მოგახსენეთ. მე რიგიც არ მჭირდება. ჩვენი ბიჭი სტუდენტურ პრაქტიკაზეა გერმანიაში. ვბანაობ, ვნებივრობ, წყლებით ალტაცებული ვარ. ვიბანავე, გავმშრალდი, ვისაუზმე. კარგად ვისაუზმე. ორი მშვენიერი ნაჭერი ყველით, წარმოიდგინეთ — ლომი თუშური ყველით. ახმათი მახსენებდა, როგორ ვხუნთქავდი ნახვამი, ვიხრჩობოდი თურმე... ის რაღაც საშინელი სიზმარი! რა იყო მაინც ასეთი, თავი არ გეცოდება, არც არავინ! მე მოვეფერე ახმათს, — ღმერთმა ნუ ქნას, რომ მე შესაცოდი რამეები დავინახო შენში. კორვალოლი?.. ეგ არაფერი, კორვალოლს ახაკოვანი ადამიანების დიდი ნაწილი სვამს.

სამსახურში ცაბაძის საცოლემ დამირეკა. არ ვიცი, სასმელის ბრალი იყო თუ რა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვახსოვდი. [illegible] მიწყრებოდა. მე არ ვუამბე სიზმარი — რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა იგი. ხაზეიმოდ მქონდა აწეული უწმინდურებით სავსე ვედრო და დამიკიდა ყურმილი.

სამსახურის შემდეგ ბიძაშვილებში წავედი დედის ძმისწულებში, ვეძისში. ძალიან გაიხარეს. ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ჯემალმა. ჩვენ პატარაობისას ერთ ლოგინში გვაწვენდნენ. მეჯდა გვერდით ჯემალი და მკოცნიდა გულაჩუყებული. თვითონ მეორე ინფარქტი გადაიტანა ორი თვის წინათ. ახლა წვეთს აღარ იკარებდა სასმელისას. მე შემირჩიეს რაჭული ღორი, წინა დღეს გაკეთებული საცივი, ჯემალის მოტანილი „ცოცხალი“. მედგა ლამაზი გრაფინი, ლამაზი ჭიქები. ჯემალის მეუღლე უფრო მიწევდა კომპანიონობას. იმდენი მაინც დავლიე. შემთბა — ეგ იყო და ეგ. რვა საათისთვის წამოვედი. ბიძაშვილი თმმილა, ქმარყოფამოშლილი. მარწმუნებდა, რომ ჩემთან ძალიან, ძალიან სერიოზული საქმე ჰქონდა. მითხარი-მეთქი. არამაგას სხვანაირი განწყობილება უნდაო. ჯემალი გალიზიანებული უყურებდა დას.

იმ ღამეს თუშეთში ვიყავი სიზმრად. ფეხი მტკიოდა, მარცხენა ცერი. მეჯდა წინ ბებია ხორეშანი, ეჭირა ჩემი მტკივნეული ფეხი, უმარჯვებდა ცერს რაღაც ბრტყელ ქვას. დაიწყო ჩეჩქვა რაღაც პრიალა ფილთაქვით. საკვირველი იყო, სულ არ მტკენდა ეს ჩეჩქვა. მაშინ ბებია ხორეშანმა ამოიღო გერმანელებისეული სვასტიკიანი მჭრელი დანა, მომისხლოვა მტკივან ცერთან. ამას კი ველარ გავუძელი, ვიყვირე, გამოვუსხლტი...

ისევ კანკალებდა ახმათი, არაფერი იყო-მეთქი, ისევ ძილს მივეცი თავი. მეორე დღე ბიბლიოთეკაში გავატარე, ფრეზერის „ოქროს ტოტიდან“ ვიწერდი რაღაცეებს. ვახშმად ჩაი დავლიე მხოლოდ, ჩაი ალუბლის მურაბით. სიზმარშიც შესაფერისში შევბრძანდი. სტალინის გვერდით ვიჯექი მანქანაში, „ამფიბია“ რომ ჰქვია. მანქანას, მაერს, სახლებს და ხეებს ზეთის ფერი ჰქონდათ. ზეთისფერი სახე ჰქონდა სტალინს, ცოტა მუქსაზებჩამომავალი, გაბრაზებული კუმშავდა ხელს. — ყველაფრის დამახსოვრებაა საჭირო, ყველაფრისო. წინ ბერია ეჯდა, მრგვალი, მაგრამ საშინელი თავი ჰქონდა ლავრენტი პავლეს ძეს. მე რამდენჯერმე გაფთრებით შემომხედა უკანშემობრუნებულმა, თითქოს კენჭები შემომეყარა სახეზე. სტალინს გაეღიმა მოყვითალო კბილებით, გაშალა ზეთისფერი, ძარღვიანი ხელი: — აი, ხუთი თითიო, ყოველი თითი თავისთვის აგებს პასუხსო. მანქანა აჯაყჯაყდა, ბერია წამოხტა, სტალინს მიაშტერდა, მეც წამოვდექი. ბერიამ ხელი წარბების შესაყართან მიიტანა, მიისვ-მოისვა, პენსნე ჩავარდნოდა. პენსნესავით რაღაცას ჩემს ფეხქვეშ გაჰქონდა ხრაშუნი. ბერიამ ხელი ჩემსკენ წამოიღო... მადლობა უფალს, გამეღვიძა. მიჭირდა, მაგრამ მაინც დავიძინე. მაწლები ყიოდნენ, ჩემი ცოლ-შვილი აცვოვნილიყო მწვერვალზე, მე დაბლა ვიდექი ჩემი ქვიანი კეტით. ბუჩქნარის ლაწალუწით, ხროტინით, კივილით მოდიოდნენ ხარები, ფურები, მათი ხბოები. მზად ვიყავი იმ ნახირს დავრეოდი, გავაკეთებდი კიდეც ამას, მაგრამ მომესმა საშინელი კივილი. ავიხედე მაღლა და ჩემი ბიჭი მოფრინავდა მწვერვალიდან, ხელები აეწია ჩემს მეუღლეს. — აუუ! — მეც ამოვიკივლე საცოდავად.

ისევ შეშინებული დამყურებდა ახმათი, მეხუტებოდა, თრთოდა, კანკალებდა.

— რა დაგემართა, რა!

მე გავიღიმე.

— არაფერი, გენაცვალე, არაფერი. შენ მყავდე კარგად, თამაზი გყავდეს კარგად. ნეტავ როგორ არის იმ გერმანიაში. ენაცვალოს მამა! მე მიტანდა რაღაც კანკალი.

. . . . . . . . . . .

აქ წყდება ერთი თვის წინათ უცებ გარდაცვლილი ჩემი მეგობრის ხელნაწერი. იყო ორმოცდახამი წლის.

მხატვარი მზია დედანაშვილი

---

# დიდი მწერლის სიბრძნის სალარო

„ნაკადულმა“ გამოსცა ქეთევან ჯავახიშვილის წიგნი „ანდაზები, აფორიზმები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში“. (წიგნი გამოსაცემად მოამზადა რამაზ შიშნიაშვილმა, რედაქტორია გივი გეგეჭკორი, მხატვარი — ჯიბო ყაველაშვილი). კრებულს ახლავს მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებებისა და გამოცემების ნუსხა.

აი, რას ვკითხულობთ წიგნის წინასიტყვაობაში:

„ჩვენი სასიქადულო მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილს, ქეთევან ჯავახიშვილს, რომელმაც მამაზე შესანიშნავი მოგონებების წიგნი დაგვიწერა, გამოსაცემი დარჩა წიგნი — „ანდაზები, აფორიზმები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებებში“.

მიხეილ ჯავახიშვილს არაერთ წერილში აღუნიშნავს, რომ ჩვენი ხალხის ცოცხალი ენა მეტად მდიდარი, მოქნილი, ფერადი და ხმოვანია; არაერთ წერილში საუბრობს იმის თაობაზეც, რომ მრავალი სიტყვა და გამოთქმა კვდება, იბინდება, ისვენებს და შემდეგ ხელახლა ბრუნდება, რომ ქართველი მწერალი ამ სიტყვებისა და გამოთქმების გაცოცხლებისა და შენარჩუნების გზას უნდა გაჰყვეს და ფრთხილად ამდიდრებდეს მშობლიურ ენას ხალხურით და მრავალი მივიწყებული სიტყვითა და გამოთქმით.

წინამდებარე წიგნი სწორედ იმის თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ ილვწოდა მიხეილ ჯავახიშვილი ხალხის მეტად მდიდარი, მოქნილი, ფერადი და ხმოვანი ცოცხალი ენით მშობლიური ენისა და მწერლობის გამდიდრებისათვის.

მწერლის ენა მდიდარია და მის შემოქმედებას უმდიდრესი ქართული ზეპირსიტყვიერება ასაზრდოებს. მწერლის ქალიშვილს ზედმიწევნით აღუნუსხავს და არ გამორჩენია არცერთი ანდაზა, აფორიზმი, არცერთი ხატოვანი გამოთქმა, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში, რომანებში და წერილებში რომ გამოუყენებია. ამ მასალაში კარგად ჩანს მწერლის განსაკუთრებული ლექსიკა, ფრაზოლოგია, გამოსახვის მხატვრული ხერხები, კარგად ჩანს მისი მდიდარი, მოქნილი, ძარღვიანი ქართული, რომელსაც ფესვები მრავალსაუკუნოვან მშობლიურ წიაღში უდგას.

ამ წიგნს ის ხიბლიც ემატება, რომ იგი მწერლის ქალიშვილს შეუდგენია. მკითხველმა უნდა წარმოიდგინოს თუ რა რუდუნებით იმუშავებდა მამის შემოქმედებაზე მისი ქალიშვილი და ამა თუ იმ ანდაზას, აფორიზმსა თუ სიტყვა-თქმას რა შორეული მოგონებები დაუკავშირდებოდა...“

ეს წიგნი (მისი ტირაჟია 20 ათასი ეგზ.) ძვირფასი საჩუქარია საერთოდ ქართული ლიტერატურის, კერძოდ კი, დიდი მიხეილ ჯავახიშვილის მოყვარული ყველა ქართველისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭაობი

## მამუკა წიკლაური

განცხადება მწერალთა კრებაზე 1986 წელს:

პავლე ინგოროყვა, ერთხელ, პასუხობდა რა ლიტერატორ-ინტრიგანთა ერთ-ერთ შემოტევას, ამბობდა: „მე მწერალი ვარ!" ამით იგი ოპონენტებს მიანიშნებდა მწერლის ღვთაებრივ წარმომავლობაზე და აფრთხილებდა — მე სხვა ვარო...

მე მწერალი ვარ! — ამ ამაყად ნათქვამი სიმბოლური სიტყვების დავიწყების ხარჯზე კეთდება დღეს ბევრი უღირსი, დამამცირებელი და უკადრისი რამ...

ახლა მწერალი მწერალს რომ შეხვდება, ცოტა თუ ვინმე ლაპარაკობს კულტურის, ლიტერატურის ახალ მოვლენებზე, სოციალურ და ეროვნულ ამოცანებზე... საერთოდ იმაზე, რაც ბუნებრივია მწერალთა წრისათვის.

აი, ლიტერატურული საზოგადოებრიობის საუბრების მთავარი თემები: იმას თურმე ვერ უყურებენ კარგი თვალით... ამას მაგარი ზურგი აქვს, ვერ მოხსნიან... იმან თავისი ხელით გაითხარა ორმო, ის წერილი რომ დაბეჭდა ამის წინააღმდეგ... ისა და ის თურმე... იმის აქციები დაეცა...

დაუკვირდით, აქ არაა თანამდებობებზე გამარჯვებულ მწერალთა მოხსნის ან დაწინაურების რაიმე ისეთი არგუმენტი, რომელიც ლიტერატურის ინტერესებს უკავშირდება.

ამ ბოლო ხანებში ჭორების ამოფრქვევას ერთი გამოკვეთილი ეპიცენტრი აქვს — ალმანახი „კრიტიკა".

ალმანახის ხელმძღვანელობაში მოსალოდნელი ცვლილებების არგუმენტებიც, ცხადია, ზემოთჩამოთვლილი „ინვენტარიდან" იკვებება. აქ არავინ ახსენებს ლიტერატურულ დონეს, მასალების მომზადების მდგომარეობას, ლიტერატურულ პოლიტიკას... არა, აქ თურმე სხვა პოლიტიკა იყო ყურადღებამისაქცევი და ეს გამორჩა „კრიტიკის" მთავარ რედაქტორს.

მან თურმე რამდენიმე „დიდი კაცი" გაანაწყენა ალმანახის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილებით. იმ წერილებში ობიექტურად იყო განხილული ლიტერატურული პროცესის ცალკეული მომენტები, მაგრამ, როცა სიყვარულზე მიდგება საქმე, არც ობიექტური კრიტიკა უყვართ და არც სუბიექტური.

გამოდის, რომ რედაქტორი ლიტერატურული კრიტიკისათვის იდევნება.

მე ვგრძნობ, რომ დიდი ლიტერატურული ცხოვრების პოზიციებიდან უხერხულია ასეთ რამეებზე სერიოზული ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ სად გვაქვს ეს ნამდვილი ლიტერატურული ცხოვრება და მისი შესაბამისი გარემო? ამ დარბაზში მსხდომთ ხომ ყველას კარგად მოგეხსენებათ ამ საუბრების შესახებ, ამას ხომ ვერ უარყოფთ, ეს ხომ ჩვენი ყოველდღიური საუბარია, ჩვენი წვრილმანი სულები ხომ ამ ჭორებითა თუ სინამდვილითაა გაჟღენთილი... გამოდის, რომ რაღაც დიდი ჭირი შემოგვეპარა, ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე რაღაც ბნელი ძალები ახდენენ დამამცირებელ და გამანადგურებელ გავლენას, რაღაც ბნელი ანგარიშიანობა მოქმედებს დამანგრეველი ძალით და მწერალთა მომავალ ყრილობაზე ძალიან პრინციპული და ღია ლაპარაკი უნდა გაიმართოს. ჩვენ ერთმანეთთან უკომპრომისო, მაგრამ, ამასთანავე, მეგობრული, პროფესიული საუბარიც უნდა ვისწავლოთ და ერთმანეთის დაცვაც. ლიტერატურას მხოლოდ თავისუფალი მწერლები ქმნიან.

ამ ორიოდე სიტყვას ზეპირადაც მოგახსენებდით, მაგრამ მაინც დაწერა და წაკითხვა ვამჯობინე, რომ რაიმე გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი. ზეპირი გამოსვლე[illegible]

ვანო ინანიშვილი:

[illegible] ამ კრების შემდეგ, სულ მალე გადააყენეს თანამდებობიდან „კრიტიკის" მთავარი რედაქტორი. არ მახსოვს, ან არ გახმაურებულა, საბაბად რა გამოიყენეს, როგორც მოგეხსენებათ, „იდეოლოგიური ფრონტის" წარმმართველნი აღზევანს არ მიდიოდნენ საბაბის მოხატანად, მიზეზი კი ყველამ იცოდა: ალმანახის მიერ განაწყენებულთა რიცხვს დაემატა კიდევ ერთი „ხელშეუხებელი" ავტორი, რომელიც იმ ხანებში დაუმოყვრდა მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელს...

„კრიტიკის" ყოფილი რედაქტორი — წესიერი და განათლებული კაცი, მაღალ პროფესიულ დონეზე დაწერილი ლიტერატურული გამოკვლევების ავტორი, ყოვლად მოულოდნელად და, პირადად ჩემთვის, სამწუხაროდ, შეუპოვარი შურისმაძიებელი აღმოჩნდა. თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ მან, თავის, ასევე გადაყენებულ მოადგილესთან ერთად, დაწერა მძაფრი კრიტიკული წერილი, რომელშიც „პირისაგან მიწისა აღგავა" მწერალთა კავშირის იმ ხელმძღვანელის, როგორც ლიტერატორის, სახელი და გვარი. თითქოს სიმართლემ გაიმარჯვა. აშკარად სუსტ მეცნიერულ ნარკვევზე დაიბეჭდა კრიტიკული წერილი. დადასტურდა, რომ ამ ნარკვევს საერთო არაფერი ჰქონდა მეცნიერებასთან... საწინააღმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს... მაგრამ ისიც გარკვევით უნდა ითქვას, რომ, ერთის მხრივ, სულ ტყუილად ჩაიარა კრიტიკოსთა აბჯრის გმირულმა წკრიალმა — ეროვნული საქმეების კეთებით „დაქანცული" ეს ჩვენი ერთ-ერთი ხელმძღვანელი, „პირისაგან მიწისა აღგვილი" რომ ეგონათ იმ კრიტიკული წერილის ავტორებს, მწერალთა კავშირიდან წაიყვანეს და უფრო „მაღალ ადგილზე დასვეს". საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გაბატონებულმა მძლეთამძლე ძალებმა მრავალმნიშვნელოვნად გადმოუმღერეს კრიტიკოსს: „ჰაუ, ჰაუ, ქორო. ნუ ჰფრენ ჩვენს ეზოში..." და ა. შ. თქვენს ობიექტურ ლაყბობას და საზოგადოებრივ აზრს რა მნიშვნელობა აქვს, აქ ჩვენ ვართ ერთმანეთის იმედადო...

ზემოთ მოგახსენეთ, „კრიტიკის" გადაყენებული რედაქტორი, პირადად ჩემთვის, სამწუხაროდ, შეუპოვარი შურისმაძიებელი აღმოჩნდა-მეთქი. ახლა მინდა, ეს ნათქვამი რამდენიმე სიტყვით განვმარტო:

სამწუხაროდ იმიტომ, რომ ჯერ [illegible] ვარ: იქ, სადაც კულტურა, ხელოვნება და ლიტერატურა ტოტალიტარულ პრინციპებზე აგებული სახელმწიფოს პოლიტიკის დონეზეა აყვანილი, და ამ პოლიტიკას ტანკებითა და რაკეტებით იცავენ, უაზროა პრინციპული გამოსვლები. ტოტალიტარიზმს „გარედან" ვერ დაამხობ, იგი შინაგანმა სნეულებებმა, შინაგანმა კანონზომიერებებმა უნდა გაანადგურონ. მანამდე კი წითელი პლასტმასისაგან ჩამოსხმულმა „მწერლებმა" და „მეცნიერებმა" აუცილებლად უნდა იარსებონ, მათ ვერავითარი ძალა ვერ მოერევა, მათ ტანკებითა და რაკეტებით იცავენ. ასე რომ, კრიტიკოსმა, უსამართლოდ გადაყენებულმა რედაქტორმა, რეალობის გრძნობა დაკარგა. მწარეა ყოველივე ამის აღიარება, ჩვენი უსასობის რწმენაზე წერა, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ასეა და ასე უნდა ითქვას.

მეორეც, როგორც მე მგონია, იგი პირადი შურისძიების გრძნობამ აღანთო საბრძოლველად და არა ლიტერატურის კეთილშობილურმა მიზნებმა. შურისმაძიებელი კი ყოველთვის წყდება ლიტერატურის მაცოცხლებელ ორ ფესვს — სიკეთისა და სიყვარულის უძველეს ფესვებს და ეს მოწყვეტა ძალიან ძვირად ჯდება.

ამ ბრძოლას ორი მხარე ჰქონდა: კრიტიკოსი თითქოს მართალი იყო, როცა პარტიისაგან გაყვინიზებულ ფუნქციონერს (ამ სიტყვას ახლა თითქმის ყოველთვის უარყოფითი მნიშვნელობით ხმარობენ და მეც ასე ვხმარობ), პარტიისაგან გამოგონილ მწერალსა და მეცნიერს აგლეჯდა ყალბ ნიშნებიან სამხრეებს, მაგრამ მართალი არ იყო, როცა მანკიერი კედლის მხოლოდ ერთ აგურს ურტყამდა გამეტებით. მკითხველმა მისი პოზიცია ასე აღიქვა — აგურს შურისძიების გრძნობით ურტყამდა და არა მთელი ამ ჯოჯოხეთური კედლის დანგრევის სურვილით... ყოფილი რედაქტორის პოზიციაში უსიამოვნო ბზარი გამოჩნდა.

შემდგომ აღმოჩნდა, რომ ტყუილად არ ვწუხდი, როცა შურისძიების გრძნობის დამღუპველობაზე ვწერდი.

სიმპტომატურად განვითარდა მოვლენები.

როგორც ამბის ძველმა მთხრობელებმა იცოდნენ — ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძეთ და ეს ჩვენი გადაყენებული რედაქტორი და მისი მოადგილე კრიტიკოს-ჰიმნოგრაფთა რიგებში აღმოვაჩინეთ... [illegible] ლიტერატორებს, ნამდვილი ლიტერატურული გამოკვლევების ავტორებს, პროფესიონალებს და „ძლიერთა" წინაშე მათი პირფერული ცუნდრუკი მართლა მეჩოთირა და მეწყინა — ეშმაკის მიერ გამოგონილი იმპერიული იდეოლოგიის მექანიზმი მორიგ მსხვერპლს იტრიალებდა თავისი გაპოხილი ღვედებით. მეწყინა — ისინი ჩემი ახლობლები იყვნენ და ღრმად დავფიქრდი: ისევ ის ოხერი შურისძიების გრძნობა განაგებდა ამათ საქციელს. მათი თავმოყვარეობა უსამართლოდ შეილახა და ახლა ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდნენ „რეაბილიტაციისათვის". სამწუხარო ის იყო, რომ ისინი პიროვნული თავმოყვარეობის რეაბილიტაციისათვის ლიტერატურულ თავმოყვარეობას წირავდნენ. ის ძველი ბზარი თანდათან ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა...

გაკვირვება — გაკვირვებად, წყენა — წყენად, მაგრამ მათმა საქციელმა „გაამართლა" — არ უღალატა „ძლიერთ" გაანგარიშებული მადლიერების გრძნობამ და თავის პირფარეშებს სამაგიერო მიუზღეს — ადრე უსამართლოდ წართმეული ადგილი დაუბრუნეს, ისევ „კრიტიკის" ხელმძღვანელებად განამწესეს.

აფუთფუთდა ჭორებით მობალახე ლიტერატურული ბაზარიც — ასე ყოფილა, ისე ყოფილაო... ამათთვის „ტახტის" დაბრუნებაში ერთ-ერთი მთავარი როლი მწერალთა კავშირის მდივანმა ხუტა ბერულავამ შეასრულაო... თუმცა, მე რა იმათი თქმა მინდოდა...

რაც მახსოვს, სულ ორ ნაწილადაა გაყოფილი მწერლობა. ერთ ნაწილს შეადგენენ მწერლები, რომელთაც ეროვნული და ლიტერატურული პოზიციები დაკარგეს და კომუნისტური იმპერიის იდეოლოგთა ჩარჩოებს მოარგეს საკუთარი მწერლური პორტრეტები. ისინი ბევრნი არიან, ერთად არიან და სულის გაყიდვის ფასად იმკიან ყოველივე იმას, რაც ხორცს სჭირდება გასაფუფქებლად და ასაყვავებლად...

აქ არიან კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების ვოლიერებში გამოზრდილი „ქართველი საბჭოთა მწერლები", რომლებიც პარტიისა და მთავრობის ყოველ დაძახილზე მზად არიან ჩაიდინონ ყოველგვარი სისაძაგლე, ყოველგვარი სიყალბე, ყოველგვარი უზნეობა... თავის პატრონს ჰგვანან — ვისაც მიჰყავდე, იმას მიჰგავდეო.

მეორე ნაწილს კი ის მწერლები [illegible] ური კრიტიკოსის გადასახლება ერთი [illegible] მეორეში, ჩემთვის, და ბევრი სხვისთვისაც, ძალიან მტკივნეული იყო.

მაგრამ რაღაც ვერ გაითვალეს. მათ იმის ნამცეცებიც ვერ მიიღეს, რასაც ეშმაკსსულმიყიდულებს კომპენსაციის სახით აძლევდა თამაშის ეს ვარიანტი. იმ დიდ გემს მათ იმ დროს მიაკითხეს, როცა იგი უკვე იძირებოდა. სამოცდაათწლიანი ჯოჯოხეთი თავის ზღვარს მიადგა და დაცემა იწყო. ახალი დრო დადგა, ახალი დროშები აფრიალდა, ახალი ლოზუნგები გამოჩნდა და აი, აქ ხუტა ბერულავას გაუჭირდა. ერთი ცნობილი კრიტიკოსი (ცხადია, არა კრიტიკოს-ჰიმნოგრაფი) მისდგა და ბერულავას მიერ შექმნილი „ქართული საბჭოთა პოეზიის მარგალიტები" სულ თვალწინ დაულაგა ავტორსა და ერთი პოპულარული გაზეთის მკითხველებს.

თამაზ წივწივაძის ეს წერილი (მიუხედავად ავტორისთვის დამახასიათებელი, ჩემი აზრით, ზედმეტად მძაფრი და დაუნდობელი ტონისა) მე აღვიქვი, როგორც ჩვენი დროისთვის უაღრესად საჭირო და უაღრესად აუცილებელი ბრძოლის დასაწყისის მაუწყებელი, ლიტერატურის შეფასების ძველი კრიტერიუმების მსხვრევის მაუწყებელი. გუშინ იქნებ კიდევ ეპატიებოდა მწერლობას ანტიმწერლობის ატანა და მასთან „მშვიდობიანი თანაარსებობა", დღეს სხვა დროა და შეიძლება, ერთი წამით დაგვიანებაც კი, დიდ დაგვიანებად იქცეს.

მაშ ასე, კრიტიკოსის წერილი დაიწერა — ლენინი, პარტბილეთი, რუსული გული...

ვიფიქრე, პოეტური ნიჭი სხვა რამაა, მას ღმერთები იძლევიან, მაგრამ ხუტა ბერულავა ჭკვიანი და წინდახედული კაცია, ამ დროის მოთხოვნების შეუქცევადობას იგრძნობს და, ალბათ, კრიტიკას უდრტვინველად მიიღებს-მეთქი. ალბათ, იმას, რასაც იმპერიული ჯოჯოხეთი მას, როგორც მონას, აწერინებდა, თვითონვე დასწყევლის-მეთქი. მაგრამ ასე არ მოხდა. ვერ დავიჩემებ, რომ გაოცებისაგან პირი დავაღე-მეთქი, ჯერ ისევ იდგა ლენინის ძეგლები თბილისში და იმედს ასხივებდა, ჯერ ისევ რიხიანად გამოიყურებოდა „ყმათაღმი ძალის მიმცემი" მშობლიური კომუნისტური პარტია და ბატონი ხუტა „ბრძოლაში" ჩაება.

რა თქმა უნდა, სჯობდა, თუკი თ. წივწივაძის წერილის საწინააღმდეგო წერილს სხვა, მესამე მხარე დაწერდა.

...და ეს წერილი დაწერეს თეიმურაზ დოიაშვილმა და ლევან ბრეგაძემ. ბზარი უკვე ნაპრალად იქცა. მათ დაიწყეს იმის დაცვა, რასაც ჯერ კიდევ გუშინ პოეზიასთან შეუთავსებლად თვლიდნენ და მთელი არსებით ებრძოდნენ. დაიწყეს მკითხველის იმაში დაჯერების ცდები, რაც თვითონაც არ სწამდათ და არ სჯეროდათ.

მე იმ დღეებში ბევრჯერ ვცადე სიბრაზის გრძნობისათვის მეჯობნა და დამშვიდებით მეფიქრა იმ მიზეზებზე, რამაც კატასტროფამდე მიიყვანა ნიჭიერი და პატიოსანი ლიტერატორები... იქნებ გადამწყვეტი როლი სწორედ მათმა სინდისიერებამ და პატიოსნებამ ითამაშა... პარადოქსია, მაგრამ იქნებ სწორედ სინდისიერებამ და პატიოსნებამ გააკეთებინა მათ ეს აშკარად უკადრისი საქმე... მათ ნიჭ[illegible]

ითრევდა ხულგაუიდულ კრიტიკოსებს.

ბოლოს, როგორც ძველი მთხრობელები იტყოდნენ, ერთ მშვენიერ დღეს, მწერალთა სახახლის მეორე სართულზე „კრიტიკის" რამდენიმე თანამშრომელი ვიხილეთ ნებიერად წამომჯდარი — შიმშილობის აქციას ვატარებთო, რედაქციას დისკრედიტირებული რედაქტორი და მოადგილე მოაშორეთო — ქაღალდზე ჩამოწერილ არგუმენტებს აფრიალებდნენ...

შეიკრიბა მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი და ისევ გაათავისუფლეს რედაქტორი... შურისძიება, ერთმანეთს წაკიდებული მწერლებისა და მწერალთა ჯგუფების ძვლების ჭახა-ჭუხი კი გრძელდება და, ვინ იცის, როდის ექნება დასასრული ამ ერთდროულად მართლაც სასაცილო და სატირალ ამბებს. ვინ იცის, რას ფიქრობენ თავის უძილო ღამეებში ეს მოწინააღმდეგენი, რა ამაო ვნებებს აცვდება მათი ნიჭი და ენერგია...

ამით ვამთავრებ მინაწერს. საბოლოო მინაწერს, ალბათ, დრო გააკეთებს. მომავალი ყველაფერს თავისი დაწმენდილი თვალებით დახედავს.

## უფრო გვიანი მინაწერი:

აი, ამ სახით ვაპირებდი ზემოთმოტანილი განცხადებისა და მინაწერის გამოქვეყნებას, რომ თამაზ წივწივაძემ კიდევ ერთი წერილი დაბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში".

პოლემიკა ისევ დუღს. ეს წერილიც ხუტა ბერულავას პოეზიისა და მისი შემოქმედების დამცველი კრიტიკოსების პოზიციის წინააღმდეგ არის მიმართული და, სამწუხაროდ, როგორც ამ პოლემიკის სხვა მასალები, არც ეს წერილი გამოირჩევა კორექტულობით.

ამ წერილმაც მძაფრი რეაქცია გამოიწვია ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში. მკითხველთა ერთი ნაწილის აზრით, ყველაფერი რიგზეა — თამაზ წივწივაძე აქაც აგრძელებს თავისი წერილების გახმაურებულ ციკლს: „გაიღვიძე... დეპოში ვართ!" თუმცა, ციკლის საერთო სახელწოდებას ყველა წერილში არ მიუთითებს, მაგრამ ეს თავისთავად იგულისხმება. მათ მიაჩნიათ, რომ ეს წერილები ჩვენი დროის მაჯისცემას და გულისცემას გადმოსცემენ — ეროვნულ სხეულში ათეულ წლობით დაგროვებულ ბალღამს უხსნიან გზას. ბალღამისთვის გზის მიცემა კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ ლოცვით არ შეიძლება, ამისთვის გალესილი იარაღიცაა საჭირო და ამიტომ, მათი აზრით, კრიტიკოსის ტონიც აბსოლუტურად მიესადაგება იმ საზარელ ლიტერატურულ მოვლენებს, რაზედაც ის წერს — ძნელია, აკადემიზმი შეინარჩუნო და ხმას არ აუწიო, როცა უნებლიე გადაცდომასთან კი არა, განგებ ჩადენილ სიყალბესთან, ლიტერატურის მთავარი პრინციპების გაუკულმართების ცდასთან გაქვს საქმე... და როცა ისინი თავჩაღუნულნი კი არ დგანან — თავისგასამართლებელ არგუმენტებს შემოგვყვევიან გულდიდად...

არაორაზროვნად გაისმა აღშფოთების ხმებიც: რა ხდება ქართულ მწერლობაში, რა მგლებივით წაესივნენ ერთმანეთს სწორედ დღეს, როცა ჰაერივით გვჭირდება შეკავშირება და თანხმობა, ურთიერთსიყვარული და თანადგომა?! ერი მწერლობის სახით თავის წინამძღოლს, ეროვნულ მოძრაობაში შექმნილი ბუნდოვანი მდგომარეობის გამრკვევსა და გამრჩევს ხედავს, ესენი კი?! ხუტა ბერულავა დღეს ხომ არ დაიბადა — თუ გუშინ ზარ-ზეიმით უხდიდნენ იუბილეებს, ანიჭებდნენ ყველაზე პრესტიჟულ პრემიებს, არ იშურებდნენ თანამდებობებს... დღეს რაღა მოხდა, ასე უცებ როგორ შეიცვალა იგი?!. ანდა, რაღა ხუტა ბერულავა ამოიჩემეთ, სხვები რა, სხვები კომუნისტურ აპოლოგიებს არ წერდნენ?!.. როდის ექნება დასასრული ყოველივე ამას?!. იმ გემის ფსკერს ხომ არ ვასხავებთ, რომელშიც ჩვენ, ყველანი ერთად ვსხედვართ?!

რთული კითხვებია... თუმცა, რთული იმდენად არ არის, რამდენადაც — მტკივნეული და საჭირბოროტო, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს არცთუ სახარბიელო გამოხატულება. ეს კითხვები ცოცხალი კითხვებია, ეროვნული გამოფხიზლების, თავისუფლებისათვის ბრძოლის ამონაყარია და მათი უპასუხოდ დატოვება არ შეიძლება, მეტიც, ამ კითხვებზე ზუსტი პასუხი, როგორც ჩანს, დაგვიანდა კიდეც და ამიტომ გაისმის ისინი უფრო და უფრო მეტი დაჟინებითა და სიმძაფრით.

ეს კითხვები მთელი ქართული მწერლობის წინაშე, ყველა ქართველი მწერლის წინაშე დააყენა ცხოვრებამ — ისინი პრობლემების რაღაც საერთო კომპლექსზე მიგვანიშნებენ და ეს კომპლექსი, როგორც ჩანს, სულაც არაა მხოლოდ ხუტა ბერულავას ან მის ლექსებზე მოკამათე კრიტიკოსების პრობლემა.

მიმაჩნია, რომ ამ კითხვებთან დაკავშირებული პრობლემები დღემდე უნდა გადაჭრილიყო მწერალთა სპეციალურ პლენუმებზე, ყრილობებზე... გამოქვეყნებულიყო სათანადო მასალები, თავისი კვალიფიკაცია მისცემოდა „სოციალისტური რეალიზმის მეთოდით" შექმნილ ლიტერატურას — გამორჩეულიყო ქვიშისაგან ოქრო. ეს არ გაკეთდა და აჰა, ეს პასუხგაუცემელი კითხვები საბოლოო დისკრედიტაციით ემუქრება თანამედროვე მწერლობას, ყველა ქართველ მწერალს...

ახლოვდება თავისუფლების დიდი ვარსკვლავი და თანდათან ნათლად იკვეთება, თუ როგორ გადავჩვეულვართ თავისუფლებას. მონობაში ცხოვრება მონურ ფსიქოლოგიასა და მონურ თვისებებს აყალიბებს — ტყუილის კულტს, ცრუ თავმოყვარეობას, გაძრომ-გამოძრომის უნარს, პრინციპების უქონლობას, ქარის ქროლვაზე ბალახივით გადაწოლ-გადმოწოლას — მანკიერებათა სრულ ერთობლიობას... თავისუფლებისთვის კი აბსოლუტურად მიუღებელი და გაუგებარია ასეთი რამეები, მას მხოლოდ დიდი ასოებით დაწერილი ზნეობა სჭირდება და აღარ უნდა გაგვიკვირდეს შეუთავსებლობის ის სინდრომი, რომელიც ძნელადგადასალახ მდინარესავით ჩადგა თავისუფლების იდეასა და მონური ფსიქოლოგიით აღზრდილ ხალხს შორის, არ უნდა გაგვიკვირდეს ის კითხვებიც, რომლებიც ასეთი გაკაპასებით გადაგვიდგნენ თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე.

კითხვები, კითხვები...

მე შევეცდები ის ვთქვა, რასაც ვფიქრობ.

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!"-ს ძნახუნხზე ბევრი უწვალია — შესავალი ოთხ საკმაოდ ვრცელ ვარიანტად დაუწერია... ბოლოს, ამ ოთხივეზე უარი უთქვამს და მოთხრობა სულ მოკლე, რამდენიმეწინადადებიანი შესავლით დაუწყია.

შესავლის იმ ოთხივე, დაწუნებულ ვარიანტს სიუჟეტი თითქმის საერთო აქვს. ავიღოთ მეოთხე (ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებული დანომვრით) ვარიანტი: მგზავრი ჭაობში შედის და... თუმცა სჯობს თვითონ ილიას მოვუსმინოთ. მის მონათხრობს აქა-იქ, ჩემი წერილის ინტერესებიდან გამომდინარე მიზეზების გამო, შევამოკლებ.

დიახ, მგზავრი ერთ საშინელ ჭაობს მიადგება და თავისთვის ჩაილაპარაკებს: „— ამ გუბის ამბავი და ხსენება არსად არის: ესჩანს მეტად საძაგელი წუმპე ყოფილა, არა ღირსი ხსენებისა. ნეტავი, მითხრას ვინმემ, რა უნდა ერქვას ამ საძაგელს, დამყაყებულს და ერთს ადგილას გაჩერებულ გუბესა?"

აი, ამ გუბეში აღმოაჩენს მგზავრი (ავტორი) მოთხრობის მთავარ პერსონაჟს, ლუარსაბს.

მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„—რაღა მე წამავლე, შე ულმერთოვ, ხელი, ათასია სხვა ჩემისთანა.

— აბა უფრო მაგისთვის წაგავლე, რომ შენ ათასხა ჰგევხარ და ათასი შენა! რაც ბევრს ეგვანები, უფრო კარგია. აქედ მობრძანდი, აქედ...

წავავლე ყურზედ ხელი და გამოვსწიე ლუარსაბი უგემურად დაიღმიჭა ამ ჩემი ნაზის ალერსისგან და დამიყვირა:

— რომ მიგყევარ, სად მიგყევარ?..

ლუარსაბის ღრიალზედ გამოცვივდა გუბიდან ადამიანების ხროვა და ერთის ხმით დამჟყივლეს:

— შენ ეი, რა გინდა მაგისაგან? გაუშვი ეგ ჩვენი ძმაკაცი, არავინ არ შეახწროს თვალი, თორემ არ ვიცით, რასა ვიქთ.

— თქვენ რა, რომ ეს დაინახოს ვინმემ, აბა თქვენ რა?

— როგორ თუ ჩვენ რა? ხარი ხართან დააბიო ან ფერს იცვლის ან ზნესაო. ყველამ იცის, რომ დაბადების დღითვე ეგ ჩვენთან იყო დაბმული, ვინც მაგასა ნახავს — მითამ ჩვენც უნახივართ. ყველა იტყვის, ვისთანაც ეს ყოფილა — ყველა ამისთანა იქნებაო. ეს ჩვენ არ გვინდა, გესმის თუ არა?

— კარგად შემატყობინეთ, არ მესმის.

— აი, ღმერთმა ნუ გაგაგონოს! როგორ არ გესმის? ჩვენი ლაფი მაგას აცხია და მაგისი ჩვენა, გაიგე? რომ მიგყავს, სად მიგყავს? მაგის შერცხვენა ჩვენი შერცხვენაა...

დამიშინეს საშინელი ლაფის ზეტყვა და თან დამყვიროდნენ: გიჟია, გიჟია! მაგრამ არც ერთხელ არ მომხვედრია, სულ საწყალს ლუარსაბსა ხვდებოდა და წებოსავით ზედ ეკვროდა, ასე რომ, იმათი ნიმუში ლუარსაბი ხომ ამოტლაპული იყო, უფრო ამოიტლაპა".

ლუარსაბთან დიალოგი ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის, თამაზ წივწივაძის წერილით გამოწვეულმა აღშფოთებამ და ნიშნისმოგებით შეზავებულმა კითხვებმა გამახსენა — რაღა მაინცდამაინც ხუტა ბერულავა ამოიჩემეს, სხვა მწერლები რა, ყველა კომუნისტების დედის გინებაში იყოო?! და ა. შ. ერთი შეხედვით, ამ ნიშნისმოგებით შეზავებულ შეკითხვებში რაღაც სიმართლე არის.

თითქოს მართალია ლუარსაბი — „რაღა მე წამავლე, შე ულმერთოვ, ხელი, ათასია სხვა ჩემისთანა..."

თითქოს მართალი იქნება ხუტა ბერულავაც, იგივე რომ გაიმეოროს.

თითქოს მართლები არიან ნიშნისმოგებით შეზავებული შეკითხვის ავტორებიც — რაღა ეგ ერთიო?!.

მე არაერთხელ მითქვამს ქართული მწერლობის ერთ ნაწილზე — კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების ვოლიერებში გამოზრდილი „ქართველი საბჭოთა მწერლების" ორგანულ შემადგენლობაზე და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. იმას კი ვიტყვი, რომ თამაზ წივწივაძის წერილების მთავარი გმირი,—ხუტა ბერულავა, აქ მხოლოდ ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი, იგი ერთი მრავალთაგანია და, თუ სხვები მშვიდად არიან, მასაც შეუძლია დამშვიდებული იყოს... ასევე დამშვიდების უფლება აქვთ ბერულავას ლექსების დამცველ კრიტიკოსებსაც —, თამაზ წივწივაძის წერილის მთელი პათოსი ბესო ჟღენტის ტრადიციების წინააღმდეგ არის მიმართული. დიახ, თამაზ წივწივაძისა და მის თანამოაზრეთა პოზიცია ერთეულების წინააღმდეგ კი არა, გლობალური მოვლენის წინააღმდეგ არის მიმართული, მიმართულია „ქართველი საბჭოთა მწერლების" უზარმაზარი „იდეოლოგიური არმიისაკენ", რომელიც ასე სასტიკად გაშიშვლდა და გაკოტრდა თანამედროვე მოვლენების ფონზე და თავს მაინც არ უტყდება — იგი გამძაფრებით ეძებს ახალ მოვლენებთან შეგუების ახალ ფორმებს, იგი გამძაფრებით ცდილობს მშრალი და ხუფთა გამოვიდეს იმ საზარელი ჭაობიდან, რომელშიც ათეული წლების მანძილზე მზადდებოდა და მილიონიანი ტირაჟებით მრავლდებოდა ლიტერატურული საწამლავი — ანტიჰუმანური, ანტიეროვნული, „კომუნისტური ჰეროიკის" ამსახველი „ტილოები", იგი გამძაფრებით იბრძვის, რომ დროულად გადაღებოს დროშა, დროულად შეცვალოს ლექსების თემა, დროულად გავიდეს წინა რიგებში... აქ ყველაფერია, რასაც კი თავის გადარჩენის ცხოველური ინსტინქტი გულისხმობს — როგორ დაიცვან, აკაკის ურმოსხდროინდელი ლექსი რომ გავიხსენოთ, „რაც რამ სახრავიას" ხვრის შედეგად დაგროვილი ქონი, როგორ დაიცვან კომუნისტური პრემიებითა და ჯილდოებით მოტანილი „სახელი და დიდება"... არის ლოდინიც— ცოტა კიდევ გავძლოთ და, ვინ იცის... მოვლენები სწრაფად იცვლება — იქნებ ისევ იგრგვინოს მილიონობით უდანაშაულო ადამიანების სისხლში ნაწრთობმა ლოზუნგმა: „წინ, კომუნიზმისაკენ! ვინც ჩვენთან არ არის — ჩვენი მტერია!", იქნებ ისევ იწივლოს გარუსების მათრახმა, იქნებ, იქნებ, იქნებ...

დიახ, ყველაფერია და არ არის მხოლოდ მონანიება. არ არის ის ერთადერთი რამ, რაც ისევ გაგიხსნის ჩაკეტილ გზას შენი ხალხის გულისაკენ, რაც შენს შთამომავლობას იხსნის სირცხვილით გაწითლებისაგან...

მონანიებისა და შენი წარსულის გულწრფელი დაგმობის გარეშე, ძნელი და წარმოუდგენელია შენი ურთიერთობა იმ ძალებთან, რომელთაც დავიწყებული დროშა აღმართეს და მზის სინათლეზე გამოიტანეს სახალხო გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტი — ის არწივივით გადმოჰყურებს ახალ თაობებს და ეროვნული ღირსების დაბრუნებისაკენ გვიხმობს...

იმ ნიშნისმოგებით შეზავებულ კითხვებში თანხმობისაკენ, კონსოლიდაციისაკენ, ერთობისაკენ მოწოდებაც ისმის. ეს კითხვაც მთელი სიმკაცრით აისვეტა თანამედროვეობის წინაშე... და სიტყვა ვაჟაფშაველამ აიღო:

რაც უნდა ჭირი მამკერძოთ,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა!..

თამაზ წივწივაძე თავის წერილებში ხშირად ახსენებს ხუტა ბერულავას პოემას „რუსულ გულს". მე აღარ მოვიტან ადგილებს ამ პოემიდან, რომელშიც ქართველი პოეტი ფაქტიურად რუსულ იმპერიალიზმს განადიდებს, იმას კი ვიტყვი, რომ პოემას, რომელიც მანამდე კარგა ხნის დასრულებულად ითვლებოდა, ავტორი ისევ მიუბრუნდა ამ ათიოდე წლის წინათ. მაშინ საქართველოს მთავრობაში იყო ერთი კაცი, რომელიც განსაკუთრებით იკლავდა თავს ყოველივე რუსულის „გამშობლიურებისათვის". ვერაფერს იტყვი, ის ნამდვილი კომუნისტი იყო და დროულად ა[illegible]ალლო იმ მომენტს, როცა საქართველოს გარუსების უკანასკნელი რაუნდი იწყებოდა — რუსული სკოლებისკენ დაიძრა ქართველი ბავშვების უზარმაზარი ნაკადი, გარუსდა სახელმწიფო დაწესებულებები, რუსულ ენაზე ალაპარაკდა „ეროვნული" მთავრობა... და აი, ამ მომენტში ხუტა ბერულავამ ისევ გაიხსენა „რუსული გული" და კიდევ ერთი ნაწილი მიაბა მას.

ალტერნატივა არ არსებობს — ჩვენ აუცილებლად უნდა გავერთიანდეთ ერთ ძალად, ერთ სხეულად უნდა ჩამოვყალიბდეთ...

მაგრამ, როგორ შევათანხმოთ „რუსული გულის" ავტორი ქართველი ეროვნული მწერლის ზახესთან, ვთქვათ, ლევან გოთუასთან, რომელმაც სიცოცხლის დიდი ნაწილი რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში, „თორმეტთვიანი ზამთრის" სამფლობელოში, ტუნდრაში განლაგებულ საპატიმროებში გალია და რომლის ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ უყვარდა თავისი ნამდვილი სამშობლო და არა ის უფორმო, უკანონო, ულმერთო, უცხო „ველიკაია ნაშა სტრანა", რომელსაც ასე ყელგადაგდებით უმღერეს ლიტერატურული ჭაობის ბინადრებმა.

ლევან გოთუა 1948 წელს კორკუტიდან იწერებოდა: „მივეჩვიე ჩრდილოეთს. ეს არც არის გასაკვირი... ბოლოს და ბოლოს, მე მხოლოდ დავიბადე საქართველოში, თორემ, გავიზარდე და, ვგონებ, ვბერდები ამ ჩრდილოეთში. რა ჭირი გადამეყარა! სახედრისა და პიტნისა არ იყოს".

„ძალიან ხშირად შევნატრი იმ დათვს — რომელიც აქედან არის წამოყვანილი და მანდ, თბილისის ზოოლოგიურ ბაღში, სიცხისაგან სული ამოხდის! არც მე მადგა კარგი დღე — შის სამშობლოში".

თანხმობა, თანხმობა! მაგრამ როგორ შევათანხმოთ ერთმანეთს ლიტერატურა და ანტილიტერატურა, ღალატი და ერთგულება... ბოლოს და ბოლოს — [illegible] შეუთანხმდებიან ერთმანეთს. საუკუნო [illegible] ქართველი უმანკოების გამყიდველი თავადებისა და კრწანისში დაცემულ არაგველთა სულები?!

ეს პრობლემა განა მარტო მწერლობის პრობლემაა?

აშკარად იგრძნობა ტენდენცია, რომ ყველაფერი გარედან მოსულ ბარბაროსებს დაბრალდეთ... როგორც კახეთში იტყვიან — მართა არ გაბოზდებოდა, შაქრო რომ ჯარში არ წაეყვანათო. იმპერიას და იმას, ვინც შაქრო ჯარში წაიყვანა ნუ გავამართლებთ, მაგრამ ნურც პირად ზნეობრივ პასუხისმგებლობას გავექცევით. მართასაც კი ევალებოდა შეენახა ნამუსი, მოეცადა შაქროსთვის...

დღეს სწორედ საპასუხისმგებლო ჟამი გვიდგას.

ჩვენ ყველას გაერთიანებისაკენ, თანხმობისაკენ, ურთიერთსიყვარულისაკენ გვიხმობს საქართველოს ადგილის დედა, მაგრამ ეს ერთიანობა არ შეიძლება იყოს ხელოვნური და პლაკატური, არ შეიძლება მაცილს ქრისტეს კვართი გადავაცვათ. ჩვენ თეატრში კი არა — დიდ და უმკაცრეს ბრძოლაში ვართ.

აი, მოედნებზე და პროსპექტებზე გამოსულან ჩვენი ლამაზი და გულადი შვილები. სახიფათო და საშიშია მათი სვლა. მათ ჩვენი თანადგომა სჭირდებათ, მარტო ვერაფერს ვერ გახდებიან... მათ მშობლის აწონილი სიტყვა და ღირსებისათვის თავგანწირვის უნარი სჭირდებათ და არა გარეგნული მეტამორფოზები. ჭაობის ბინადარნი კი ისევ ჭაობში სხედან. ჩვედავთ, რამდენი არიან: ერთი, ორი, ათი, ათასი, ათიათასი... არხეინად სხედან წუმპეში და კიდევაც იმოძღვრებიან: გათიშულობა დამღუპველია, გავერთიანდეთ, შევთანხმდეთ, — თქვენ მანდ სისხლი და ოფლი ღვარეთ, თავისუფლების გზები ეძებეთ, ჩვენ კი ძველებურად გვაცხოვრეთ ჭაობში, თანაც ლიდერის მაისური დაგვიტოვეთო...

...მაგრამ, ამ დროს, თავისუფლების მედროშეებსაც ხომ აქვთ ხმის ამაღლების უფლება: არა, ბატონებო, ჩვენ დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის ერი ვართ და იმათგან ვიცით მიმტევებლობაც და მტრისად სამართლის მიცემაც! ჩვენი ეროვნული ერთიანობა იმას არ გულისხმობს, რომ უმთავრესი საზღვრები მოვშალოთ ზნეობასა და უზნეობას შორის, რომ ბილწთ შევეკრათ ზავითა.

ამით ვამთავრებ ამ გაჭიანურებულ და სევდიან საუბარს. ჩემთვის არ იყო ადვილი იმის თქმა, რაც ვთქვი, მაგრამ არც გაჩუმება შემეძლო.

ბოლოს, მინდა გულწრფელად ვუთხრა ამ წერილში ნახსენებ, თუ ნაგულისხმევ ლიტერატორებს, რომ არც ვინმეს კარგი ლექსი და კარგი საბავშვო მოთხრობა დამვიწყებია. არც ვინმეს საგამომცემლო მოღვაწეობა (ეროვნული საბავშვო მწერლობის გამოცემისათვის გაწეული ღვაწლი, ბრწყინვალე მრავალტომეულები „ჩვენი საუნჯე", „ხალხური საუნჯე" და ა. შ.), არც ვინმეს კარგი ლიტერატურული გამოკვლევები. არც ვინმეს უშურველი ღიმილი და ხალამი... მაგრამ ეს „ქართველ საბჭოთა მწერლის" ზოგადი სურათიც დუმს და ვერ პასუხობს ავად ახვეტილ კითხვებზე: როდის დაგიჯერო ჩემო ბატონო — მაშინ, როცა გარითმულ ლოცვებს აღავლენ კომუნისტურ სამლოცველოში, თუ მაშინ, როცა საქართველოს საკურთხეველთან დაეცემი ხოლმე ქადაგად და ცოტნე დადიანის სადიდებელს არაკრაკებ?!

ამოდის, ნათდება და სამშობლო ნამდვილი ერთიანობისაკენ, სიტყვისა და პიროვნების განუყოფლობისაკენ გვეძახის.

# ნიკო ფიროსმანაშვილის ალბომი

„იზობრაზიტელნოე ისკუსსტვომ“ გამოსცა ნიკო ფიროსმანაშვილის 24 შედევრის რეპროდუქციათა კრებული.

გთავაზობთ ალბომის წინასიტყვაობას, რომელიც შემდგენელს ნ. აპჩიხაიას ეკუთვნის.

...იმის მიუხედავად, რომ ფიროსმანის თითქმის მთელმა ცხოვრებამ ქალაქში (თბილისში) განვლო, განსხვავებით ფრანგი პრიმიტივისტის ანრი რუსოსგან (რომელიც დაახლოებით იმ წლებში ცხოვრობდა, რომელ წლებშიც ფიროსმანი), ქალაქის ფერმწერი არ გამხდარა. მისი ხელოვნების მთავარი თემებია ადამიანი და ბუნება, ასევე ბუნებასთან განუყრელად დაკავშირებული გლეხური ცხოვრების მდინარება. გადარჩენილი ორასზე მეტი ნიმუშის უმრავლესობა მსხვილი პლანით წარმოსახავს ადამიანებსა და ცხოველებს.



ეს უკანასკნელნი ქართველი ოსტატის შემოქმედების ყველაზე თავისებური, ფურცელია. ალბათ არცერთ მხატვარს, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არ დაუტოვებია ცხოველების ასეთი შთამბეჭდავი „პორტრეტული გალერეა“. სწორედ აქედან მინდა დავიწყო საუბარი ფიროსმანის ხელოვნებაზე.

ფიროსმანის ეს განსაკუთრებული ჟანრიც, მისი ყველა სხვა ჟანრის მსგავსად, იმდენად „ანიმალური“ არაა, რამდენადაც „ანიმური“. აქ მთავარი პროტოტიპის ფიზიკური სახის მსგავსება არაა, თუმცა მხატვარი, უმეტესწილად, ზუსტად წარმოსახავს ცხოველის დამახასიათებელ ნიშნებსა და ზნეს. აქ მთავარია გამოსახულების გასულიერება. მხატვრის ფუნჯით შექმნილი არსებები ცოცხლობენ არა ზუსტად ასახული, არამედ მათი საკუთარი სიცოცხლით და პირდაპირ ცხოვრებისეული ენერგიით დამუხტულნი ჩანან, პარადოქსული ამბავია, მაგრამ ფიროსმანის ცხოველები ხშირად ადამიანებზე უფრო ინდივიდუალიზებული და ფსიქოლოგიზებულია. ფიროსმანის შემოქმედების მკვლევარი, ე. კუზნეცოვი წერს, რომ ცხოველებისადმი მიძღვნილ ნამუშევრებში ქართველი ოსტატი ყველაზე უფრო ალმხარებლურია და ყველაზე უშუალოდ გამოხატავს თანალმობის, სიხარულის, აღტაცების, შიშის, დრამატიზმის და ტრაგიზმის გრძნობებს. მის ყველა ცხოველს თავისი „სახე“ აქვს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ჭეშმარიტად უნიკალური ლომები: მწვანე-ყვითელი ბალახისა და მოლურჯო შავი ფოთლების ფონზე, უ. ბლეიკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნათლად მნათობი“. ყვითელ-ცვილისფერი, ქარვისფერთვალებიანი ლომი? მძვინვარე, მაგრამ ბავშვურად ზღაპრული და არასაშიში ლომი; ყველაზე მრისხანე „შავი ლომი“, „ირანის ლომი“ — ერთდროულად ცოცხალი და ჰერალდური, ძველ ირანულ ღერბზე გამოსახული ლომების მსგავსი არსება; არანაკლებაა ცნობილი ფიროსმანის ირმები. ისინიც, ლომების მსგავსად, კეთილშობილურ ძალას, განასახიერებენ, მაგრამ საშიშს არაფერს ასხივებენ. მის სურათებზე აქლემი სინაზეს აფრქვევს და, სამართლიანადაც დგას მის მარეკზე მაღლა. ასეთივე თვინიერია ფიროსმანის ძროხები, ვირუკები, ირემლაოები, კურდღლები, მსხვერპლის განწირულობის განმასახიერებელი საშობაო ბატკნები და, პირიქით, არწივი, რომელსაც კლანჭებით უპყრია კურდღელი, ბოროტების განსახიერებაა. დაუვიწყარია საზარელი დათვი, რომელიც მთვარიან ღამით ხეზე მიიპარება და ერთდროულად თავისი ზედაპიმულობით მისტიკურად და ადამიანურად ტრაგიკულად მომზირალი ჟირაფი (ამ ჟირაფმა იმათ, ვინც ფიროსმანზე წერდა, გაახსენა ედგარ პოს ნოველაში გობელენიდან გადმოსული ირემი).

ფიროსმანის მხეცებში, ისევე როგორც ყველა ფოლკლორულ ცხოველში, ბევრი რამაა ადამიანური. ფოლკლორულ აზროვნებასთანაა დაკავშირებული სახეების გადაძახილიც, განმეორებებიცა და დაპირისპირებებიც, (ისინი გაპირობებული იყო მხატვრის ნამუშევართა ფუნქციური დანიშნულებითაც — დუქნის ინტერიერის გალამაზების და იქ მთლიანი დეკორატიული ანსამბლის შექმნის მიზნით, ზოგიერთი ნაწარმოები თავიდან წყვილად დაკიდებისთვის იყო გამიზნული და დიპტიქს ქმნიდა). ხალხურ ოსტატების მსგავსად, ფიროსმანი არა მარტო ცხოველის ადამიანთან ნათესაობას, არამედ ტოტემური წარმოდგენებიდან მომდინარე თავის ნახევრადღვთაებრივ ნახევრადდემონურ ბუნებას წარმოაჩენდა. მაგრამ მის ნაწარმოებებში ცხოველი ყოველთვის თანასწორია ადამიანისა, რაც კარგად ჩანს მრავალ კომპოზიციაში, რომლებშიც ადამიანი და ცხოველი ერთმანეთის გვერდიგვერდ იმყოფებიან.

ფიროსმანის მხეცები თუმცა ბუნებაში არსებობენ, მაგრამ მისი ნახატი იშვიათადაა კონკრეტული ლანდშაფტი, უფრო ხშირად ის ცოტა დეტალებით გამოსახული უნივერსუმია. ეს დეტალებია: მიწის ზოლი, მაღალი ცა, ხეების ტანი და ჯირკები (მხატვარს სულაც არ სურდა ხეების გაწირვა, მაგრამ ისინი ცის ღიად დასატოვებლად მოჭრა), წყლის ჭავლი ან ღერო, კოსმიური უფსკრულიდან ამოზრდილი ბალახის ღერო. კოსმიური სივრცის ფართოვე და უკიდურესი განზოგადება მეტნაკლებად აღბეჭდავს ქართველი ოსტატის მიერ შექმნილ ბუნების ყველა გამოსახულებას. ბუნება მის ნამუშევრებში მონუმენტურ-მყარი და, იმავდროულად, დინამიური სიცოცხლისეული რიტმებითაა გამსჭვალული. გეჩვენება, რომ მიწიდან ამოსკდება ხეების მძლავრი ტონები, ირხევა ბალახების ღეროები, მოედინება წყლის ნაკადულები, მიმოძრაობს ბორცვების ნაოჭები.

ფიროსმანი, როგორც არქაული აზროვნების ბევრი ნიშნის შემომნახველი მხატვარი, არ ხატავდა „წმინდა“ პეიზაჟებს, ბუნებას არ მიჯნავდა არც ცხოველისგან და არც ადამიანისგან. და მის ნამუშევრებში გლეხებიც და ქალაქელებიც, ჩვეულებრივ, ბუნების ფონზე არიან განლაგებულნი, ისინი ზოგჯერ იკალათებენ სიმბოლურად მონიშნულ ინტერიერში, მაგრამ იქაც ცოცხალი ბუნების ელემენტებია განფენილი და მათ ფეხქვეშ მიწაა და არა იატაკი.

ცხოვრების გამოცანის განჭვრეტა გვევლინება მთავარ თემად ჯგუფურ კომპოზიციებისა, რომელთაგან ჭეშმარიტი შედევრია „უშვილო მილიონერი და ბავშვებიანი ღარიბი ქალი“. როგორც ყოველთვის, ფიროსმანის პერსონაჟები აქ ერთმანეთთან არ ურთიერთობენ, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ მათს უფრო მაღალ დონეზე ერთიანობას. მდიდარი ცოლ-ქმარი და დედა სამი შვილითურთ ერთმანეთისგან გამიჯნული არიან სივრცითი პაუზით, მაგრამ გაერთიანებული არიან კომპოზიციურ-რიტმულად, ამას გარდა, „მილიონერის“ ცოლი ღარიბი ქალისკენ იშვერს ხელს. მხატვარი თითქმის ათანაბრებს, ათანასწორებს თავის გმირებს, მარადისობის წინაშე, სადაც წარდგება ერთი მხარეცა და მეორეც.

ადამიანთა ერთიანობისა და, იმავდროულად სიცოცხლის განდიდების განწყობა და ბუნების სიკეთესთან ზიარება მთელი ძალით გამოვლინდა „ქეიფებში“, რომლებიც ყველაზე უფრო პირდაპირ გამოხატავდნენ მის ძირითად ამოცანას — დუქნების მორთვის, დამშვენების ამოცანას. ფიროსმანის სახელი ბევრისთვის სწორედ ამ ნამუშევრებთან ასოცირდება.

ფიროსმანმა საძმოზე თავის ოცნებას ხორცი შეასხა მის მიერ ასახულ სხვა ქეიფებში, რომლებშიც თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რაც აგრერიგად დამახასიათებელი იყო იმ წლების საქართველოსთვის. ეს ქეიფებიც რაღაც რიტუალურ საფუძველს ინარჩუნებდნენ და ამაღლებული პათეტიკით იყო აღსავსე; სადღეგრძელოები ეთიკურად ჟღერდა, ხშირად ლოცავდნენ უპოვართ, ტანჯულთ, გამოსაქომაგებელთ. ფიროსმანის ნამუშევრებში ქეიფები იგება ერთიანი კომპოზიციური სქემით, რაც, საბოლოო ანგარიშით, შუა საუკუნეების „საიდუმლო სერობის“ კომპოზიციიდან მოდის. მოქეიფენი უსხედან სუფრაგადაფარებული მაგიდის (ან, ზოგჯერ, პირდაპირ მიწაზე სხედან) იქეთა მხარეს და ჩვენ, მნახველთ შემოგვყურებენ, ან მაგიდის გვერდებზე, ჩვენსკენ პროფილით სხედან. ზოგიერთნი ფეხზე დგანან. თვალსაჩინოებისთვის უკუპერსპექტივის ელემენტებიანად წარმოსახულ მაგიდაზე ვხედავთ ბოთლების ვერტიკალთა ჩვეულებრივ მონაცვლეობას, შოთი პურის რკალებს და ფუნჯის ერთი მოძრაობით გამოძერწილ კერძების ჰორიზონტული ბოხტნეულის, თევზისა და ქათმის ჰორიზონტალურ შტრიხებს. მაგიდის წინ, როგორც წესი, ღვინიანი ტიკჭორა დევს. ფიროსმანი მოქეიფეთა ტიპაჟისა და რიცხვის ვარირებით, მათთან მუსიკოსებისა ან ოფიციანტების შეერთებით, თავისი გმირების სხვადასხვაგვარი პეიზაჟის ფონზე განლაგებით, სურათების ფორმატებისა და ზომების შეცვლით, სახეობრივი ჟღერადობით განუმეორებელ ნაწარმოებებს ქმნიდა. ვთქვათ, „ხეირი“, რომელიც ამჟამად აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია გამოფენილი, შთამბეჭდავია თავისი განსაკუთრებული მთლიანობითა და მონუმენტური ძლიერებით. ნახატში „ქეიფი მეარღნე დათიკო ზემელთან“. მოქეიფეთა (ერთი მათგანი ფეხზე დგას) ჟესტებსა და ნაწილობრივ მიმიკაში გამოხატული ემოციების ჩქაფანი გაწონასწორებულია მყარი და ღირსებით სავსე ფიგურით მეარღნისა, რომელიც თავდავიწყებით უკრავს. „ბეგოს კამპანიაში“ ჩვენ ვხედავთ ფიროსმანის ბევრი ნამუშევრისთვის დამახასიათებელ ხალხური ხელოვნებიდან მომავალ შერწყმას, შეხამებას თავისუფლებისა და დეკორატიული დასრულებულობისა სიმეტრიული კომპოზიციისა. სცენა კულისების მსგავსად, მოჩარჩოებულია ხეებით, მაგიდაზე დომინირებს ორი დიდი ქვევრი, რომლებსაც მხატვარი დამოუკიდებელ ნაწარმოებებსაც უძღვნიდა, მათ აერთიანებს მიწაზე განლაგებული „ნატურმორტი“. „ბეგოს კამპანიაში“ განსაკუთრებით საყურადღებოა, ჩინებულია მაგიდასთან მსხდარი ორი ქალი, აგრეთვე შლაპიანი მამაკაცი, რომელშიც მკვლევარების ვარაუდით, მხატვარმა თავისი თავი გამოსახა, „ქეიფების“ სერიას გარკვეული ძალდატანებით შეიძლება მივაკუთვნოთ სურათი „ვირის ხიდიც“, რომელშიც ღამეული პეიზაჟის რომანტიკულ ფონზე წარმოსახულია მთელი ოთხი ქეიფი, მაგრამ მხატვარს, ამასთანავე, მნახველი, მაყურებელი თითქოს სანადიმო სუფრის ფარგლებს გარეთ გამყავს და ამით სამყაროს ერთიანობის უფრო ღრმა სახეს ქმნის.

სხვა ნამუშევრებში შეიძლება ვნახოთ ის, რაც ქეიფებს უსწრებს, — გლეხკაცის შრომა. ნიშანდობლივია, რომ ეს ყოველთვის ყურძნის კრეფა ან კალოობაა — ყურძენი და მარცვალი არა მარტო კახეთის მთავარი პროდუქტები იყო, არამედ ისინი ქრისტიანულ და ქრისტიანობამდელ სიმბოლიკასაც წარმოადგენდნენ. ფიროსმანის ხელოვნებაში გაცოცხლებულია ხალხის ცხოვრების სხვა საკვანძო მომენტები და პერიპეტიებიც — საეკლესიო დღესასწაულებიც, ქორწილებიც, ურმით მგზავრობაც, ყაჩაღების თავდასხმის სცენებიც...

ფიროსმანის ყველა სახე შინაგანი მთლიანობითაა აღბეჭდილი და ასევე მთლიანია მისი პლასტიკური აზროვნებაც. ხალხური მხატვრული ტრადიციის შესატყვისად, ის ნატურის იმიტირებას კი არ ესწრაფვოდა, არამედ ფერწერულად ასხამდა ხორცს თავის წარმოდგენას ამ ნატურაზე, ფერწერული საშუალებებით ჰქმნიდა ახალ სამყაროს, რომელშიც სინამდვილის ასახვის გულუბრყვილო პირდაპირობაც ირეკლებოდა და მითიურ-პოეტური განზოგადებაც. ამასთან, მისი პლასტიკური მეტყველება გამოირჩეოდა იშვიათი ენერგიით, უშუალობით და, იმავდროულად, ინტუიტიური ორგანიზებულობით. გამოსახულება თვალნათლივ „იკითხებოდა“ — ამასთან იყო დაკავშირებული რეპრეზენტალობაც სურათებზე შობილი სახეებისა, სივრცის მკითხველისკენ მობრუნება, ზოგჯერ კი — ამხსნელი წარწერებიც. ყოველი საგანი, რომელიც თავისთავადობას ინარჩუნებს, საერთო გამომსახველობით „ტექსტში“ თავისებური ნიშანი ხდება. ეს ნიშნადობა განაპირობებს ფიროსმანისეულ განზოგადებათა არაჩვეულებრივ თავისუფლებასა და გაბედულებას. მისი ნახატის სიძუნწეს, დამუშავებული ხერხების განმეორებას, ნატურის ყოველი ელემენტისთვის ერთგვარი პლასტიკური ფორმულის შექმნას. ამის უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება. ნახატში „ქალი ზამბახებით და ჭოლგით“ შლაპა წარმოადგენს პლასტიკურად გაღუნულ რგოლს, რომელზეც სადებავის რამდენიმე მონასმით გაცოცხლებულია ყვავილები, — და ყველაფერი ეს მთლიანობაში მოგვაგონებს იმპრესიონისტების ფერწერას. ფიროსმანის ლანგარი რგოლია, ფუნჯის რამდენიმე მოძრაობა ბადებს ბოლოკს, თევზს, ბადრიჯანს. გრძელი მონასმი წყლის ჭავლია, რამდენიმე რბილი ფერადი ლაქა — შამფურით შემწვარი მწვადი, ოქროს პატარა წრე — ყურძნის მარცვალი, მაგრამ, ქართველი მხატვრის სტილის სავსებით „მისაღებითობის“ მიუხედავად, მასში არ არის განსწავლულობა და მექანისტურობა. ფორმა აქ ყოველთვის სპონტანური და სიცოცხლით სავსე ჩანს, კაცმა რომ თქვას, აქ ფორმა და მისი სიცოცხლე არცაა ერთმანეთისგან გაყოფილი. ისევე, როგორც რბილი, არსებითად უკონტურო ძერწვა და ფერი, რადგან აქ სწორედ ფერი ძერწავს.

ფიროსმანის ფერწერის მთავარი პრინციპი ფერთა და შუქთა კონტრასტულობაა. შუქის კონტურები და ათინათები, რომლებიც გაელვებებს მოგვაგონებს, მოხაზავს და ფორმაში აქცევს მის ფიგურებსა და საგნებს. კიაფობენ, შუქს აფრქვევენ პერსონაჟების სახეები და თვალები, ქალთა თმები, სამოსელთა ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, მაქმანები, ცხოველთა ბეწვი, სუფრის ზედაპირი, ბალახი, წყალი, ყურძნის მტევნები, შუქის მეოხებით საგანთა მატერია, თავისი მატერიალურობისა და მხატვრის მიერ ყოველთვის მიღწეული ფაქტურულობის დაუკარგავად, სულიერ თვისებად გარდაიქცევა. უნდა ითქვას, რომ ფიროსმანი ამაშიც ავითარებდა შუა საუკუნეების ხელოვნების ტრადიციებს, კერძოდ, ფრესკების შუქსხივებით აგების პრინციპს, რაც გულისხმობს ბნელი, ზოგჯერ შავი საფუძვლიდან უფრო ნათელი ფერებისკენ და, დასასრულ, „ღვთაებრივი ენერგიის“ განმასახიერებელი ხარვეზებისკენ მოძრაობას. ეს შუქით ფერიცვალება განსაკუთრებით თვალსაჩინოა დასახელებულ დიდ ნატურმორტში, სადაც შავ ფონზე წითლის, ოქროსფრის, ჟანგისფრის, მწვანის, ვერცხლისფრის და თეთრის ნიუანსებით მოდელირებული საგნები გარდასახულია განუმეორებელ მოვლენებად — მათი არსით მოციალე, მანათობელ საგნებად, მთელი ფერწერა კი ვიტრაჟს მოგვაგონებს.

როგორც ვიცით, [illegible] ფიროსმანი „[illegible]“ მიუტევებდა“. მაგრამ თეთრი ფერიც — სიკეთისა და სიყვარულის სიმბოლო, და სინათლე, შუქი — სიმბოლო სულიერებისა, მისთვის არსებობდნენ მხოლოდ შავ სადებავთან კონტრასტში. ეს უკანასკნელი მხოლოდ ბოროტების განსახიერება როდი იყო. მუშამბათა ზეთოვან-შავი ფერები თავის სიღრმეში იბუდებოდნენ, იფარავდნენ სამყაროს საიდუმლოებებს, ადამიანს შეახსენებდნენ არსებობას სიკვდილისა, უფსკრულისა, რომელშიც ითქმება ყოველი სულიერი, მაგრამ საიდანაცვე, მითოლოგიური მსოფლშეგრძნობის შესატყვისად, კვლავ იშვის ის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შავ ფერს, რომლის სიმბოლიკაც ქართველმა მხატვარმა ასეთი ძალით გადმოსცა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XX საუკუნის ბევრი პროფესიული მხატვრისა და პოეტისთვის, რომლებიც ხელოვნების არქაულ პირველსაფუძვლებს მიმართავდნენ. ის თავიანთ პალიტრაში ფართოდ გამოიყენა პიკასომ, ბრაკმა, შაგალმა, მატისმა. მანდელშტამისთვის ის დაკავშირებული იყო ბერძნების მიწისქვეშა სამეფოს მოგონებასთან, გარსია ლორკამ კი, რომლის შემოქმედებასაც ფოლკლორი კვებავდა, მას შთამბეჭდავი სიტყვები მიუძღვნა საპროგრამო სტატიაში „ეშმაკის თეორია და თამაში“. „შავი ბგერები, — წერდა ის, — საიდუმლოებაა, ნიადაგიდან მომავალი, ის სუფევს ყველა ჩვენთაგანისთვის ნაცნობ და მაინც იდუმალ სტიქიაში, საიდანაც მოგვეახლება ჩვენ თავად არსი ხელოვნებისა“. ეპითეტი „შავი“ ლორკას ფართოდ ესმოდა, მას უკავშირებდა ყოველ ჭეშმარიტ ხელოვნებას, — ბახის მუსიკა იქნებოდა ეს, გოიას ფერწერა თუ ხალხური ანდალუზიური სიმღერების შესრულება მომღერალ ქალთა მიერ, — რომელიც სიცოცხლის საიდუმლოებებს წვდებოდა და სტიქიური ცხოველმყოფელობით იყო გამსჭვალული.

1985 წელს ბელგრადში გამოცემულ „ნაივური ხელოვნების ენციკლოპედიაში“ ქართველ მხატვარს საპატიო ადგილი უჭირავს ანრი რუსოსა და ფრანგი „ნაივების“, იუგოსლაველი „პრიმიტივებისა“ და მსოფლიოს ყველა ქვეყნის სხვა „ნაივების“ გვერდით. მაგრამ ზმანებების, ქვეცნობიერებისა და ინდივიდუალისტურად თავისუფალი წარმოსახვის განმასახიერებელი მათი სურათების ფონზე ფიროსმანის შემოქმედება სწორედ რომ მიამიტობით, პატრიარქალურობით და, ამავდროულად, სიღრმითა და არქეტიპურობით გამოირჩევა.

ფიროსმანით ჩვენი საუკუნის მრავალი ქართველი და რუსი მხატვარი მოიხიბლა. მისი სახეების ტრანსფორმაციას ვხედავთ ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის ტილოებზე, მის შავ ფერს — ა. შევჩენკოს რომანტიულ სურათებსა და მონოტიპებში. სიცოცხლის მიწურულს ფიროსმანის თაყვანისმცემელი გახდა პიკასო, რომელმაც შექმნა ოფორტი ქართველი მხატვრის გამოსახულებით. 30-იან წლებში ფიროსმანის შემოქმედებამ გამოძახილი ჰპოვა ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის თეატრალურ დადგმებში. ახმეტელი (რომელიც შემდგომში რეპრესიათა მსხვერპლი გახდა), თეატრმცოდნე ბ. ზინგერმანის სიტყვებით, „ისწრაფვოდა სახალხო სიუჟეტებზე, რიტმებსა და რიტუალებზე აეშენებინა ქართული ტრაგიკული სპექტაკლი“. „როცა მე ქართული მოძრაობის, მისი რიტმისა და ჟესტის მოხელთებაზე ვფიქრობ, — წერდა ახმეტელი, — მთელ იმედებს ფიროსმანისა და ჩვენი ძველი სურათების შესწავლაზე ვამყარებ“.

ფიროსმანის, როგორც არა მხოლოდ ეროვნული რიტმებისა და ჟესტების, არამედ ეროვნული სულისაც და, უფრო ფართოდ, ზოგადკაცობრიული ფასეულობების გამომხატველი შემოქმედის მნიშვნელობა დროთა მდინარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება.

ჯუმბერ თითმერიას
თარგმანი

* იბეჭდება შემოკლებით.

# „ქართველი დისიდენტი"



1989 წლის იანვრის საკავშირო აღწერის მონაცემებით 200 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ; მათი მნიშვნელოვანი და კომპაქტური ნაწილი — 30.000 — მოსკოვში.

მართალია, ამ ბოლო დროს, როგორც იტყვიან, ცერად ვუყურებთ სამშობლოდან რუსეთში, მით უმეტეს, მოსკოვში გადახვეწილ ქართველებს, მაგრამ ისიც არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ბევრი მათგანი აქტიურ საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაშია ჩაბმული და, სხვათა შორის, არც საქართველოს ივიწყებს.

ალბათ, ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა საერთაშორისო ასოციაციის „XXI საუკუნე" პრეზიდენტი ანზორ კიკალიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობათა ბიუროს მუშაკებმა ზეპირად მითხრეს „XXI საუკუნის" შტაბ-ბინის ტელეფონი, ბატონ ანზორთან შეხვედრა იოლი არ აღმოჩნდა. მისი თანაშემწეები მპასუხობდნენ: „ბატონი ანზორი უცხოელებთანაა", „ბატონი ანზორი მოლაპარაკებაზეა", „დაკავებულია" და ა. შ.

როგორც იქნა, ავუხსენი, საიდან და რისთვის ვიყავი ჩასული და მხოლოდ ამის შემდეგ დამაკავშირეს ანზორ კიკალიშვილთან. ჩემი ვინაობა რომ გაიგო, ქართულზე გადავიდა. დამინიშნა შეხვედრის დრო, თან გამაფრთხილა, ჩვენს განკარგულებაში ორი საათი იქნება, მერე მექსიკელ სტუმარს უნდა შევხვდეო.

საერთაშორისო ასოციაციის „XXI საუკუნე" მოსკოვის შტაბბინაში ვარ (იგი მდებარეობს მოსკოვის ცენტრში, სასტუმრო „ინტურისტის" შენობაში). საუბრის დაწყებამდე ბატონი ანზორი საქართველოს ამბებით დაინტერესდა. ორიოდე სიტყვით მოვუყევი, შევატყვე, კარგად არის ინფორმირებული ჩვენთან შექმნილ სიტუაციაზე: მაგიდაზე ელაგა ქართული ჟურნალ-გაზეთები...

●

ბატონო ანზორ, საკავშირო პრესის ფურცლებიდან და ცენტრალური ტელევიზიის გადაცემებიდან გვსმენია, რომ მოსკოვში არსებობს საერთაშორისო ასოციაცია „XXI საუკუნე", ვიცით, რომ მისი ხელმძღვანელი ქართველია, მაგრამ საქართველოში თქვენ არ გიცნობენ.

**— დავიბადე 1948 წელს ბათუმში, სადაც მამაჩემი, — ქართული ეროვნული დივიზიის ოფიცერი — იმ დროს გადიოდა სამხედრო სამსახურს. მამაჩემი, იოსებ კიკალიშვილი, ზუგდიდის რაიონის სოფელ კულიშკარიდანაა. ამჟამად ცხოვრობს გაგრაში. იგი მეორე მსოფლიო ომის დროს ქართულ დივიზიაში იბრძოდა, მიიღო უფროსი ლეიტენანტის წოდება და პროფესიონალი სამხედრო 1949 წელს სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად ჩაირიცხა მოსკოვში მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში, რომლის დასრულების შემდეგ ბათუმში გაანაწილეს. შემდეგ კი — ქუთაისში, სადაც იმ დროს დაბინავებული იყო ქართული ეროვნული დივიზია.**

**1955-56 წლებში ვსწავლობდი ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლაში, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, მთელი ჩვენი ოჯახი გადაგვიყვანეს... ყაზანში.**

— რატომ? ისეთი რა მოხდა თქვენი ოჯახის ცხოვრებაში?

**— 1956 წლის 9 მარტის გამოსვლების შემდეგ ხრუშჩოვის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული დივიზიების, პირველ რიგში, ქართული დივიზიის გაუქმების შესახებ.**

**ასობით ქართველი ოფიცერი ფაქტიურად რეპრესირებული აღმოჩნდა — დიდი ჯგუფი თადარიგში გაუშვეს; ახალგაზრდა ოფიცრები კი სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად შორეულ მხარეებში გადააგზავნეს, მოკლედ, საქართველოს მოაშორეს. ასე აღმოვჩნდი ყაზანში, სადაც ხუთი წელიწადი გავატარე. 1961-1971 წლებში სარატოვში ვცხოვრობდით. მე და ჩემი და ყოველ არდადეგებს საქართველოში, ზუგდიდში ვატარებდით.**

**1971 წელს დავამთავრე სარატოვის იურიდიული ინსტიტუტი. მოვიხადე სამხედრო ვალდებულება; ამასობაში მოსკოვში გადავედით საცხოვრებლად.**

**1972-79 წლებში კომკავშირში ვმუშაობდი. ჩემს დროს კომკავშირს ჯერ კიდევ არ ჭამდა ფორმალიზმის ჭია და, ამდენად, მუშაობა საინტერესო იყო. მოსკოვის საქალაქო სპორტული ღონისძიებების ჩატარება მევალებოდა. სხვათა შორის, ბევრჯერ შევხვედრივარ და დამიბინავებია მოსკოვში ჩამოსული ქართველი ფეხბურთელები, კალათბურთელები, ჩოგბურთელები.,**

— ბატონო ანზორ, ჩემთვის ცნობილია, რომ მეგობრები „დისიდენტ კომკავშირელს" გეძახდნენ...

**— 1979 წელს მოსკოვის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე გამოვედი სიტყვით და მკაცრად გავაკრიტიკე აპარატში დამკვიდრებული წესები. ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკის, კერძოდ, ქალაქკომის პირველი მდივნის მუშაობის სტილი. თათბირის შემდეგ პირველმა მდივანმა ბორცოვმა ექსპრესბარათი გაუგზავნა მეორე მდივანს და ჩემზე მიუთითა: «Немедленно уволить за свободомыслие!» მაგრამ მეორე მდივანი პატიოსანი და პრინციპული ადამიანი აღმოჩნდა და არ შეასრულა „პირველის" მითითება...**

**1980 წლის დასაწყისში მოსკოვის ოლიმპიადის ჩატარების ორგკომიტეტში დავიწყე მუშაობა.**

— ალბათ იმ დროს ლ. ი. ბრეჟნევსაც შეხვდებოდით, ოლიმპიადა ხომ მისი „უზენაესი" მფარველობით ჩატარდა.

**— ოლიმპიადის გახსნის წინ, დაახლოებით ერთი თვით ადრე, ბრეჟნევმა პოლიტბიუროს წევრებთან ერთად დაათვალიერა ოლიმპიური ობიექტები. ერთ-ერთ მომენტში გათვალისწინებული იყო ოლიმპიური დათვის გადაცემა ჩვენი ლიდერისათვის, მაგრამ მოხდა სასწაული, — იმ ორ ახალგაზრდას, ვისაც ევალებოდა პატრიოტული სიტყვების წარმოთქმა, უეცრად ენა ჩაუვარდა.**

**შემდეგ იმ ქალიშვილისა და ვაჟუკისაგან შევიტყვე — ბრეჟნევი რომ ახლოდან დავინახეთ, შოკში ჩავცვივდით, გაყვითლებული, ფერმიხდილი „ჩვენი ლიდერი" ფეხზე ძლივს იდგა, მიცვალებულს ჰგავდაო... ობიექტის მზადყოფნის შესახებ სტუმრებს მე მოვახსენე. ამ პროცედურის დროს გამოცხადდა ჩემი ვინაობა და თანამდებობა. ამ დროს წინა პლანზე გამოჩნდა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც ხუმრობით თქვა — აქაც ქართველები ყოფილან უფროსებიო.**

— ოლიმპიადის შემდეგ სად მოღვაწეობდით?

**— მიუხედავად იმისა, რომ „საპატიო ნიშნით" დამაჯილდოვეს და კარგი სამსახურიც შემომთავაზეს, მაინც ჩემი სპეციალობით მსურდა მუშაობა. 1983-1986 წლებში ვსწავლობდი დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურაში. მოვამზადე და დავიცავი სადისერტაციო თემა. შემომთავაზეს დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურის გამგის ადგილი, დამნიშნეს კიდეც, მაგრამ სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე მინისტრს უკითხავს, როგორ მოხვდა ქართველი ასეთ თანამდებობაზეო. ნათქვამი ხელმძღვანელმა მუშაკებმა ისე გაიგეს, როგორც სურდათ და გამგის თანამდებობიდან გამანთავისუფლეს. მივხვდი, რომ დიპლომატობაზე ოცნება ოცნებად დამრჩებოდა. გადავწყვიტე მოღვაწეობის სფერო შემეცვალა.**

**1988 წელს მე და ჩემმა თანამოაზრეებმა, პირველ რიგში, იოსებ კობზონმა, დავაარსეთ ასოციაცია „XXI საუკუნე". ამჟამად იოსებ კობზონი არის „XXI საუკუნის" ვიცე-პრეზიდენტი.**

— კონკრეტულად რას წარმოადგენს თქვენი ორგანიზაცია?

**— ჩვენს ასოციაციაში შევიდა რამდენიმე დიდი და მცირე ორგანიზაცია — ოფიციალური, არაოფიციალური თუ კოოპერატიული. ასოციაცია მრავალდარგოვანია. კოორდინირებას ვუწევთ საქმიანობას სხვადასხვა სფეროში: სოციალურ-კულტურულში, სპორტში, ჯანდაცვაში, სამშენებლო ინდუსტრიაში, მრეწველობაში, ეკოლოგიაში და ა. შ. რეგისტრაციაში გავატარეთ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები — ჟურნალი „პროფისპორტი", რომლის რედაქტორია ცნობილი ფეხბურთელი და ჟურნალისტი ვიქტორ პონედელნიკი. 1991 წლის იანვრიდან გამოვა გაზეთი „XXI საუკუნე", რომლის რედაქტორად [illegible] პოპულარული ჟურნალისტი [illegible] —**

**ჩვენი ასოციაცია [illegible] ცენტრთან ერთად აფინანსებს და იკვლევს კიბოს და შიდსის პრობლემებს; გვაქვს წარმომადგენლობები ფლორენციაში, ლონდონში, აშშ-ის რამდენიმე ქალაქში.**

— თქვენს გარდა ასოციაციის მმართველობაში თუ არის კიდევ ქართველი? და, საერთოდ, ხომ არ აპირებთ წარმომადგენლობის გახსნას საქართველოში? გაქვთ თუ არა კონტაქტები საქართველოს საქმიან წრეებთან?

**ჩვენს ასოციაციაში არის სოციალური დაცვის ფონდი, რომლის ხელმძღვანელია ოთარ კვანტრიშვილი. ეს იაშინის სახელობის ფონდი ეხმარება ვეტერან სპორტსმენებსა და მათ ოჯახებს.**

**კავშირი გვაქვს საქართველოს საქმიან წრეებთან; კერძოდ, ვთანამშრომლობთ ქუთაისელ სპეციალისტებთან. მომავალში ვაპირებთ სპეციალური იტალიური მაღაზიების გახსნას თბილისში, ქუთაისში... ამ მაღაზიებში ზომიერ ფასებში გაიყიდება იმპორტული საქონელი. დაგეგმილი გვაქვს ერთჯერადი შპრიცების გამოშვება და მათი ერთი ნაწილის გადაცემა საქართველოსათვის. თუ საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოებრიობა წინააღმდეგი არ იქნება, შეგვიძლია შავი ზღვის სანაპიროს კურორტების მოწყობა და იქვე საერთო საწარმოების გახსნა.**

— თვალყურს თუ ადევნებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს?

**— უნდა მოგახსენოთ, რომ საკმაოდ კარგი ოფიციალური და არაოფიციალური ინფორმაცია მაქვს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. გამოწერილი მაქვს ქართული ჟურნალ-გაზეთები, ინფორმაციას ვღებულობ აგრეთვე ახლობლებისაგან. ამას გარდა, წელიწადში რამდენჯერმე ჩავდივარ სამშობლოში და ამდენად თავად ვეცნობი იქაურ სიტუაციას.**

— რამდენადაც ვიცი, „XXI საუკუნეს" მჭიდრო კავშირი აქვს სპორტთან.

**— წელს სიეტლის კეთილი ნების თამაშებზე ვიყავი, მის მომზადებაში ვმონაწილეობდი. ამჟამად ვეხმარები პროფესიონალ მოკრივეთა საკავშირო ასოციაციას, რომლის დაარსების წლისთავი აგვისტოში აღვნიშნეთ. ამ თარიღისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მოვიწვიეთ მსოფლიოს მოკრივეთა საბჭოს პრეზიდენტი ხოსე სულეიმანი (მექსიკა). მან გვითხრა, რომ დიდი სიამოვნებით ჩამოვა საქართველოში და სპეციალისტებს პროფესიული კრივის დანერგვაში დაეხმარება. ალბათ საქართველოს კრივის დამოუკიდებელი ფედერაცია და პირადად მისი ხელმძღვანელი დავით კვაჭაძე წინააღმდეგი არ იქნებიან ასეთი კონტაქტების დამყარებისა. მით უმეტეს საქართველოს წარმომადგენელი შეყვანილია მსოფლიოს მოკრივეთა საბჭოს აღმოსავლეთ ევროპის ბიუროს სრულუფლებიან წევრად...**

**დანარჩენზე კი მაშინ ვისაუბროთ, როცა კონკრეტულ საქმეს წამოვიწყებ. თორემ, ხომ მოგეხსენებათ, მხოლოდ სიტყვით საქმე არ კეთდება.**

ესაუბრა **თენგიზ პაჭკორია**

# გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი




ახლახან თბილისის უნივერსიტეტის საგამომცემლო გრიფით გამოვიდა თენგიზ სანიკიძის, ციალა სანიკიძის, ნოდარ ტაბიძის მიერ შედგენილი „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი" (წიგნი პირველი, ა- გ).

მეოცე საუკუნის დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონის გამოცემა მრავალტომეულადაა ჩაფიქრებული.

როგორც ამ სქელტანიანი წიგნის ავტორები მიუთითებენ, ლექსიკონს ორი ძირითადი დანიშნულება აქვს:

1. მასში აღნუსხულია ყველა სიტყვა, გარკვეული თანამიმდევრობით,

2. დადგენილია ყოველი სიტყვის გამოყენების სიხშირე.

დიდი ეროვნული მწერლები ვერ ეტევიან „მშობლიური კუთხის" ჩარჩოებში, მათი ენა მთელი ეროვნული ენის საგანძურს მოიცავს. ენის სიმდიდრე ერთი მთლიანი კრიტერიუმია მწერლის ტალანტის შეფასებისა.

გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო ენა ამ აზრის ნათელი დადასტურებაა. იგი მართლაც მთელი არსებით, ყოველი ნერვითა და სისხლძარღვით გრძნობს — თავისი უსაზღვრო წიაღით, თავისი მრავალი შენაკადით, თავისი ეროვნული ბუნებით. ამ საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას კიდევ ერთხელ ადასტურებს ეს ლექსიკონიც.

ვუსურვებთ ავტორებს წარმატებით გაეგრძელებინოთ თავისი საქმე. მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა შეიქმნა, ქართული ფილოლოგია მაინც ვალშია ამ მწერლის შემოქმედებასთან. ჩვენ ჯერ არა გვაქვს გალაკტიონ ტაბიძის სრული პორტრეტი, — პორტრეტი დროის მიერ გაწამებული კაცისა, დიდი შემოქმედისა, თავისი ერის დიდი შვილისა.

წიგნის რედაქტორია პროფესორი კორნელი დანელია.

# ერისა და პიროვნების თავისუფლება

—1918-1921 წლების თავისუფალ საქართველოს ჰქონდა შესანიშნავი კონსტიტუცია. მიგაჩნიათ თუ არა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს დასჭირდება ახალი კონსტიტუცია?

— არა. რა თქმა უნდა, რადგან ის კონსტიტუცია იყო სამაგალითო, უმშვენიერესი — თავისი დემოკრატიულობით. ასეთი კონსტიტუცია არ ჰქონია არც საფრანგეთს, არც გერმანიას... (ინტერვიუდან ბ-ნ. აკ. რამიშვილთან, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის თავმჯდომარის ნოე რამიშვილის ვაჟიშვილთან).

ვაშინგტონში, საბჭოთა კავშირის საელჩოში, ამერიკელი ჟურნალისტი ვ. მარტინი ესაუბრა რუსეთის დეპუტატებს: ს. კოვალიოვს, ბ. ზოლოტუხინს, ვ. ლუკინს: — 1922 წლის ხელშეკრულება, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს შეეხება, ძალადაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს, — თქვეს მათ, — არსებული იმპერია დაირღვა, ეს არ იყო კავშირი და მეგობრობა, ის, რასაც მართლა თავისუფალი კავშირი ჰქვია.

მთავარია რესპუბლიკებში ეროვნული თავისუფლება. მთავარია რუსეთის დემოკრატიული ძალების შეკავშირება, ეს ძალები კი ძალიან სუსტია, ფაქტიურად აღარ არსებობს ბალტიისპირეთის რეგიონი სსრკ-სთვის, ფაქტიურად აღარც საქართველო და აზერბაიჯანია ამ კავშირში და მალე მათ მიჰყვება უკრაინა, მოლდოვა... საერთოდ კი ვერ ვხედავ გზას, თუ რით შეიძლება არსებული კრიზისიდან თავის დაღწევა. დასავლეთში ხშირად გვეკითხებიან მოსალოდნელ სამხედრო გადატრიალებაზე — მე ეს არარეალურად მეჩვენება. ჯარშიც ისეთი დაქსაქსულობაა, როგორც საერთოდ. საშიში სხვა რამ არის, — აპათია და აქტიურობის დაქვეითება ხალხში, თითქოს თვლემს რაღაც ფარული ძალა.

სადამ ჰუსეინს ხშირად ადარებენ ჰიტლერს, კერძოდ, პრეზიდენტმა ბუშმა ნიუ ჰემპშირის შტატში განაცხადა: ჰუსეინი ისე მოექცა კუვეიტს, როგორც ჰიტლერი პოლონეთს, ან — ხომ არ ჰგონია, რომ მასზე შეიძლება გავრცელდეს მარკ ტვენის სიტყვები: ცნობები ჩემი გარდაცვალების შესახებ ერთობ გაზვიადებულიაო?

„ვაშინგტონ პოსტი“, დევიდ რემნიკი: ეგორ ლიგაჩოვი ირონიით აფასებს საბჭოეთში შექმნილ ვითარებას. წარსულში № 2 კომუნისტის სტატუსი შეიცვალა. დღეს მას მხოლოდ ავტომანქანა „ვოლგა“ ემსახურება და მხოლოდ მანქანის მძღოლი ახლავს თან. საეჭვოა, რომ იგი ჯანმრთელობის გამო გადადგა. მისი აზრით, კერძო საკუთრებაზე გადასვლა ხალხის ტრაგედიაა. იგი ამბობს: მიხეილ გორბაჩოვი ყოველთვის მეუბნებოდა: ნუ ღელავთ, ეგორ კუზმიჩ! ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ მომსახურებისა და წვრილი კერძო საკუთრების შესახებო. ლიგაჩოვმა დიდი გულისტკივილით გადაიტანა აღმოსავლეთ ევროპის დაკარგვა. ლენინზე ლიგაჩოვი ამბობს: „ლენინი ჩვენია, და ჩვენ ვალდებული ვართ დავიცვათ ლენინი: ჩემთვის ლენინი რჩება წმინდანადო“.

ჟურნალ „ვრემია ი მ.“-ის მთავარი რედაქტორი, ნიუ იორკი:

გარდაქმნის სახე — კოლოსალური შემგუებლობა. გარდაქმნით აპარატმა ერთგვარი შოკი გადაიტანა, აქედან — ლიგაჩოვის პანიკური მოხსენებები. კანონი ემიგრაციაზე დღესაც არ არის. დაგეგმვის კომიტეტი ისევ მოქმედებს და ა. შ. ერთი სიტყვით, ისევ ბატონობს აპარატი. დიდ ბრიტანეთში, ჰაიდ პარკში მოლაყბეები თითქმის ყოველ დღე ამხობენ მონარქიას, პარლამენტს. სსრკ-ში სრულიად სახალხო ლაყბობის (შეპატიეთ ამ გამოთქმისთვის) ნება დართეს, ეს არის და ეს. ახლა გარდაქმნის მხარდამჭერის სამოსში გამოდის ლიგაჩოვი, ნომენკლატურა კი ისევ ლენინის კურსს ატარებს. დაადანაშაულონ, კენჭი უყარონ, — არაფერს დაგიჯერებთ, ეგუება, მთავარია ნომეკლატურამ თავი შეინარჩუნოს; ჯერ მას არაფერი ემუქრება.

რეიტერი: 1921 წლის თებერვალში საქართველოში წითელი ჯარი შეიჭრა. აქ შეძლეს თავისი კულტურისა და ეროვნულობის შენარჩუნება. იზოლაცია გაიზარდა 1989 წლის 9 აპრილის მერე (1921 წლიდანვე ფსიქოლოგიურად საქართველო უკვე იყო იზოლაციაში).

ხშირად კამხთი, ვითომ, არ ღირს? — ქვეყნის ხელისუფლებას უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი, — ასე ამართლებს გენერალი როდიონოვი თავის მოქმედებას თბილისში 1989 წლის 9 აპრილს. მისთვის იმპერიაა ხელისუფლება. მან მშვიდობისმოყვარე თბილისელებს მიუსია ალესილი ბარებით შეიარაღებული ჯარისკაცები. მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ დაირღვა იმპერია, რომ ძალმომრეობაზე იყო აგებული არმია.

ბერნსტაინის გარდაცვალება დიდი დანაკლისია მუსიკალური სამყაროსთვის. ამ სიცარიელეს ვერავინ და ვერაფერი შეცვლის, თქვა ქორეოგრაფმა ჯერომ რობინსმა. უდიდესი მუსიკოსი, ამერიკული მიუზიკლის ამაღორძინებელი, ოპერების, ოპერეტებისა და სამი სიმფონიის ავტორი (ბევრი მეგობარი ურჩევდა, ყველაფრისთვის თავი დაენებებინა და ეწერა სიმფონიები), ცნობილი პიანისტი და დიდი დირიჟორი, შესანიშნავი პედაგოგი, ბერნსტაინი, „უიმედოდ იყო განწირული წარმატებისა და დიდებისათვის“. ბერნსტაინი ავტორია შესანიშნავი წიგნისა — „საიდუმლო, რომელსაც გვანიჭებს მუსიკა“. „ლენი ჯადოქარია“, ამბობდნენ მასზე. ბერნსტაინი ყველაფერს, რასაც კი მოჰკიდებდა ხელს, ბრწყინვალედ აკეთებდა. როცა იგი მალერს ასრულებდა, მალერი იყო... წარმატება მუდამ თან სდევდა, ეს პირველად მაშინ იგრძნო, როცა ბრუნო ვალტერი შეცვალა და დირიჟორობის მერე დარბაზისკენ შეტრიალებულს, ოვაციითა და აღფრთოვანებული შეძახილებით შეხვდნენ. დაიბადა 1918 წელს, ბავშვობაში, როცა ინსტრუმენტი არ ჰქონდათ ოჯახში, ფანჯრის რაფაზე, ვითომ პიანინო იყო — „ვარჯიშობდა“. 16 წლისამ მოისმინა პირველად სიმფონია. ამერიკელი დირიჟორებიდან ბერნსტაინი პირველი იყო, რომელიც ლა სკალაში მიიწვიეს 1963 წელს; შარშან, ბერლინის კედლის აღებისას, ბერნსტაინმა უდირიჟორა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიას. „ვესტსაიდის ისტორიის“ ავტორმა თავისი უკანასკნელი კონცერტი გამართა 19 აგვისტოს.

სსრკ უფსკრულისკენ მიექანება. აღმოსავლეთ ევროპამ დაამხო აპარატი, და ამის მერე იქ — უნგრეთში, პოლონეთსა თუ ჩეხოსლოვაკიაში ნორმალური ბრძოლა მიმდინარეობს ახალ პარტიებს შორის. ეს გამოცდილება ალბათ გასაზიარებელია საქართველოსთვის, სადაც არჩეულია ეროვნული კონგრესი და სადაც მოეწყო პირველი მრავალპარტიული არჩევნები პარლამენტის შესაქმნელად. პარტიების დაქსაქსულობა მხოლოდ საერთო მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

— ჩვენი დევიზია — ერისა და პიროვნების თავისუფლება, და ამასთან დაკავშირებით, ძვირფასო თანამემამულენო, გვაგონდება დიდი ილიას სიტყვები: „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდასაუბედუროდ, ივიწყებს თავის ისტორიას“... და ჩვენი სასიქადულო პოეტის, ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „უპირველეს ყოვლისა, სული უნდა გრძნობდეს ბედნიერებას. იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა იყოს თავისუფალი; მონობა სიკვდილია. თავისუფლება — სიცოცხლე და ბედნიერება, და ამიტომ არის ჩვენი დევიზი: ერისა და პიროვნების თავისუფლება.

„თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ რადიოგადაცემებიდან

## პოეზია

ამ ლექსების ავტორი, ბაბალე გაბური, ხევსურეთში, სოფელ ჭიმღაში დაიბადა. ამჟამად ცხოვრობს გამარჯვებაში (სამგორი). იგი უმცროსი ქალიშვილია ცნობილი მელექსის, ბესარიონ გაბურისა, რომლის ლექსები აკაკი შანიძემ ცნობილ კრებულში „ქართული ხალხური პოეზია, I ხევსურული, 1931 წელი“, გამოაქვეყნა.

ბაბალე სახელოვანი მამის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. ბაბალეს ცალკე რვეულში, გარდა საკუთარი ლექსებისა, შეგროვებული აქვს ხალხური ლექსებიც. მან ბევრი ლექსი იცის ზეპირად.

ბაბალეს სრული რეპერტუარი და მის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსები, დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში. ჩვენ ზოგიერთი ლექსი ამოვარჩიეთ.

აპოლონ ცანავა

# „ბაბალემ თქვა...“

### ბაბალემ თქვა...

დროთა ხვლა ვერ დამაცილებს,
მე ამა მწუხარებასა...
წინდასა ქარგავს ბაბალე,
იგონებს თავის დედასა,
მიდიან დღენი ქარიშხლით
არა ლგვან გადარებასა,
ქარი უმრავლებს წყლულებსა,
გულდარდიანსა, ბეჩავსა.
ბაბალემ თქვა: დარდები
გულში ზარივით რეკავსა,
ქარიშხლიანი დღეები
როგორ ძალლივით ყეფავსა,
ხამხში[1] ნაწერო, შაირო,
ჩალბარდი გამარჯვებასა,[2]
ამაშინ გაგიხსენიებ,
რახან მივეცა შვებასა...
არც ისე ბეჩავები ორთ,
მტერი ვერ შემოგვბედავსა.
სიცოცხლე გვქონდახ არ
მოვკვდათ,
ბევრს ვლნახავთ გაჭირვებასა,
ხაცა გხურთ, საჩემიანოხ
იქ გიძლვნით გამარჯვებასა.

### მე შორს მეგონა სიბერე

მზე გადიხარა საწუხროდ,
გორის პირს მიეფარაო,
გახსენა ხევსურიშვილმა,
გული თან გაატანაო,
ჩუმად თქვა: — ამა ქვეყნიდან,
ნეტავ, მეც წამიყვანაო.
პირთა ჩივილით ვნუგეშობ —
სოფელო ლაზლანდარაო,
მე შორს მეგონა სიბერე,
თურმე ახლოას მდგარაო.
ამ სიტყვებს აზრი გაუგი,
შენც გეუბნები, ქალაო,
შენთვის ვშიშობდი, შენ თავი
ახლა რამ შამაყვარაო,
გითხრა ჩემსავით მუდარა,
თორმეტმა კიდე სხვამაო,
ცხრა გზა ჩაგიჭრა ხავალი,
ცხრა ქოხი დაგიშალაო,
ახლა ველთ დახოლ, დარალა[3]
ქარზე სუბუქად ხქანაო.
შენ შემდეგ კიდევ სხვა მოვა,
ათასი შენისთანაო,
შენზე ლამაზი, ყელთეთრი,
თმა შავი, თვალმაყვალაო,
ახე ყოფილა ცხოვრება,
მიდის და მივზდევთ თანაო.

●

უკაცური და ჩაგრული
სრუამც ნუ გაჩინდებისა,
ყველაის გამარტოილი,
მუდამ მგმობელი ბედისა,
ის ყველგან დაწყევლილია,
არვისთან გალხინდებისა,
შხამით მოწამლულ გულზედა
ვარდი არ აყვავდებისა.

●

ჩვენ მთაზე წმიდა დარია,
თქვენ მთას კი ფარავს ნისლები,
არხვატელ ქალო, ლამაზო,
შენკე მიტაცებს ფიქრები,
ჩემთვის მოსულო ყვავილო,
უხედავ ხელიდან მიქრები.

### გრძელი ხარ, ცხოვრების გზაო!

გრძელი ხარ, ცხოვრების გზაო!
დავბერდი, აღარ სთავდები.
ოცნების თეთრო ყოილო,
ვხედავ თანდათან შავდები.
რამდენიც დრონი მიმდიან,
დარდო, იმდენად ხვავდები...

●

ნეტავინ გულში ნადები,
თვალითამც ინახებოდეს,
ჩვენი ერთგული, ორგული,
ყველაიმც გაიგებოდეს.

●

შენ ერთადერთო, ყვავილო,
ტურფავ, კახეთის ველადა,
არ მეთქვას შენზე აუგი,
საგონებელი ძნელადა.
არც დედაი მყავ, არც მამა,
გადმოხდეს სატირლადა,
მარტო შენ მეიმედები,
შენ მეგულები ჩემადა.

●

თუ არ ასრულდი, ოცნებავ,
ჩალად არ დავღირდებია...
გულს მიკლავ ვარდის ყოილო,
წითლად რო გაიშლებია.

---

1 სოფელია ქისტეთში
2 სოფელია სამგორში
3 დალალები




„მერანმა“ გამოსცა ალექსი დავითიძის მოთხრობების წიგნი „თოვლის ქოხი“ (რედაქტორი მილიცა ჯაფარიძე, მხატვარი ნანა გერასიმოვა).

# სჯობს გვიან...

ავტორის სახელი ბევრს ვერაფერს ეტყვის მკითხველს. საგანგებო გულისყურითა და მეხსიერებით გამორჩეული კაცი თუ გაიხსენებს, რომ სამი წლის წინათ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ზედიზედ გამოქვეყნდა ალექსი დავითიძის ორი მოთხრობა. ეს იყო და ეს.

„პროფესია — მწერალი“ ერთობ პირობითი ცნებაა და ამ პირობითობის გათვალისწინებით მინდა მოვახსენო მკითხველს, რომ „თოვლის ქოხის“ ავტორი პროფესიით გეოლოგი გახლავთ, მაგრამ ოჯახური ატმოსფეროს წყალობით ადრიდანვე გაიტაცა ლიტერატურამ. ამგვარ გატაცებას კი, არცთუ იშვიათად, წერით გატაცებაც მოჰყვება ხოლმე. გამოცემულ წიგნში შეტანილი მოთხრობები, მეტწილად თხუთმეტ-ოცი წლის წინათ არის შექმნილი. მეც იმ დროიდან ვიცნობ ავტორსაც და მის ნაწერებსაც. სწორედ იმ ხიბლმა, რომელიც ახლდა ჩემთვის საკმაოდ ახალსა და ორიგინალურ პროზასთან შეხვედრას, ჩამინერგა წადილი, რომ ეს მოთხრობები გამოსულიყო მკითხველთა სამსჯავროზე. ავტორი კარგა ხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ნავსი გატყდა, წიგნი დაიბეჭდა. დაე, ახლა მკითხველმა განსაჯოს მისი ავ-კარგი.

ფაქტიურად უცნობ ავტორს მცირეოდენი წარდგენა მაინც სჭირდება მკითხველის წინაშე. თავს არ შეგაწყენთ და სანიმუშოდ ერთ მოთხრობას მოვიხმობ. იგი, რასაკვირველია, მხოლოდ თავის სათქმელს ამბობს და სრულიადაც არ მოიცავს დანარჩენთა მრავალფეროვან სამყაროს, მაგრამ რატომღაც მეჩვენება, რომ აირეკლავს ჩვენი ცხოვრების უდიდესი სატკივარი.

მოთხრობას ჰქვია „ატილა“ — სახელი პერსონაჟისა (როგორც მერე ირკვევა — ალუზია საპირისპირო ელფერით!). მთხრობელის აწინდელ მოქმედებას და ფიქრის ნაკუწებს ენაცვლება უწინდელი დიალოგები, რომლებიც თითქოს არ ელტვიან საბედისწერო ფინალს, მაგრამ ხელახლა თუ გადაიკითხავ, მღვრიე წყალი დაიწმინდება და წყალქვეშა ქვეწი რელიეფურად გამოიკვეთება. ატილა ენის ბორძიკით ელაპარაკება ქუჩაში შეხვედრილ თანაკლასელს. სიტყვის მახალად მოტანილი: „სად მოღვაწეობ“? და გულისტკივილით ალვსილი პასუხი: „ესეც თუ მმ... მოღვაწეობაა!“ (ფოსტალიონის ჩანთა ფილაქანზე დააგდო და დაიმანჭა. რაღაც ხომ უნდა აკეთოს!) მკაცრი და ლაკონიური შტრიხებით აღწერილია სასაფლაო. ზოგჯერ ფიქრობ, რომ მათემატიკას ტანზე მოურგია მწერლობის მოსასხამი. „გა...გავაწამე“, — ამბობს ატილა. დაუპატიჟებელ სტუმრად შეიგრძნობს თავს სიცოცხლის დღესასწაულზე. ორიოდე აბზაცის შემდეგ ამაზრზენი გულახდილობით ნათქვამი ბოლო სიტყვები უეცრად შემოჭრილი მონოლოგისა: „მაგას რომ ვაჟკაცობის ნატამალი გააჩნდეს, აქამდე მონახავდა გამოსავალს, თვითონაც მოისვენებდა და მეც გამათავისუფლებდა ამ საძაგლობისაგან“... ჰქონია ატილას ვაჟკაცობა! მთხრობელი ყველაზე სიტყვაძუნწია, თუმცა ყველაზე მეტი აქვს სათქმელი და ატილას საფლავისკენ მიმავალს ჩაესმის ზეციდან დაქუხებული ჭეშმარიტება: რომელი ჰქადაგებ არა პარვასა, იპარავ... რომელი იტყვი არა მრუშობასა, იმრუშებ!

ტრივიალურ სამკუთხედს საოცრად გარდაქმნის თხრობის თავშეკავებული სტილი, ნახევარტონებითა და მკრთალი ფერებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა, დაწურულ ფრაზებში ჩატეული დრამა ცხოვრებისა, სადაც უდანაშაულოდ დასჯილნი მისდევენ ჩვეულ დინებას. მოთხრობა მხოლოდ ერთ, კონკრეტულ ამბავს როდი ასახავს, იგი გასცდება თავის ჩარჩოებს და სხვა პრობლემებსაც ეხმიანება. „ატილას“ ევლინება მეოთხე პერსონაჟი, რომელსაც ჰქვია პიროვნული ღირსების შელახვა, ადამიანის დამცირება და ფეხქვეშ გათელვა — ყველაზე ნიშანდობლივი და ყველაზე მწარე ატრიბუტი ჩვენი სნეული ეპოქისა.

ალექსი დავითიძის მოთხრობებს ახასიათებს მოულოდნელი ასოციაციები, მოვლენისა და გარემოს გადმოცემა უაღრესად ზუსტი დეტალებით, ზოგჯერ — ნატურალიზმამდე მისული რეალიზმი და ზოგჯერაც — პოეტური ხედვა თანამედროვე ქალაქისა თუ ადამიანებისა. ალაგ-ალაგ გამოკრთება ხოლმე ირონია პერსონაჟთა მიმართ, ხან გულთბილი, ხანაც ინდიფერენტული. ყოფაცხოვრებითი კმაყოფილებით დამუხტული დიალოგების ფონზე — მიჩუმათებული შეძრწუნება უიღბლო ინდივიდის ხვედრით, მკითხველისგან დაძაბულ ფიქრსა და მიხვედრის უნარს რომ მოითხოვს. სხვადასხვა თვალით აღქმული პიროვნება — ცა და მიწა შეფასებათა კალეიდოსკოპში. ადამიანის უჩვეულო გაუცხოება და ნუგეშის ძიება კატის კნუტად გადაქცევის ილუზიაში...

დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველი ინტერესით გაეცნობა ალექსი დავითიძის მოთხრობებს და, ვგონებ, საკუთარ ნაფიქრალ-ნააზრევს ავტორის მიერ წარმოსახული სამყაროც გაუმდიდრებს, — ესოდენ ნაცნობი და, ამავე დროს, პირველმხილველის თვალით აღმოჩენილი ულმობელი სინამდვილე.

თამაზ ნატროშვილი

# საგუბერნატორო არჩევნები

მარკ ტვენი

ამ რამდენიმე ხნის წინათ საგუბერნატორო არჩევნებზე ნიუ-იორკის შტატის კანდიდატად დამასახელეს. ჩემი მეტოქეები იყვნენ ბ-ნი სტიუარტ ლ. ვუდფორდი და ბ-ნი ჯონ ტ. ჰოფმანი. გამოგიტყდებით, გული საგულეს მქონდა, რადგანაც ვგრძნობდი ხსენებულ პირებზე ერთ დიდ უპირატესობას — კარგ რეპუტაციას. გაზეთებში ჩახედული კაცი ადვილად შენიშნავდა, თუ რა სახელგატეხილ ხალხთან მქონდა საქმე. ახე გასინჯეთ, არ დარჩენილა ქვეყნად არცერთი საზარელი და სამარცხვინო ბოროტმოქმედება, რომელშიაც არ ყოფილიყვნენ ხელგარეულნი ჩემი იმჟამინდელი მეტოქეები. ყოველივე ამისდა მიუხედავად ერთი გარემოება ჩრდილავდა მაინც ჩემი შვებისა და ფარული სიამაყის ნათელ ზეიმს. ეს გახლდათ აუცილებლობა ჩემი შეუბღალავი სახელის დაკავშირებისა ამგვარი ხალხის სახელებთან. დღისით თუ ღამით არ მასვენებდა ამაზე ფიქრი. ბოლოს წერილით გავუზიარე ჩემი მწუხარება საყვარელ ბებიას. არ დაიგვიანა მისმა პასუხმაც: „შენ არასოდეს ჩაგიდენია შენს ცხოვრებაში სამარცხვინო რამ. გადაათვალიერე გაზეთები. მაშინ დაინახავ, რა ვაჟბატონებიც ბრძანდებიან ბ-ნები ვუდფორდი და ჰოფმანი, შემდეგ კი დაუფიქრდი, ძალგიძს თუ არა შენ დასვლა მათ დონემდე და სახალხო არჩევნებში მათთან ერთად მონაწილეობის მიღება".

რა ზუსტად დაემთხვა ბებიას აზრი ჩემსას! ის ღამე თეთრად გადავთენე. ვფიქრობდი, ვფიქრობდი, ვფიქრობდი... არა, ნამდვილად შეუძლებელი იყო უკან დახევა...

დილაადრიან, საუზმობისას, გაზეთებს ვათვალიერებდი და უეცრად წავაწყდი ასეთ პარაგრაფს:

„ცრუფიცი. შესაძლოა ბ-ნი მარკ ტვენი გუბერნატორობის კანდიდატადაც ევლინებოდეს ამჟამად ამომრჩევლებს, მაგრამ მაინც კეთილი ინებოს და მოგვახსენოს, თუ როგორ დაუმტკიცდა მას ცრუ ფიცი 1868 წელს ქალაქ ვაკვაკში (კოჩინ-ჩინა) 34 მოწმის თანდასწრებით. განგვიმარტოს აგრეთვე, რად მიმართა მან ცრუ ფიცს ერთი ადგილობრივი უმწეო ქვრივისათვის ბანანის პატარა პლანტაციის წასართმევად, პლანტაციისა, რომელიც ერთადერთ საარსებო საშუალებას წარმოადგენდა უმამაკაცოდ დარჩენილი, გაპარტახებული ოჯახისათვის! გრძნობს რა პასუხისმგებლობას საკუთარი თავისა და ამომრჩევლების წინაშე, ბ-ნი ტვენი, იმედია საბოლოოდ განგვიმარტავს თავის ამგვარ საქციელს. ჩვენ ყველანი მოუთმენლად მოველით პასუხს!"

გაოცებისგან ლამის იყო ჰერს ავარტყი თავი! ასეთი საზარელი, უგულო ბრალდება. თვალითაც არ მენახა კოჩინ-ჩინა ჩემს სიცოცხლეში! არც კი გამეგო ქალაქ ვაკვაკის სახსენებელი! კაცი კენგურუს ბანანისაგან ძლივს ვარჩევდი და თურმე, ნუ იტყვით, ბანანის პლანტაცია წამირთმევია ქვრივისათვის. აღარ ვიცოდი რა მექნა. მთლიანად დავკარგე განსჯისა და მოქმედების უნარი, მთელმა დღემ ისე ჩაიარა, ვერაფერი ვილონე, ვერც ვერავის შევეხმიანე. მეორე დღეს იმავე გაზეთში ამოვიკითხე ლაკონური შენიშვნა:

„მნიშვნელოვანი ფაქტი. ბ-ნი მარკ ტვენი, ჩვენი მოლოდინისამებრ, არას ამბობს ინდოჩინეთში მის მიერ ჩადენილი დანაშაულის, ცრუ ფიცის შესახებ. დუმილი მრავლისმომასწავებელია".

(სხვათაშორის მთელი შემოდგომა, საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, ეს გაზეთი სხვას არას მიწოდებდა, გარდა „ფიცის გამტეხი მლღეტელის, მარკ ტვენისა".)

მეორე დღეს „გაზეტ"-ში წავაწყდი ასეთ ამბავს:

„ხაინტერესოა. იქნებ ახლადგამომცხვარმა კანდიდატმა კეთილი ინებოს და განგვიმარტოს ჩვენ, მის თანამოქალაქეებს (ვინც იძულებულნი ვართ ხმა ვაძლიოთ მსგავს კანდიდატებს), თუ როგორ ჰკარგავდნენ მონტანაში დროდადრო მისი ბანაკის ამხანაგები ძვირფას ნივთებს, საათებს, ბეჭდებს და სხვა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ყველა დაკარგული ნივთი ბ-ნი მარკ ტვენის ჯიბეებსა და „საგზაო სკივრში" (გაზეთის ქაღალდში, რომელშიაც იგი ახვევდა ნივთებს) არ აღმოაჩინეს? იქნებ მოგვითხროს კანდიდატმა, როგორ შესვარეს იგი კუპრით, შეაყარეს ბუმბული და ჰოკზე შესმული გაატარეს რკინიგზის სადგურამდე, შემდეგ დაარიგეს მეგობრულად და ურჩიეს პერმანენტული ვაკუუმის შექმნა ბანაკში მისთვის განკუთვნილ ადგილზე. იქნებ დაგვეხმაროს იგი ამ საქმის გარკვევაში?"

ღმერთო ჩემო! ასეთი საძაგელი, სახელდახელოდ შეთითხნილი ჭორი! ჩემს სიცოცხლეში გავლითაც კი არ ვყოფილვარ მონტანაში.

(იმ დღის შემდეგ იმ გაზეთმა „მონტანელი ჯიბგირი" შემარქვა).

გაზეთების თვალიერებისას უცნაური შიში დამჩემდა. ისეთი სიფრთხილით ვიღებდი ხელში ყოველ მათგანს, თითქოს ორადლიანი ასპიტი ყოფილიყო შიგ გახვეული. ერთ მშვენიერ დღესაც ასეთი რამ მეცა თვალში:

„ტყუილს მოკლე ფეხი აქვს! ნაფიცი მოწმეების ესკვაირ მაიკლ ო ფლენეგენის, ვატერსტრიტზე მცხოვრებ ბ-ნ კიტ ბერნსისა და ბ-ნ ჯონ ოლენის ჩვენებებით დამტკიცდა, რომ მარკ ტვენის განცხადება იმის შესახებ, თითქოს ჩვენი გამარჯვებათა ორგანიზატორის, ჯონ ტ. ჰოფმანის პაპა სიკვდილით დაესაჯოთ მძარცველობისთვის, გახლავთ ყოველგვარ საფუძველსა და გამართლებას მოკლებული, უსირცხვილო ტყუილი. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთები პოლიტიკური წარმატების მისაღწევად საფლავშიაც აღარ აყენებენ მიცვალებულებს და ცდილობენ მათი ნათელი ხსოვნის შებღალვას ცილისწამებით. ჩვენთვის გასაგებია ჰირისუფალთა გულწრფელი აღშფოთება ამ უმაგალითო სიმხეცით გამოწვეული, მაშინ, როდესაც ჩვენ, გარეშე პირებმა ლამისაა მოვუწოდოთ ამ სიცრუით შეურაცხყოფილ ხალხს წუთით შეაჯამოს ბოროტმოქმედის ბილწ საქმიანობათა სავალალო შედეგები და საბოლოოდ აღმართოს მასზე შურისძიების მრისხანე მუშტი! მაგრამ არა, მოქალაქენო! მივანებოთ დამნაშავე საკუთარი შებილწული სინდისის ქენჯნას! მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ: იმ შემთხვევაში, თუ კი ხალხის ბრმა, მაგრამ სამართლიანი აღშფოთება მიაღწევს იმ ზომამდე, რომ დამნაშავეს ფიზიკურად დაასჯიან, ვერავითარი სასამართლო და ვერც სხვა რომელიმე სახელმწიფო ორგანო ვერ მოჰკიდებს ხელს ესოდენ სამართლიანი საქმის ჩამდენს".

ამ უკანასკნელმა მოხდენილმა ფრაზამ იქონია შემდეგი ეფექტი: „სამართლიანად აღშფოთებულმა ხალხმა" შემოამტვრია ჩემი ბინის კარი (მე დროულად გავიპარე უკანა კარიდან), ქვა-ქვაზე აღარ დატოვა ჩემს კაბინეტში, დაამსხვრია კარ-ფანჯრები და ავეჯი და წასვლისას თან გაიყოლა ზოგიერთი პორტატიული საოჯახო ნივთიც. მიუხედავად ამისა, თამამად შემიძლია საღვთო წიგნზე ხელდადებით შემოგფიცო, ძვირფასო მკითხველო, რომ არასოდეს მიცდია გუბერნატორი ჰოფმანის პაპის შეურაცხყოფა, უფრო მეტიც, არც გამიგია ქვეყანაზე მისი სახსენებელი.

(ზემოხსენებულმა გაზეთმა იმ დღიდან შემარქვა მკვდრის საფლავიდან ამომღები ტვენი".)

შემდგომ ამისა კიდევ ერთმა გაზეთმა მიიქცია ჩემი ყურადღება შემდეგი სტატიით:

„სამაგალითო კანდიდატი. ბ-ნ მარკ ტვენს წარსული ღამით დავალებული ჰქონდა დამოუკიდებელთა პარტიის მასობრივ მიტინგზე სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ იგი არ გამოცხადდა დანიშნულ ადგილას. მისმა ექიმმა ტელეგრამით გვაუწყა, რომ ჩვენს კანდიდატს ფეხი მოსტეხა გზადმიმავალმა ეტლმა, რომ იგი ამჟამად მწოლიარეა, რომ მოტეხილობა მეტად სერიოზულ ხასიათს ღებულობს და სხვა.

ამგვარად ცდილობენ დამოუკიდებელნი ჩვენთვის თვალის ახვევას. ჩვენ დავუსვით მათ კატეგორიული მოთხოვნა: „განგვიმარტეთ ნამდვილი მიზეზი თქვენი ლიდერისა და სულისჩამდგმელის, მარკ ტვენის, მიტინგზე არგამოცხადებისა! ამავე დროს, წარსული ღამით, სანდო პირების ჩვენებით, დაუდგენელი პირი მძაფრი ალკოჰოლური ინტოქსიკაციის მდგომარეობაში შებარბაცდა ბ-ნ მარკ ტვენის ოტელში. დამოუკიდებელნი ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ იმის დასამტკიცებლად, თითქოს ეს არყით გალეშილი, საზიარეული არამზადა არ ყოფილიყოს თავად მარკ ტვენი, მაგრამ ახლა ვეღარსად წაგვივლენ, ვეღარ დაიძვრენენ თავს სიცრუითა და თვალთმაქცობით! ხალხის მქუხარე ხმა ითხოვს პასუხს: ვინ იყო ის კაცი?"

წუთით ეჭვიც კი შემეპარა: ნუთუ მართლა ჩემს გვარს და სახელს უკავშირებენ ამდენ საშინელ ბრალდებას? აგერ სამი წელი სრულდება, რაც ელს, ღვინოსა და ლუდს არ გავკარებივარ, ესენი კი რას ჩმახავენ-მეთქი.

(წარმოიდგინეთ, ისე გამომაწრთო ამ დაუსრულებელმა ლანძღვა-გინებამ, არც გამკვირვებია, როდესაც გაზეთის შემდეგ ნომერში ვიხილე ჩემი ახალი ტიტული: „ბ-ნი თეთრი ცხელება". ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ გაზეთი მონოტონურის თანმიმდევრობით წამომძახებდა მუდამ ამ ტიტულს კამპანიის ბოლომდე.)

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ჩემი საფოსტო ნობათის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ანონიმური წერილები მსგავსი ამგვარი შინაარსისა:

„გახსოვთ თუ არა თქვენ, როგორ გააძევეთ სახლიდან თქვენთან საკუთარის მოსული მოხუცი ქალი?"

ან კიდევ:

„თქვენს მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის ზოგიერთი მარტოოდენ ჩემთვისაა ცნობილი, თქვენივე ინტერესებისათვის გირჩევთ, გაიმეტოთ ამდენი და ამდენი დოლარი, სანამ გაზეთში არ გამოუჰენებიხართ. ჰენდი ენდი".

ეს მხოლოდ ცნობისათვის, ვშიშობ მკითხველს არ შევაწყინო თავი, ამადაც აღარ ჩამოვთვლი დანარჩენებს.

მოკლედ მოგახსენებთ: რესპუბლიკანელთა წამყვანმა გაზეთმა „დამიმტკიცა" დიდი მასშტაბის მექრთამეობა, ხოლო დემოკრატთა ერთ-ერთმა უდიდესმა გაზეთმა „გამოამზეურა" ჩემს მიერ ჩადენილი მძიმე შანტაჟის საქმეები და სხვა.

ამრიგად, მომაკერეს კიდევ ორი ტიტული: „ნამუსგარეცხილი მექრთამე ტვენი" და „თავზეხელაღებული ყალბისმქნელი ტვენი".

ამასობაში იმდენად გაძლიერდა ჩემი „პასუხის" გამო ატეხილი აურზაური, რომ პარტიის ლიდერებმა და გამომცემლებმა კატეგორიულად მომთხოვეს ხმის ამოღება, პოლიტიკური ბანკროტის თავიდან ასაცილებლად, ერთ-ერთმა გაზეთმა მოათავსა ასეთი წერილი:

„შეხედეთ ამ კაცს! — დამოუკიდებელთა კანდიდატი დაჟინებით დუმს, დუმს, რადგანაც ვეღარ ბედავს თავის მართლებას. საბოლოოდ დამტკიცდა მისთვის წაყენებული ყველა ბრალდების სისწორე. დამტკიცდა ნაწილობრივ მისი მრავლისმეტყველი დუმილითაც. ერთი სიტყვით, იგი ამჟამად წარსდგა ამომრჩეველთა წინაშე, როგორც ერთხელ და სამუდამოდ გამომზეურებული ბოროტმოქმედი. ესეც თქვენი კანდიდატი, დამოუკიდებელნო! გაიძვერა ფიცის გამტეხი! მონტანელი ჯიბგირი! მკვდრის საფლავიდან ამომღები! მთვრალი თეთრი ცხელება! ნამუსგარეცხილი მექრთამე! თავზე ხელაღებული ყალბისმქნელი! მოქალაქენო! დაუკვირდით მას, გაიაზრეთ კარგად მისი ვინაობა და შემდეგ გვითხარით: შეგიძლიათ თუ არა თქვენი კეთილშობილი ხმების მიცემა პიროვნებისათვის, რომელმაც დაიმსახურა ეგზომ სავალალო ტიტულები თავის ბილწ და გაუგონარ დანაშაულთა შესაბამისად! პიროვნებისათვის, რომელიც ვერც კი ბედავს ხმის ამოღებას რომელიმე მათგანის უარსაყოფად!"

სხვა გზა არ იყო და მეც დავმორჩილდი ჩემს მეგობრებსა და კეთილისმსურველებს და დავჯექი წერად ყბადაღებული „პასუხისა", რათა გამებათილებინა ჩემი მტრების მიერ შეთითხნილი ყველა სიყალბე და ცილისწამება. მაგრამ „პასუხი" ჯერაც არ მქონდა დასრულებული, დილაადრიან მივიღე ახალი სიბილწის, ახალი ზარის შემცველი გაზეთი, რომელიც სერიოზულად მდებდა ბრალს ჩემი სახლის პირდაპირ მდებარე საგიჟეთის აფეთქებაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შენობა ხედს აფუჭებდა ჩემი ოთახის ფანჯრიდან. პანიკურმა შიშმა მომიცვა. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ამას მოჰყვა ახალი ბრალდება: თითქოს მე საკუთარი ბიძა მომეწამლოს მისი ქონების მიტაცების მიზნით. გაზეთი კატეგორიულად მოითხოვდა საფლავის გახსნას და მიცვალებულის საექსპერტოდ ამოღებას. კიდევ ერთი ფინალური ბრალდება კი ამგვარი გახლდათ: თურმე ობოლთა თავშესაფრის დირექტორად მუშაობისას მე ვეწეოდი ჩემი მისხრწნილებაში გადამდგარი, უკბილო და უღონო ნათესავების ექსპლოატაციას, ვაკერინებდი მათ ტანისამოსს, ვამზადებინებდი ობლებისთვის კერძებს და სხვა. მე მაინც ველოდი კიდევ რაღაცას (არ კი ვიცოდი რას) და ბოლოს, როგორც მოსალოდნელი და ლოგიკური კულმინაცია მთელი იმ სამარცხვინო დევნისა და შევიწროებისა, რომელსაც ჩემი გაცოფებული პარტიული მტრები აწარმოებდნენ ჩემს წინააღმდეგ, მოხდა ასეთი რამ: მიტინგზე, სადაც მე თავის გასამართლებელ სიტყვას ვამბობდი, უეცრად შემოცვივდნენ წინასწარ დარიგებული სხვადასხვა ფერის კანიანი, ძონძებში გახვეული ბავშვები, ფეხებზე შემომეხვივნენ ტრიბუნაზე მდგარს და დამიწყეს „მამიკო", „მამიკოს" ძახილი.

მაშინ კი საბოლოოდ დავყარე ფარ-ხმალი და ჩავბარდი მტერს. და რაკი მე არ აღმომაჩნდა ის თვისებანი, რომელნიც თურმე ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორს მოეთხოვება, გადავწყვიტე უარის თქმა ჩემს კანდიდატურაზე, ხოლო ჩემს წერილს, რომელიც შეიცავდა თხოვნას ჩემი კანდიდატურის მოხსნისას, ამგვარად მოვაწერე ხელი გამწარებულმა:

„მარადის თქვენი ერთგული, ერთ დროს წესიერი კაცი და ამჟამად გ. ფ., მ. ჯ., მ. ს. ა., თ. ც., ნ. მ., თ. უ., მარკ ტვენი".

ინგლისურიდან თარგმნა
ზვიად გამსახურდიამ

# ალმანახ „რიწას" საკუთარი სტამბა

მას შემდეგ, რაც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მიმდინარე წლის 18 მაისის ნომერში დასტამბული გურამ ოდიშარიას წერილი — „ალმანახი „რიწა" და მოჯადოებული წრე" — წავიკითხე, მოსვენება დავკარგე. ის, რასაც ბატონი გურამი აღწერს თავის წერილში, ძნელი დასაჯერებელი და ძნელი აღსაქმელია ჩემთვის, თბილისში მცხოვრები ქართველი კაცისთვის. აქ, ჩვენთან, თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, მოგეხსენებათ, ქართველებს გარდა ცხოვრობენ ებრაელები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ქურთები... საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში, სადაც ძირითადად ქართველები მუშაობენ, ქართველური თავის დროზე, გრაფიკის მიხედვით, აკურატულად ბეჭდავენ არაქართველების გაზეთებს: რუსულ „ზარია ვოსტოკას", „მოლოდიოჟ გრუზიის", სომხურ — „სოვეტაკან ვრასტანს (იბეჭდება, აგრეთვე, სომხური ალმანახიც — „ხიდი"), აზერბაიჯანულ „სოვეტ გიურჯისტანს" და ჰკითხეთ რუსული, სომხური, აზერბაიჯანული ორგანოების რედაქციების მუშაკებს, ვეპყრობით თუ არა მათ კოლეგიალურად, სიყვარულით, და სტამბაში როდისმე, თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ქართველების მიზეზით (ვიმეორებ: ქართველების მიზეზით!) რაიმე სამუშაოს შესრულება დაგვიანებიათ და გაზეთი თუ ალმანახი დროზე არ გამოსულა?

ბატონ გურამ ოდიშარიას წერილით კი რა გავიგე: საქართველოს ერთ-ერთ ქართულ კუთხეში, აფხაზეთში, აფხაზეთის ასსრ დედაქალაქ სოხუმის სტამბაში (სადაც, თურმე, დიდ პოსტებზე აფსუები მუშაობენ) ჯვარზე ჰყოლიათ გაკრული აფხაზეთში მომუშავე ქართველი მწერლების ლიტერატურული ორგანოს, ალმანახ „რიწის" რედაქციის თანამშრომლები. სოხუმის ლენინის სახელობის სტამბის (გენერალური დირექტორი — რ. არგუნი) დირექცია და რიგი თანამშრომლებისა, არასაპატიო მიზეზით, კვარტლობით და წლობით აგვიანებენ ქართველი მწერლების ამ ერთადერთი ლიტერატურული ორგანოს გამოშვებას. ეს რედაქციისა და მისი მუშაკების აბუჩად აგდებაა! ახლა მივხვდი, მე, თბილისში მცხოვრები „რიწაზე" ხელმომწერი, რატომ ვერ ვღებულობ ამ ალმანახის ნომრებს. აშკარაა, რომ აფხაზეთში მცხოვრები და მოღვაწე ქართველი მწერლების მიმართ ამ დანაშაულებრივ ქმედებას წინასწარი, მავნე განზრახვით სჩადიან.

ფაქტია, რომ ბატონ გურამ ოდიშარიას მიერ დახატული ვითარების მოთმენა არ შეიძლება. ჩვენი ღრმა რწმენით, მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთი გზა არსებობს, არც მეტი და არც ნაკლები, აფხაზეთში მცხოვრებ და მოღვაწე ქართველ მწერლებს და მათი ალმანახის — „რიწის" რედაქციას უნდა ავუშენოთ სტამბა, სადაცააწყობენ და დაბეჭდავენ ალმანახ „რიწას". ალმანახის აწყობის, ბეჭდვისა და აკინძვისაგან თავისუფალ დროს სტამბა თვითმიზნურად გამოიყენებს.

სასტამბო შენობის ასაგებად, სასტამბო მოწყობილობის შესაძენად, ბუნებრივია, საჭირო იქნება ფული, რომლის შესაგროვებლად უნდა შევქმნათ ფულადი ფონდი სახელწოდებით: „ალმანახ „რიწას" სტამბის ასაგები ფონდი". და ანგარიში გაიხსნას საქართველოს რომელიმე ბანკში. ამ ანგარიშის ნომერზე შევიტანოთ ფული, ვისაც რამდენი შეგვიძლია: იმედია, ქართველები ერთსულოვნებას გამოვიჩენთ, რათა ალმანახ „რიწის" სტამბის ასაგებად საჭირო ფულად ფონდში ყველამ, შეძლებისდაგვარად, შევიტანოთ წვლილი. პირადად მე ვდებ 50 მანეთს და ყველა ქართველს (მწერალს, ჟურნალისტს, მეცნიერს, პედაგოგს, მედიკოსს, ინჟინერს, ტექნიკოსს, ხელოვანს, სპორტსმენს, გლეხს, მრეწველობის მუშაკს თუ სოფლის მეურნეს), საქართველოს რომელ კუთხეში, ქალაქში თუ სოფელშიც არ უნდა ცხოვრობდეს, მოვუწოდებ, რათა, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად დავეხმაროთ აფხაზეთში მცხოვრებ და მოღვაწე ქართველ მწერლებს, ჟურნალისტებს, შესაძლებლობა მივცეთ, ჯანსაღ შემოქმედებით ატმოსფეროში ნაყოფიერად იმუშაონ თავიანთი სამშობლოს ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში. ჩვენს მიერ შეგროვებული ფული ამ საქმის მოსაგვარებლად თუ არ იკმარებს, მაშინ, იმედია, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დაგვეხმარება.

**შოთა თევდორაშე**



ნიკო ფიროსმანაშვილი. გლეხის ქალი ბავშვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მანანა ჩოკოშვილის ფოტო.

# „რა ღირს ბერლინში „რუსული სუვენირი?"

ბერლინის ქუჩებში შეხვდებით გერმანელ ბიჭუნებს, რომლებსაც ახურავთ საბჭოთა არმიის ოფიცრების ქუდები. ქუდებს ისინი ბრანდენბურგის კართან ყიდულობენ. ქუდების ღირებულება არც თუ ისე ძვირია. უბრალო ქუდი 15 მარკა ღირს, ოფიცერთა „ყურებიანი ქუდი" 40 მარკა. აქვე რაიხსტაგის მახლობლად დასავლეთში მყოფი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებისაგან თავისუფლად შეიძლება შეიძინოთ სამხედრო ტანსაცმელი, სამხრეები (ჯარისკაცისა ცალი ღირს 5 მარკა, ოფიცრისა — 10 მარკა), კოკარდები, აირწინაღები (30 მარკად ანდა, ერთ ბოთლ „შნაპსად"). ახლა ზამთრის პირას, აციებისას ბერლინში დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოური შინელი, რომელიც 100 მარკა ღირს, ყიდულობენ განსაკუთრებით ქალაქგარეთ მცხოვრები ფერმერები და აგრეთვე... ამერიკელი და ბრიტანელი სამხედროები.

მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, „მშვიდობიანი ბიზნესია" — შინ დაბრუნების წინ საბჭოთა ჯარისკაცები და ოფიცრები ცდილობენ სამხედრო ტანსაცმლის გაყიდვით რაღაც იშოვნონ. გაცილებით საშიში გახდა დასავლეთში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისაგან ადგილობრივ გადამყიდველებისათვის იარაღისა და ტყვია-წამლის მიყიდვის ფაქტები.

როგორც თავად ბერლინის „არმიული ბაზრის" ვაჭრებმა გამანდეს, მაკაროვის პისტოლეტს საბჭოთა ოფიცრებს უცვლიან ორკასეტიან „შარპზე", კალაშნიკოვის ავტომატს — ვიდეომაგნიტოფონზე ანდა იაპონურ ტელევიზორზე. თუკი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე ტყვია-წამალსაც დაუმატებს, მაშინ შეიძლება „ოპელსა" და „მერსედესზეც" მორიგდნენ.

ცდილობს თუ არა დასავლეთში მყოფი მეომართა მეთაურობა შეაჩეროს ეს არალეგალური და დანაშაულებრივი ბიზნესი, რომელსაც ეწევიან არა მარტო ჯარისკაცები, არამედ ოფიცრებიც? სამხედრო პროკურატურა დროდადრო აღძრავს ხოლმე საქმეს კანონის დამრღვევების წინააღმდეგ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბერლინის „არმიულ ბაზარზე" ძველებურად განუსაზღვრელი რაოდენობით იყიდება სამხედრო ტანსაცმელი და იარაღი.

**ი. ხიგოვი,**

„არგუმენტი ი ფაკტი", № 40.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს მწერალ თემურ აბულაშვილს დის

**მაყვალა აბულაშვილი-შაიშმელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი დაკაბადონდა 31 ოქტომბერს.


**რედაქტორთა საბჭო.**

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე (მთავარი რედაქტორი).

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი მამუკა წიკლაური.



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-03-65. 96-86-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით